ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი №2 (98), 2019, თებერვალი ფასი 3 ლარი

ისტორიანი

კოლხეთი და ეგვიპტე უძველეს წყაროებში

ქართულ-კავკასური ისტორიები „მარშლიანთ ხარჯები“

ლენინის დაკრძალვა თბილისურად

2 200000 419712

„50 პერსონა — მათ შექმნეს ისტორია“

ტომი XXXVI

„მაო ძედუნი“

წიგნი „ისტორიანთან“ ერთად – 8 ლარი

ჩინეთში დიდი კედლის გაგრძელება იპოვეს

ერთი იმერელი კაცისა და რუსეთის დიდი თავადის საოცარი თავგადასავალი

ლაშთხვერის თარინგზელის საკვირველი ფრესკები

ვისენტე ფეოლას აღზევება და დაცემა

დიდი მხატვრების საკუთარი კოლექცია

ეს შესაძლებელია!

კაფეს ტერასა საღამოს ფორუმის მოედანზე
ვინსენტ ვან გოგი

მზესუმზირები
ვინსენტ ვან გოგი



საიდუმლო სერობა
ლეონარდო და ვინჩი

მონა ლიზა ჯოკონდა
ლეონარდო და ვინჩი



სფეროების გალატეა
სალვადორ დალი

ფანჯარაში მდგარი გოგონა
სალვადორ დალი

21 იანვრიდან, თვეში ერთხელ ,,კვირის პალიტრის'' მკითხველს ექნება შესაძლებლობა სპეციალურ ფასად შეიძინოს ყველაზე მოთხოვნადი ნახატები და შექმნას შედევრების საკუთარი კოლექცია.

დაამშვენე შენი სახლი ვან გოგის, რემბრანდტის, კლიმტის, მონესა და სხვა უდიდესი მხატვრების შედევრებით! თუ გიოცნებია მსოფლიოში აღიარებული ამ უდიდესი მხატვრების ტილოების საკუთარ კოლექციაზე, უკვე შეგიძლია აიხდინო ეს ოცნება. შენ მიიღებ ორიგინალთან მიახლოებულ ანალოგს, რომელიც სპეციალურად შექმნილი უნიკალური ტექნოლოგიით იბეჭდება მაღალი ხარისხის ტილოზე და გადაჭიმულია ხის ნატურალურ ჩარჩოზე. დეკორატიული ტილოები დაბეჭდილია წყლის უსაფრთხო საღებავებით.

გადახედე 30 დიდი მხატვრის შემოქმედებას ქვემოთ მითითებულ ვებგვერდზე, პირადად შეარჩიე შენი სასურველი მაქსიმუმ 12 მხატვარი და მათი ტილოები და მიეცი ხმა. ხმის მიცემა შესაძლებელი იქნება ,,კვირის პალიტრის'' ნომრებში, სხვადასხვა პოპულარულ ვებგვერდებზე და ჩვენი ქოლცენტრის მეშვეობით ნომერზე: 2 19 60 13.

www.palitral.ge/mkhatvrebi

სარჩევი

ახალი ამბები

ინდონეზიაში, მთის ქვეშ, მსოფლიოს უძველესი პირამიდა იმალება?! 6

ჩინეთში დიდი კედლის გაგრძელება იპოვეს 7

სოდომი და გომორი კომეტის აფეთქებამ გაანადგურა?! 8

პომპეის ცხენით თავს ვერ უშველეს 10

ფოტოისტორია

შეშის მჭრელების ფოტოსესიები სელფის გამოგონებამდე 11

ძველი მსოფლიო

კოლხეთი და ეგვიპტე უძველეს წყაროებში 12

საცხოვრისი ქართული

ტაო-კლარჯეთის საცხოვრებელი ნაგებობები 21

ქართულ-ხახული ისტორიები

„მარშლიანთ ხარჯები“ 30

ეროვნული ჯიდეოთმცოდნეობა

ქართული ფალერისტიკის ისტორიიდან (გაგრძელება) 38

სარჩევი

უახლესი ისტორია

როგორ მზადდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომი (დასასრული) 42

უცნობი ისტორიები

ერთი იმერელი კაცისა და რუსეთის დიდი თავადის საოცარი თავგადასავალი 50

საბჭოთა ნახსენიდან

ლენინის დატირება თბილისურად 58

სპორტის ისტორია

ვინსენტე ფეოლას აღზევება და დაცემა 65

საჯაშეშო ისტორიები

ვინ მოკლა იაროსლავ გალანი?! 71

ქართული ძებნები

ლაშთხვერის თარინგზელის საკვირველი ფრესკები 80

ფურცლები ნახსენიდან

ამონარიდები ძველი ჟურნალ-გაზეთებიდან 88

სკანვორდი 90

ჟურნალ „ისტორიანის“ ძველი ნომრების შეძენა შეგიძლიათ „ბიბლუსის“ მაღაზიათა ქსელში

ᲰᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ

„კოლხები ეგვიპტელები არიან — ამას მე თვით მივხვდი უწინ, ვიდრე მოვისმენდი სხვათაგან და ისე ვიტყოდი. და რადგანაც ეს მე ფიქრებში მქონდა, შევეკითხე ორივეს, კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები... მხოლოდ ესენი და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად; მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთისა“, — ასე გააცნო 2500 წლის წინ ისტორიის მამად წოდებულმა ჰეროდოტემ კოლხები მაშინდელ მსოფლიოს. განთქმული ბერძენი ისტორიკოსი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ანუ კოლხების წინაპრებად ეგვიპტელებს მიიჩნევდა.

კოლხების ეგვიპტური წარმოშობის შესახებ საუბრობენ სხვა ავტორებიც. მაგალითად, ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრის პოეტი გაიუს ვალერიუს ფლაკუსი თავის პოემაში „არგონავტიკა“. კოლხთა ეგვიპტურ ფესვებზე საუბრობს ძვ.წ. III საუკუნის ეპიკოსი პოეტი აპოლონიოს როდოსელიც... ამდენად ის, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ხელაღებით უარყო, ძველ სამყაროში საკმაოდ პოპულარული იყო. ვფიქრობთ, საკითხი მეტ ყურადღებასა და შესწავლას იმსახურებს, — ამ თემის შესახებ ვრცლად იხილეთ სტატიაში „კოლხეთი და ეგვიპტე უძველეს წყაროებში“.

იმერული სოფელი ნაბოსლევი თითქოს არაფრით გამოირჩევა სხვა ქართული სოფლებისგან, თუმცა ამ სოფელში დაბადებული კაცი — სპირიდონ ხუჯაძე, პირდაპირ უკავშირდება XX საუკუნის საზარელ პირველ მსოფლიო ომსა და რომანოვების სახლის ისტორიას. სპირიდონ ხუჯაძე, როგორც საუკეთესო მძღოლი, „ველური დივიზიის“ სარდალს, რუსეთის დიდ თავად მიხაილ რომანოვს ემსახურებოდა. სპირიდონ ხუჯაძის ისტორიას წაიკითხავთ წერილში „ერთი იმერელი კაცისა და რუსეთის დიდი თავადის საოცარი თავგადასავალი“.

ჟურნალი აგრეთვე წარმოგიდგენთ მრავალფეროვან მასალებს საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიიდან, რუბრიკებით: „ქართლ-კახური ისტორიები“, „საცხოვრისი ქართული“, „ეროვნული ჯილდოთმცოდნეობა“, „სპორტის ისტორია“, „ქართული ძეგლები“ და სხვ.

რატომ მიიჩნევდნენ პოლხებს ეგვიპტელებად მსოფლიოს უძველესი ისტორიკოსები

ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი
„ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
გელა გურგენიძე

სტილისტ-რედაქტორი
ელენე სალარიძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა
რეზო თხილიშვილი

სარედაქციო კოლეგია:
ალექსანდრე ბოშიშვილი, ოქროპირ ჯიქური, ნინო ჯაფარიძე, დიმიტრი სილაქაძე, მიხეილ ბარნოვი, შოთა მათითაშვილი, კახაბერ ყალიჩავა, ნიკოლოზ ხოფერია

კორექტორები:
ნანა მაჭავარიანი
ნინო აბესაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ.: 238-13-72, 238-02-45
e-mail: istoriani@palitra.ge

სარეკლამო განყოფილება
ტელ.: 237-78-07, 238-78-70

ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ
რედაქციის ნებართვის გარეშე
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

„პალიტრამედიის“ ცხელი ხაზი: **219-60-13; 219-60-53**
e-mail: contact@palitra.ge

ჟურნალის გამოწერა შეგიძლიათ ინტერნეტით,
ვებ-გვერდზე: **www.elva.ge**
ან სატელეფონო შეკვეთის საშუალებით:
(+995 32) 2 37 50 03; (+995 32) 2 38 26 74
ადგილზე მიტანა უფასოა!

ᲘᲜᲓᲝᲜᲔᲖᲘᲐᲨᲘ, ᲛᲗᲘᲡ ᲥᲕᲔᲨ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡᲘ ᲞᲘᲠᲐᲛᲘᲓᲐ ᲘᲛᲐᲚᲔᲑᲐ?!

მეგალითური ძეგლი გუნუნგ-პადანგის მთაზე

XIX საუკუნის დასაწყისში, ინდონეზიაში ჩასულ ჰოლანდიელ კოლონისტებს ალბათ გააოცებდათ კუნძულ იავაზე, დასავლეთ იავის პროვინციაში, ვრცელი გორაკის წვერზე მიმოფანტული კლდოვანი სტრუქტურებისა და მონუმენტების მასიური კომპლექსის ნაშთები. ეს აზიის უდიდესი მეგალითური ძეგლია გუნუნგ-პადანგის მთაზე. თუმცა, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მიწის ქვეშ გაცილებით დიდი საოცრება იყო ჩამარხული.

ინდონეზიელ მეცნიერთა ჯგუფი კვლევის შემდეგ მივიდა დასკვნამდე, რომ გუნუნგ-პადანგი სინამდვილეში ძველი პირამიდის მსგავსი სტრუქტურაა, რომლის ასაკიც დაახლოებით 10 ათასი წელია და ის პრეისტორიული პერიოდის ნაგებობებსაც მოიცავს. მათი თქმით, ყველაზე ზედა, მეგალითური ფენა კლდოვანი სვეტების, კედლების, ბილიკებისა და სივრცეებისგან შედგება. მეორე ფენა, რომელიც აქამდე ბუნებრივ წარმონაქმნად მიაჩნდათ, სინამდვილეში ცილინდრული სვეტების წყებაა. მის ქვეშ მესამე ფენაა, რომელიც მიწისქვეშა ღრმულებსა და კამერებს მოიცავს 15 მეტრის სიღრმეზე და კიდევ ერთი, მეოთხე ფენის თავზეა განთავსებული.

გუნუნგ-პადანგის ძეგლის სავარაუდო რეკონსტრუქცია

მკვლევართა განცხადებით, რადიოკარბონულმა დათარიღებამ აჩვენა, რომ პირველი ფენის ასაკი 3500 წელია, მეორესი 8000, მესამე ფენისა კი 9500-28000 წელი.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ამ უძველეს პირამიდას რელიგიური დანიშნულება ჰქონდა.

კვლევამ ინდონეზიასა და მთელ მსოფლიოში დიდი უთანხმოება გამოიწვია. მეცნიერთა ნაწილი დასკვნებს ეჭვქვეშ აყენებს. ყველა კითხვას კი ისევ კვლევა-ძიებამ უნდა გასცეს პასუხი, რაც ჯერაც გრძელდება.

მომზადებულია livescience-ის მიხედვით

�ᲘᲜᲔᲗᲨᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲞᲝᲕᲔᲡ

დიდი კედლის ერთი მონაკვეთი ჰებეის პროვინციაში

ჩინეთის ჩრდილოეთში, ჰებეის პროვინციაში, ტაიხანშანის მთებში უძველესი ნანგრევები იპოვეს, რომელიც სავარაუდოდ, ჩინეთის დიდი კედლის ნაწილია. წინასწარი კვლევის შედეგებით, იგი 1368-1644 წლებში, მინის დინასტიის პერიოდში უნდა იყოს აგებული. არქეოლოგი ია მინგტიანი ამბობს, რომ კედლის ახალაღმოჩენილი ნაშთების სიგრძე, რომელიც ზღვის დონიდან, სულ მცირე, 1600 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, 300 მეტრია. კედლის ნაშთებთან ერთად მიაკვლიეს ასევე სადრენაჟო და თავდაცვის სისტემებსაც.

სპეციალისტების თქმით, ტაიხანშანის მთებში აღმოჩენილი კედლის სტრუქტურა და პროექტირების წესი ემთხვევა ამავე რეგიონში, 2007 წელს ნაპოვნი ჩინეთის დიდი კედლის 19 მონაკვეთის სტრუქტურას.

ჩინეთის დიდი კედელი უდიდესი არქიტექტურული ძეგლია. ის ჩრდილოეთ ჩინეთში მდებარეობს და აღმოსავლეთიდან დასავლეთის მიმართულებით თითქმის 9000 კილომეტრის სიგრძეზე მიუყვება. მისი ზოგიერთი მონაკვეთი პეკინსაც უახლოვდება. ჩინეთის დიდი კედელი 1987 წლიდან იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია.

მომზადებული xinhuanet-ის მიხედვით

დიდი კედლის ახლად აღმოჩენილი მონაკვეთი



სოდომი და გომორი კომეტის აფეთქებამ გაანადგურა?!

ქალაქი თალ ელ-ჰამამი და მისი შემოგარენი 3700 წლის წინ კოსმოსიდან მოფრენილმა ობიექტმა გაანადგურა. მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, სწორედ თალ ელ-ჰამამია ბიბლიური ქალაქი სოდომი

დაახლოებით 3700 წლის წინ, ახლო აღმოსავლეთში, ზეცაში მეტეორიტი ან კომეტა აფეთქდა, რამაც მკვდარი ზღვის ჩრდილოეთით ყველაფერი გაანადგურა და ათობით ათასი ადამიანი იმსხვერპლა. ამის შესახებ მონაცემები არქეოლოგებმა გამოაქვეყნეს, რომლებმაც ამ კოსმოსური აფეთქების მტკიცებულებები იპოვეს.

მკვლევართა აზრით, აფეთქებამ მკვდარი ზღვის ჩრდილოეთით დაახლოებით 500 კვკმ კილომეტრ ფართობზე ყველაფერი მყისიერად მოსპო. მიწასთან გაასწორა ქალაქები და სოფლები, გამოფიტა ერთ დროს ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო მიწები. ამ მოვლენის შედეგად წარმოქმნილმა შოკურმა ტალღამ გამოიწვია მკვდარი ზღვის სუპერცხელი მარილებისა და ანჰიდრიდების ამოხეთქვა.

სოდომისა და გომორის დაქცევა (ჯონ მარტინი, 1852)

საუბარია თანამედროვე იორდანიის ტერიტორიაზე, რომელიც წრიულ ვაკეს წარმოადგენს და დაახლოებით 25 კილომეტრზეა გადაჭიმული. მკვლევართა აზრით, შესაძლოა, სწორედ ეს მოვლენები ედოს საფუძვლად ბიბლიურ ისტორიას სოდომისა და გომორის განადგურების შესახებ.

კვლევის თანახმად, არქეოლოგიურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ განადგურებული ქანების აღდგენას დაახლოებით 600 წელიწადი დასჭირდა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი მკვდარი ზღვის ჩრდილოეთით ცივილიზაციის კვლავ აღორძინება. დანგრეულ ადგილებს შორის იყო თალ ელ-ჰამამი — 36 ჰექტარზე გადაჭიმული უძველესი ქალაქი. მეცნიერთა დიდი ნაწილის აზრით, სწორედ თალ ელ-ჰამამია ბიბლიური ქალაქი სოდომი. გათხრები იქ უკვე 13 წელიწადია გრძელდება.

კოსმოსური აფეთქების აღმოჩენილ მტკიცებულებათა შორის არის 3700 წლის წინანდელი კერამიკის ნამსხვრევები თალ

ელ-ჰამამიდან, რომელთა ზედაპირი მინად არის გადაქცეული. ტემპერატურა იმდენად მაღალი უნდა ყოფილიყო, რომ ცირკონი, რომელსაც კერამიკა შეიცავს, აირად იქცა. მკვლევარ-არქეოლოგ ფილიპ სილვიას განმარტებით, ამისთვის საჭიროა ცელსიუსით 4000 გრადუსზე მაღალი ტემპერატურა. თუმცა, ამ სიმხურვალემ იმდენ ხანს ვერ გასტანა, რომ კერამიკის ნამსხვრევები მთლიანად დაეწვა და მიწის ქვეშ ისინი შედარებით კარგად შემოინახა.

მეცნიერის განცხადებით, დაახლოებით 3700 წლის წინ ამ ზონაში სიცოცხლის უეცარ გაქრობაზე მიუთითებს რეგიონის სხვა არქეოლოგიური გათხრებიც. ერთადერთი ბუნებრივი მოვლენა კი, რომელსაც ამ მასშტაბის ზიანის მოტანა შეეძლო, ფილიპ სილვიას აზრით, კოსმოსური აფეთქებაა, დედამიწის ისტორიაში ამგვარი რამ არაერთხელ მომხდარა. უახლეს მაგალითად ის ტუნგუსკის მეტეორიტს ასახელებს, რომელიც ციმბირში, ჩელიაბინსკში ჩამოვარდა 1908 წელს.

ფილიპ სილვიას აზრით, ის ფაქტი, რომ მხოლოდ 500 კვკმ ფართობი განადგურდა, მიუთითებს, რომ აფეთქება მიწის ზედაპირიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის სიმაღლეზე მოხდა. შედარებისთვის — ტუნგუსკის მეტეორიტის აფეთქებამ 2150 კვკმ ფართობი გაანადგურა.

აღსანიშნავია, რომ მიმდებარედ კრატერი არ იძებნება. შესაბამისად, შეუძლებელია გარკვევა, ჰაერში მეტეორიტი აფეთქდა თუ კომეტა. უფრო მეტი დეტალის გასარკვევად, მეცნიერთა ჯგუფი კვლევას განაგრძობს.

მომზადებულია livescience-ის მიხედვით

ციმბირში წაქცეული ტყე ტუნგუსკის მეტეორიტის ჩამოვარდნის შემდეგ

გათხრები, რომლის დროსაც მეტეორიტის ან კომეტის აფეთქების კვალს მიაგნეს

ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით

(კითხვა, შენიშვნა, სურვილი, პრეტენზია, შეთავაზება...)

პალიტრა მედია გისმენთ!..

დარეკეთ: 219 60 13

მოგვწერეთ: contact@palitra.ge

ან: „კვირის პალიტრის" („სიტყვა და საქმის")

საფოსტო ყუთების საშუალებით

ᲞᲝᲛᲞᲔᲘᲡ ᲪᲮᲔᲜᲘᲗ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲕᲔᲰ ᲣᲨᲕᲔᲚᲔᲡ

უძველეს რომაულ ქალაქ პომპეიში, ქალაქის კედელთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ სოფელში, ცხენის ნაშთები და მისი აღკაზმულობა იპოვეს. მეცნიერები ამბობენ, ცხენი ეტლში იყო შებმული. როგორც ჩანს, ვულკანის ამოფრქვევის შემდეგ მისი მფლობელი სტიქიისგან თავის დაღწევას გაქცევით ცდილობდა, თუმცა, ვეღარ მოასწრო. მასთან ერთად მიაგნეს სხვა ცხენის ჩონჩხსაც. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ცხენებიც და სოფელიც, სადაც ის აღმოაჩინეს, სამხედრო დიდმოხელეს ეკუთვნოდა.

აღსანიშნავია, რომ მძარცველებისგან ძველი ნაშთების დასაცავად ნეაპოლიდან კარაბინერების ჩასვლა გახდა საჭირო.

რომის იმპერიის ულამაზესი ქალაქი პომპეი ვულკან ვეზუვის ამოფრქვევის შემდეგ ძვ.წ. 79 წელს განადგურდა. ქალაქის ნანგრევების აღმოჩენა 17 საუკუნის შემდეგ, შემთხვევით მოხერხდა. ქალაქ-მუზეუმს, რომელიც იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, ყოველწლიურად დაახლოებით ორ-ნახევარი მილიონი ტურისტი სტუმრობს.

მომზადებულია BBC-ის მიხედვით

ცხენები გაჟღენიან რომაელ სამხედროს ეკუთვნოდა, რაზეც ძვირფასი აღკაზმულობა მეტყველებს

გიგანტური წითელი ხის მოჭრა კალიფორნიაში

შეშის მჭრელების ფოტოსესიები სელფის გამოგონებამდე

წყნარი ოკეანის სანაპირო აშშ-ის ჩრდილო-დასავლეთით და კალიფორნია მსოფლიოში ყველაზე დიდი ხეების სამშობლოა. მაგალითად, გიგანტური სეკვოია 95 მეტრის სიმაღლემდე იზრდება, სანაპიროს წითელი ხეკი — 112 მეტრამდე! მათი დიამეტრი 4-დან 6 მეტრამდე მერყეობს, მაგრამ შესაძლებელია 9 მეტრსაც მიაღწიოს. ამ ხეთა რიგს ასრულებს ე.წ. სიტკა ნაძვი, რომლის სიმაღლე საშუალოდ 35-55 მეტრს აღწევს. ეს „დინოზავრები" აქ ათასობით წელია იზრდებიან, და კარგადაც იცნობდნენ ადგილობრივი ინდიელები, სანამ აქ 1800-ან წლებში ხეტყის დამზადება გაჩაღდებოდა.

შეშის მჭრელები, სელფის გამოჩენამდე დიდი ხნით ადრე, გიგანტურ ხეებთან ფოტოსესიების მნიშვნელობასაც მიხვდნენ.

ხის დამამზადებელი დარგი მთელი XIX საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა და 1910 წლისთვის ყველაზე მეტ სამუშაო ადგილს ქმნიდა ვაშინგტონის შტატში. ყველაზე მეტად ის შეშის მჭრელები ფასობდნენ, რომელთაც უზარმაზარი ხეები უნდა მოეჭრათ. მათი საქმე მოცულობითაც დიდი იყო და საშიშიც: XX საუკუნის დასაწყისში საშუალოდ ყოველი 150-ე შეშის მჭრელი იღუპებოდა.

ფოტოებზე, როგორც წესი, შეშის მჭრელები დგანან ხის ტანში გამოჭრილ ნიშაში ან მის ძირას.

მომზადებულია atlasobscura-ს მიხედვით

სეკვოია კალიფორნიაში, 1910 წ.

კოლხეთი და ეგვიპტე უძველეს წყაროებში

„ხოლო გააკეთა მან (იგულისხმება ეგვიპტის ფარაონი სესოსტრისი. — გ. კ) ეს და გადაიარა ხმელეთი, რისთვისაც აზიიდან ევროპაში გადავიდა და დაიმორჩილა სკვითები და თრაკიელები. მე ვფიქრობ, რომ აქამდე იყო ის უშორესი [ადგილი], სადამდეც მოვიდა ეგვიპტელთა ლაშქარი. რადგანაც ამათ ქვეყანაში ჩანს დაყენებული სტელები, ხოლო ამათზე უფრო შორს კი აღარა. აქედან შემობრუნდა და უკან წამოვიდა, შემდეგ კი მდინარე ფაზისთან იყო; მე არ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ამ ადგილას ან თვით მეფე სესოსტრისმა გამოჰყო თავისი ლაშქრის რაღაც ნაწილი და დასტოვა აქ, ამ ქვეყნის მცხოვრებლებად, ან კიდევ ზოგიერთი ჯარისკაცთაგანი, გადაღლილი ხეტიალით, დარჩა მდინარე ფაზისთან.

ცხადია, რომ კოლხები ეგვიპტელები არიან. ამას მე თვით მივხვდი უწინ, ვიდრე მოვისმენდი სხვათაგან და ისე ვიტყოდი. და რადგანაც ეს მე ფიქრებში მქონდა, შევეკითხე ორივეს, კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები. ეგვიპტელები ამბობენ, რომ მათ მიაჩნიათ, კოლხები არიან სესოსტრისის ლაშქრიდან, ხოლო თვით მეც ასევე მეჩვენებოდა, რადგან [კოლხები] არიან შავგვრემანი და ხუჭუჭთმიანი (მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს, რადგან სხვებიც არიან ასეთები), მაგრამ ამასთანავე და უფრო მეტად [ამას მოწმობს ის], რომ ყველა ხალხთაგან მხოლოდ კოლხები, ეგვიპტელები და ეთიოპელები არიან, რომლებიც იმთავითვე მისდევენ წინადაცვეთას. ხოლო ფინიკიელებმა და იმ სირიელებმა, რომლებიც პალესტინაში არიან, როგორც თვითაც ეთანხმებიან, მათ ეგვიპტელთაგან ისწავლეს, ხოლო სირიელები, რომლებიც მდინარე თერმოდონტთან და პართენიოსთან ცხოვრობენ, და მაკრონები, რომლებიც მათი მეზობლები არიან, ამბობენ, რომ კოლხთაგან ისწავლეს ეს ახლახან. ესენი არიან მხოლოდ ის ადამიანები, რომლებიც წინადაცვეთას ახდენენ, და ჩანს, რომ ესენიც ეგვიპტელების მსგავსად აკეთებენ ამას. ხოლო ეგვიპტელთა და ეთიოპელთა შესახებ არ შემიძლია ვთქვა, თუ რომელმა ისწავლა [ამ ორს შორის] მეორისგან, რაღაც ძალიან ძველი ჩანს [ორივეგან]. ხოლო იმის დიდ საბუთად, რომ [ხალხმა] ეს ეგვიპტელთაგან ისწავლა მათთან შერევის საფუძველზე, მეჩვენება შემდეგი: ფინიკიელთაგან ისინი, რომლებიც

ელადაში ცხოვრობენ, ეგვიპტელებს აღარ ბაძავენ სარცხვინელ საქმეებში და შვილების წინადაცვეთას აღარ მიმართავენ.

კიდევ სხვა რამეც შეიძლება, რომ კოლხების შესახებ ვთქვა მათი ეგვიპტელებთან მსგავსების შესახებ: მხოლოდ ესენი და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად; მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთისა. ხოლო კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ, ეგვიპტიდან შემოსულს კი — ეგვიპტურ სელს“.

ასე გააცნო 2500 წლის წინ ისტორიის მამად წოდებულმა ჰეროდოტემ კოლხები მაშინდელ მსოფლიოს. განთქმული ბერძენი ისტორიკოსი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის ანუ კოლხების წინაპრებად ეგვიპტელებს მიიჩნევდა, და ამას ზემოხსენებული არგუმენტებით ასაბუთებდა.

კოლხების ეგვიპტური წარმოშობის შესახებ საუბრობენ სხვა ავტორებიც. მაგალითად, ახ.წ. I საუკუნის მეორე ნახევრის პოეტი გაიუს ვალერიუს ფლაკუსი თავის პოემაში „არგონავტიკა“, რომელიც ბრიტანეთში ვესპასიანეს ლაშქრობას ეძღვნება, აღწერს კოლხთა დიდებულ ტაძარს და გადმოცემს ამბავს სესოსტრისის ლაშქრობისა და კოლხთა ეგვიპტური ფესვების შესახებ.

ძვ.წ. I საუკუნის ავტორის დიოდორე სიცილიელის კონცეფციით კი ეგვიპტელები მთელ ქვეყნიერებას არიან მოდებული. მათ შორის, ეგვიპტიდან არიან გამოსული კოლხები და იუდეველები; კოლხები დაასახლეს პონტოსთან, ხოლო იუდეველები არაბებსა და სირიელებს შორის (ამიტომაა, რომ ეს ხალხებიც, ეგვიპტელებისა არ იყოს, წინადაცვეთის წესს იცავენ). მეორეგან, სესოსტრისის შესახებ დიოდორე წერს ასეთ რამესაც: „შემდეგ მან დაიპყრო სკვითური ტომები თვით მდინარე ტანაისამდე, რომელიც საზღვრავს აზიას ევროპისგან. აქ მეოტისის ტბასთან მან დასტოვა ეგვიპტელთა ერთი ნაწილი, რომელმაც შეჰქმნა კოლხთა ტომი. რომ ეს ტომი ეგვიპტური მოდგმისა არის, ამის საბუთი შემდეგია: ეს ხალხი წინადაცვეთას ეგვიპტელთა მსგავსად მისდევს, ხოლო ეს წესი ამ მოსახლეობაში (იგულისხმებიან კოლხები) ისევეა შემორჩენილი როგორც იუდეველებში“. საყურადღებოა, რომ აკადემიკოს თინათინ ყაუხჩიშვილის მოსაზრებით, დიოდორე სიცილელის ზემოხსენებული ცნობა არც შინაარსის და მით უმეტეს, არც სტილისა და აგებულების მხრივ, არ არის გადმოღებული ჰეროდოტეს „ისტორიიდან“. ამ შემთხვევაში დიოდორეს წყარო ძვ.წ. IV-III საუკუნეების ისტორიკოსი ჰეკატეოს აბდერელია.

კოლხთა ეგვიპტურ ფესვებზე საუბრობს ძვ.წ. III საუკუნის ეპიკოსი პოეტი აპოლონიოს როდოსელი. მისი „არგონავტიკის“ სქოლიონებში ნათქვამია: „აია სესონქოსისის (იგულისხმება სესოსტრისი. — გ.კ.) დროებიდან მოკიდებული ურყევად რჩება და მისი მკვიდრნი სესონქოსის მიერ ჩამოსახლე-



ძუძუანაში ნაპოვნი სელისგან დამზადებული და მცენარეული საღებავებით შეღებილი ბოჭკოები მსოფლიოში უძველესია



ფარაონ სენუსერტ I-ის ბიუსტი ბერლინის მუზეუმში

სენუსერტ I-ის სტელა ბუჰენში

ფარაონ სენუსერტ II-ის ჰექტორალი — სამკერდე სამშვენისი (ზემოთ). სენუსერტ II-ის სკულპტურა ლილის მუზეუმში (ქვემოთ)



ბულ [ეგვიპტელთა] შთამომავლები არიან... სკიმნეც ამბობს „აზიაში“, რომ კოლხები ეგვიპტელთაგან არიან წამოსული. ჰეროდოტეც მოიხსენიებს მეორე წიგნში ასოთა წინადაცვეთას, სელის ქსოვილს და ამბობს, ისინი [კოლხები] ეგვიპტელთა კანონებს იყენებენო“. ისევე როგორც წინა შემთხვევაში, აქაც ცხადად ჩანს, რომ როდოსელი კოლხთა ეგვიპტური წარმომავლობის შესახებ წერის დროს მხოლოდ ჰეროდოტეს ცნობებს არ ეყრდნობა და ამის შესახებ ცნობები სხვა წყაროებიდანაც აქვს.

ამდენად ის, რაც საბჭოთა ისტორიოგრაფიამ ხელაღებით უარყო, ძველ სამყაროში საკმაოდ პოპულარული იყო. როგორც ჩანს, ამ მოსაზრებას ემხრობოდნენ და იზიარებდნენ იმ დროის ისტორიკოსებიც. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ საკითხი მეტ ყურადღებასა და შესწავლას იმსახურებს. წარმოუდგენელია ძველ ავტორთა ასეთი დაბეჯითებითი მტკიცება მხოლოდ ლეგენდებზე აგებული ყოფილიყო. 1977 წელს თინათინ ყაუხჩიშვილი აღნიშნავდა: „ჩვენ დღესდღეობით გადაწყვეტით ვერაფერს ვიტყვით ამ ცნობის ჭეშმარიტების შესახებ, მაგრამ ის მთლად ისე ხელაღებით უარსაყოფი არ უნდა იყოს, როგორც აქამდე ხდებოდა. მას სხვაგვარი ახსნა სჭირდება, ვიდრე ჩვეულებრივ ხსნიან ხოლმე“. აკადემიკოსის მოსაზრების მიუხედავად, ეს საკითხი სერიოზული სამეცნიერო კვლევის საგანი არ გამხდარა.

„კოლხებს უკეთ ახსოვდათ...“

ვიდრე თემას დეტალურად განვიხილავდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ჰეროდოტეს ცნობებში ძირითადი პოსტულატების გაანალიზება. მაშ ასე: ისტორიის მამად წოდებული მეცნიერის თხზულებიდან ირკვევა, რომ ჰეროდოტეს კოლხთა ვინაობა საკმაოდ გულდასმით გამოუკვლევია. კერძოდ, მას ამ თემაზე უსაუბრია როგორც კოლხებთან, ისე ეგვიპტელებთან. კოლხურ-ეგვიპტურ კავშირებს ერთმნიშვნელოვნად არც ერთი მხარე არ უარყოფდა. ოღონდ ეგაა, „კოლხებს უკეთ ახსოვდათ ეგვიპტელები, ვიდრე ეგვიპტელებს კოლხები“. სამაგიეროდ, ეგვიპტელები კოლხთა წინაპართაგან კონკრეტულ ისტორიულ პირს იცნობდნენ და მას ჰეროდოტე სესოსტრისად მოიხსენიებს.

ძველ ბერძენ ისტორიკოსს, გამოკითხვასთან ერთად, ორი ხალხის ყოფასა და გარეგნო-

ბაში პარალელებიც უძებნია და გამოურკვევია, რომ კოლხები და ეგვიპტელები ერთნაირად წინადაიცვითებოდნენ, ერთმანეთს ჰგავდნენ ფიზიკურად, ერთნაირად ამუშავებდნენ სელს და რაც ყველაზე საყურადღებოა, მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი ჰქონდათ ერთმანეთისა.

ჰეროდოტეს ზემოხსენებული დაბეჯითებითი მტკიცება ცხადია, აბსოლუტურ ჭეშმარიტებას არ ასახავს, თუმცა ყურადღების გამახვილება არაერთ საკითხზე შეიძლება.

დავიწყოთ წინადაცვეთით — ჰეროდოტე, როგორც ზემოთ აღინიშნა, თავის ცნობაში პირდაპირ უთითებს, რომ ეგვიპტელები, კოლხები და ეთიოპელები „იმთავითვე მისდევენ წინადაცვეთას“, ეგვიპტელთაგან გადაუღიათ ეს წესი ფინიკიელებსა და პალესტინაში მცხოვრებ სირიელებს. პალესტინის ტერიტორიაზე მოსახლე ხალხებმა, მათ შორის ებრაელებმაც რომ წინადაცვეთა ეგვიპტელთაგან წესად მიიღეს, ამას ბიბლიაც ადასტურებს. იესო ნავეს მეხუთე თავში ნათქვამია: „გააკეთა იესომ კაჟის დანები და წინადაცვითა ისრაელიანები... წინადაცვეთილი იყო მთელი ხალხი, როცა ეგვიპტიდან გამოდიოდა“.

თუ ჰეროდოტეს ცნობა წინადაცვეთის შესახებ ისრაელიანელების შემთხვევაში რეალობასთან ახლოა, რატომ არ შეიძლება იგივე ვივარაუდოთ კოლხებთან დაკავშირებითაც? [ვფიქრობთ, სავსებით სწორი იყო ცნობილი მეცნიერი რაფიქ ალი ჯაირაზბოუ, რომელმაც 1985 წელს ამ საკითხზე საინტერესო აქცენტები გააკეთა სტატიაში „ეგვიპტური ცივილიზაცია კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე“.]

„დიდი სესოტრისის“ კრებითი სახელი უწოდეს ფარაონ რამზეს II-ის გამოსახულებას კადეშის ბრძოლაში (XIX საუკუნის გრავიურა)

სელი

სელის დამუშავების შესახებაც ჰეროდოტე არ ეყრდნობა მხოლოდ ლეგენდებსა და მონაგონ ამბებს. მისი ცნობები უმეტესწილად რაღაც დოზით ყოველთვის კავშირშია სიმართლესთან. ბერძენი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ეგვიპტელთა და კოლხთა საერთო ფესვებს სელის დამუშავების ერთნაირი წესიც ადასტურებს. იგი წერს: „მხოლოდ ესენი (ანუ კოლხები) და ეგვიპტელები ამუშავებენ სელს ერთნაირად“.

ძველი ეგვიპტე სამართლიანად ითვლება სელის დამუშავებისა და მისი ქსოვილად ქცევის სამშობლოდ. არსებობს უამრავი დამადასტურებელი ფაქტი, რომ სელის ქსოვილს ეგვიპტეში ჯერ კიდევ წინარე დინასტიურ

შავი გრანიტისგან გამოკვეთილი სენუსერტ III-ის სამი სკულპტურა ბრიტანეთის მუზეუმში

დედოფალი ჰატშეპსუტის ექსპედიცია პუნტის ქვეყანაში. რელიეფური გამოსახულება დედოფლის საძვალე ტაძარში, დეირ ელ-ბაჰრიში

პერიოდში, ანუ 4000 წლის წინ იყენებდნენ. ეგვიპტელები ატარებდნენ სელის ქსოვილისგან შეკერილ სამოსს, ფარაონებისა თუ დიდებულების მუმიფიცირება სელის ქსოვილის გამოყენებით ხდებოდა, სელის საქსოვი დაზგის ყველაზე ადრეული გამოსახულება კი ძველეგვიპტურ თიხის სასმისზეა შესრულებული და ძ.წ. XXX საუკუნით თარიღდება.

საქართველოშიც ქსოვილის უძველესი ნიმუში სწორედ სელისგანაა დამზადებული. სელი (Linum L., მეგრულად — სუ; ჭანურად — სულეი; გურულად და აჭარულად — ლერწამი; სვანურად — სელ; თუშეთსა და ფშავ-ხევსურეთში — ქუმელი; ქართლ-კახეთსა და იმერეთში — სელი) ჩვენს ქვეყანაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ამიტომაც დიდი ოდენობით ითესებოდა, განსაკუთრებით კი, დასავლეთ საქართველოში. ცნობილი იყო ორი ბიოეკოლოგიური ჯგუფი: თრიალეთსა და სამცხე-ჯავახეთში — ჩვეულებრივი სელი (Linum humille Mill.) და შავიზღვისპირეთში, სამეგრელოს, აფხაზეთის, გურიისა და აჭარის ტერიტორიაზე გავრცელებული — ღია სელი (Linum bienne Mill.), რომელიც „კოლხური სელის“ სახელწოდებითაც იყო ცნობილი. სელის ეს სახეობა განთქმული გახლდათ ანტიკური ხანის კოლხეთში, ჯერ კიდევ ძ.წ. V საუკუნეში. საყურადღებოა, რომ სელის კარბონიზებულ მარცვლებთან ერთად, სართავ-საქსოვი დაზგისა და სელის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა ნაშთები აღმოჩენილია ნოქალაქევის არქეოლოგიურ ძეგლებზე და ისინი ძ.წ. VII-I საუკუნეებით თარიღდება.

კოლხური სელის პოპულარობას მისი ბიოლოგიური თავისებურება განაპირობებდა. მცენარე ბევრ ნაყოფს, ანუ კოლოფს იკეთებს, აგრეთვე ახასიათებს მაღალღეროიანობა, ხშირფოთლიანობა, სუსტად არის განვითარებული ფესვთა სისტემა და ღეროზე მორიგეობითი ხაზური-ლანცეტა ფოთლები. საქართველოში ამჟამად თითქმის გამქრალი, უძველესი კულტურის ეს ცოცხალი რელიქტი, კოლხური სელი, თავისი ნიშან-თვისებებით შეიძლება მიჩნეულ იქნეს კულტურული სელის ერთ-ერთ წინაპრად, რასაც კიდევ ერთხელ ადასტურებს 2009 წელს, ჭიათურაში, ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილი სელის ნაშთები. ამჟამად მიიჩნევა, რომ ძუძუანაში ნაპოვნი სელისგან დამზადებული და მცენარეული საღებავებით შეღებილი ბოჭკოები მსოფლიოში უძველესია. მისი ასაკი დაახლოებით 35-34 ათასი წლით განისაზღვრა. ძუძუანას აღმოჩენამდე მსოფლიოში უძველეს ნიმუშად ჩეხეთში, დოლნი-ვესტონიცეში მიკვლეული ქსოვილი ითვლებოდა, რომელიც 29 ათასი წლისაა და ჭინჭრისგან არის დამზადებული. ქართველმა და უცხოელმა მეცნიერებმა ძუძუანას მღვიმეში აღმოჩენილი სელის ბოჭკოების შესანიშნავი ფოტოებიც დაამზადეს, რომელიც წარმოდგენას გვიქმნის ქსოვის მეთოდზე. ირკ-

ვევა, რომ საქართველოში აღმოჩენილი სელის ბოჭკო ტექნოლოგიურად ჯერ დაჭეჭყილია, მერე დაძეძგილი და შემდეგ კი მოქსოვილი. მოკლედ, ძუძუანას აღმოჩენა ცხადყოფს, რომ ეგვიპტელების მსგავსად, კოლხები სელის ქსოვილის წარმოებაში მსოფლიოს უძველეს ხალხებს განეკუთვნებიან. რამდენად ჰგავდა ურთიერთს თვით ქსოვილის დამზადების მეთოდები, ეს სამომავლო კვლევის საგანია, ამისთვის საჭიროა თანადროული ეგვიპტური და კოლხური ქსოვილის ნიმუშების შედარება. ამ ეტაპზე ერთი რამ აშკარაა, რომ ჰეროდოტე სელის მწარმოებლებად ეგვიპტელებსა და კოლხებს უსაფუძვლოდ არ მიიჩნევდა.

დიადი ფარაონი

ეგვიპტის ისტორია სესოსტრისის და მასთან მიმსგავსებული სახელით შუა სამეფოს XII დინასტიის სამ ფარაონს იცნობს: სენუსერტ I (დაახლ ძვ.წ. 1971-1926) სამხედრო საქმის გენიოსი იყო. მან ეგვიპტისთვის მანამდე არნახული ექსპანსიური პოლიტიკა წამოიწყო და სამხედრო ექსპედიციების დროს ეგვიპტის საზღვარი ნილოსის მესამე ჭორომამდე გადასწია. ბუჰენში, მეორე ჭორომთან, მან აღმართა გამარჯვების სტელა და გარნიზონი დატოვა. ამ დროის ეგვიპტური დასახლებები აღმოჩენილია აგრეთვე პალესტინასა და სირიაში, ეგვიპტური ნივთები ჩნდება კუნძულ კრეტაზეც.

სენუსერტ II-ის (დაახლ ძვ.წ. 1897-1878) მეფობის შესახებ ცოტა რამ არის ცნობილი. თავისი მამის, ამონემჰეტ II-ის მსგავსად, სამხედრო ექსპედიციები ნაკლებად აინტერესებდა და მთელი თავისი ენერგია ქვეყნის შიგნით მიმართა. საყურადღებოა, რომ სენუსერტ II-ის პირამიდის ქალაქში მრავლად აღმოჩნდა ნივთები კრეტიდან, რაც ამ კუნძულთან აქტიურ სავაჭრო ურთიერთობაზე მიუთითებს.

სენუსერტ III-ს (დაახლ. ძვ.წ. 1878-1841) მოიხსენიებენ, როგორც არა მარტო XII დინასტიის, არამედ ეგვიპტის ერთ-ერთ უდიდეს ფარაონსა და მებრძოლს. ამ გოლიათური გარეგნობის ფარაონის დროს XII დინასტიის წარმატებებმა კულმინაციას მიაღწია, მან ნუბია ეგვიპტის პროვინციად გადააქცია. თავისი გამარჯვების აღსანიშნავ ერთ-ერთ სტელაში ის შთამომავლობას მიმართავს: „მე გავწიე საზღვარი ჩემს წინაპრებზე უფრო შორს, მოვიპოვე მეტი, ვიდრე მათგან მქონდა

ვანის მეექვსე სამარხში აღმოჩენილი გულსაკიდი ფიბულით (ძვ.წ. IV საუკუნე)

კოლხური დიდრაქმის I ტიპის მონეტა. შუბლზე — მწოლიარე ლომი, ზურგზე — მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა

აპისის გრანიტის ქანდაკება მემფისიდან (ვატიკანის მუზეუმი)

აპისი ერთ-ერთ პაპირუსზე

დავალებული. მე ვარ მეფე, რომელიც აკეთებს იმას, რასაც ამბობს. ის შვილი, რომელიც დაიცავს ჩემს მონაპოვარს, ჩემი შვილია. ის, ვინც არ დაიცავს, ჩემი შვილი არ არის“ (იხ. მ. ხვედელიძე. „ძველი ეგვიპტის ენციკლოპედია“. თბილისი, 2013. გვ.: 405-408).

თანამედროვე მეცნიერებაში მიიჩნევა, რომ ჰეროდოტეს მიერ მოხსენიებული სესოსტრისი უფრო კრებითი სახელია და იგი შესაძლოა აერთიანებდეს როგორც სამივე სენუსერტ ფარაონის მიღწევებს, ისე ფარაონ რამზეს II-ისა და სეთი I-ის მოღვაწეობას. როგორც ჩანს, ანტიკურ სამყაროში ეგვიპტის ნამდვილი თუ გამოგონილი ამბები, მათ შორის, მმართველთა სხვადასხვა წარმატება რამე ქრონოლოგიის დაცვის გარეშე ერთი სახელის — სესოსტრისის ქვეშ მოაქციეს. აქ ჩვენთვის საგულისხმო ის არის, რომ ჰეროდოტეს მოთხრობილი ისტორია სიმართლის განსაზღვრულ ნაწილს მაინც შეიცავს — რომ სენუსერტად, აგრეთვე სესოსტრისად წოდებული ფარაონებს გარე სამყაროსთან მჭიდრო სავაჭრო თუ სამხედრო ურთიერთობა ჰქონდა. სამივე მმართველის ბიოგრაფიაში გამორჩეული ადგილი უკავია შორეულ საზღვაო ექსპედიციებს. საყურადღებოა სენუსერტ I-ის ერთ-ერთი წარწერა, სადაც ფარაონი აცხადებს: „ვეზირი ანტიფოკერი აშენებს გემებს, რათა ბია-პუნტის მხარეში წარგზავნოს“. „ბია-პუნტთან“ აქტიური საზღვაო ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტეს სენუსერტ II-ისა და სენუსერტ III-ის დროსაც.

პუნტში მოეწყო არაერთი ექსპედიცია, რომლებმაც ეგვიპტეში ჩამოიტანეს შავი ხე, საკმეველი, თვალების შესაღები შავი საღებავი, სპილოს ძვალი, ეგზოტიკური ცხოველების ტყავი, ოქრო. ამასთანავე, ჩამოიყვანეს დეკორატიული მაიმუნები და მონები. ზოგიერთი ეგვიპტური წყარო პუნტს ეგვიპტელთა წინარე სამშობლოდ, ეგვიპტური ღმერთების დაბადების ადგილად მიიჩნევს. XII დინასტიის დროს (რომელსაც სამივე ფარაონი სესოსტრისი მიეკუთვნება) ეგვიპტურ ფოლკლორში ჩნდება „ზღაპარი საზღვაო მოგზაურობის შესახებ“, რომელიც თავისი სიუჟეტით ძალიან ჰგავს მითს არგონავტების შესახებ. არგოს თავგადასავლის მსგავსად, ამ ზღაპარშიც არის გმირი, რომელიც 120-კაციან მეზღვაურთა ჯგუფთან ერთად, დიდი გემით, სპილენძის საბადოების საძიებლად შორეულ მოგზაურობაში მიდის. დიდი განსაცდელის შემდეგ, მისი გემი იღუპება და გმირი უკაცრიელ კუნძულზე ცეცხლისმფრქვეველი, ოქროსტყავიანი გველეშაპის მსგავსი დიდი გველის წინაშე აღმოჩნდება. გმირი დაკითხვის გამოცდას გაუძლებს და დასაჩუქრებული, პატივითა და ღირსებით სამშობლოში დაბრუნდება (იხ: Лившиц И. Г., Ольдерогге Д. А., Рубинштейн Р. И.. — Сказки и повести древнего Египта. — Л.: Наука, 1979. — С. 198.).

სწორედ ამ ზღაპარშია მოხსენიებული პუნტი, რომელსაც გველეშაპმა თავისი კუნძული მსგავსი სიმდიდრითა და სიუხვით შეადარა. პუნტში სახელგანთქმული საზღვაო ექსპედიცია მოაწყო დედოფალმა ჰატშეპსუტმა და ამ დიდებული მოგზაურობის ამსახველი არაერთი ცნობა თუ ჩანახატი შემორჩა ისტორიას.

ცნობების სიუხვის მიუხედავად, მეცნიერება დღემდე ვერ შეთანხმდა ბია-პუნტის

ზუსტი მდებარეობის შესახებ. ამიტომ დღემდე აქტუალურია კითხვა: რომელი რეგიონია ფარაონთაგან ასე მოწონებული „ბია-პუნტი“? მართალია, მეცნიერთა დიდი ნაწილი პუნტს წითელი ზღვის სანაპიროზე, არაბეთისა და სომალის ნახევარკუნძულთან ახლოს მდებარე ტერიტორიად მიიჩნევს, სულ ახლახან გამოითქვა მოსაზრება, რომ ტერმინი „ბია-პუნტი“ შესაძლოა სულაც არა რომელიმე კონკრეტულ გეოგრაფიულ ადგილს, არამედ რამდენიმე რეგიონის ერთობლიობას, ანდა ვაჭრობის აღმნიშვნელ საქმიანობას მოიცავდეს. ამ მოსაზრებას ნაწილობრივ ჩვენც ვეთანხმებით. ცხადია, ეგვიპტელები საზღვაო ექსპედიციებს მხოლოდ წითელ ზღვაში არ აწყობდნენ. ამასვე ადასტურებს „ზღაპარი საზღვაო მოგზაურობის შესახებ“, სადაც ეგვიპტელი გმირი არა პუნტში, არამედ სხვა, მანამდე უცნობ უკაცრიელ კუნძულზე მოხვდა. პუნტი რომ მხოლოდ წითელ ზღვას, ეთიოპიასა და მის მიმდებარე ტერიტორიას არ გულისხმობს, ეს კიდევ ერთი გარემოებიდანაც არის ცხადი — კერძოდ, ფარაონ ჰატშეპსუტის (ძვ.წ. 1473-1458) მიერ პუნტში მოწყობილი ექსპედიციის ამსახველ რელიეფზე ქერათმიან ადამიანთა ჯგუფი მოჩანს, რაც წითელი ზღვის რეგიონისთვის არ არის დამახასიათებელი და რამაც ეგვიპტოლოგების ნაწილს აფიქრებინა, რომ აქ საქმე ინდოევროპულ ელემენტთან და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან გვაქვს.

ამდენად, ტერმინი „ბია-პუნტი“ შესაძლოა ძველ ეგვიპტელთა წარმოდგენაში დიდ ტერიტორიას გულისხმობდა, რომელიც გადაჭიმული იყო წითელი ზღვიდან შავ ზღვამდე. თავად ტერმინი „პუნტი“ ძალაუნებურად შავი ზღვის ძველ სახელწოდებას „პონტოს“ (Pontus Euxinus) გვახსენებს. კოლხეთსა და შავი ზღვის რეგიონში ეგვიპტურ ცივილიზაციასთან კონტაქტის დამადასტურებელ ბრწყინვალე არტეფაქტად შეიძლება დავასახელოთ ვანის მეექვსე სამარხში აღმოჩენილი გულსაკიდი ფიბულით, რომელიც ძვ.წ. IV საუკუნით თარიღდება და რომლის გაფორმებაში აშკარად ვხედავთ ეგვიპტური ხელოვნებისთვის დამახასიათებელ ფერთა გამასა და სიუჟეტს. სხვათა შორის, ეგვიპტურ-კოლხური კონტაქტების საილუსტრაციოდ იმავე ფიბულაზე ჯერ კიდევ 1985 წელს საუბრობდა ცნობილი მეცნიერი რ. ჯაირაზბოუ.

ეგვიპტელების აქტიურ სავაჭრო ურთიერთობა კრეტასთან დადასტურებული ფაქტია. ამიტომ ეგეოსის ზღვიდან შავ ზღვამდე შორეული ექსპედიციის მოწყობა ფარაონთა ზღვაოსნებისთვის, ვფიქრობთ, შესაძლებელი იქნებოდა, თუმცა ეს დიდი თავგადასავალი არაერთ ლეგენდასა თუ მითს დაუდებდა საფუძველს...

* * *

კოლხეთთან დაკავშირებულ მითოლოგიასა და კოლხურ კულტურაში ეგვიპტურ ცივილიზაციასთან პარალელის არაერთი მაგალითი იკვეთება. ამ მხრივ ყურადღებას, პირველ ყოვლისა, კოლხურ თეთრზე გავამახვილებთ.

ძვ.წ. VI-III საუკუნეების ეს ვერცხლის მონეტა კოლხეთის სამეფოში უნდა მოჭრილიყო. საქართველოს გარდა მონეტები აღმოჩენილია ყირიმში, სოჭის რაიონში, ტრაპეზუნტის მიდამოებში, ქართლში, ხოლო დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კი მეორე ტიპის კოლხური მონეტები ნაპოვნია ათასობით. მკითხველის ყურადღება ამ ეტაპზე კოლხური დიდრაქმის I ტიპზე გვინდა შევაჩეროთ. აქ, მონეტის შუბლზე მარჯვნივ ან მარცხნივ მიმართული მწოლიარე ლომის გამოსახულებაა, ზურგზე კი — ჩაჭდეულ სწორკუთხედში მოთავსებულია მარცხნივ ან მარჯვნივ მიმართული მუხლმოდრეკილი ხარისთავიანი ადამიანის ფიგურა. ცხოველისთავიანი ღმერთების პანთეონი სწორედ ეგვიპტისთვის არის დამახასიათებელი. ამასთანავე, კოლხური თეთრის ზურგზე გამოსახული ფიგურა თავისი იკონოგრაფიით აუცილებლად გაგვახსენებს

ძველბერძნული მითოლოგიის მინოტავრის კულტიც ეგვიპტური რელიგიის კვალს ატარებს



ვერძისსახიანი ღვთაება ხნუმი

ეგვიპტეში ძვ.წ. 1550-1391 წლებში დამზადებული ბრინჯაოს ხარის თავი

ძველეგვიპტურ ხარისთავა ღმერთ აპისს. აპისი ნაყოფიერების ღმერთი იყო, რომელსაც ცოცხალი შავი ხარის სახით ეთაყვანებოდნენ. იგი ცხოველთა შორის ერთ-ერთი ყველაზე უძველესი და უმნიშვნელოვანესი გაღმერთებული არსებაა. პალერმოს ქვაზე მისი კულტი უკვე I დინასტიის დროს არის დაფიქსირებული. კოლხურ ნომინალზე გამოსახული არსება თავისი ფორმითა და პოზით ძალიან ჰგავს ძვ.წ. 1550-1070 წლების მონაკვეთში მემფისში გრანიტისგან დამზადებულ აპისის ქანდაკებას (დაცულია ვატიკანის მუზეუმში). აშკარა პარალელი იკვეთება ერთ-ერთ პაპირუსზე და ლუქსორში, დეირ ელ მედინაში, პტოლემეოსების ტაძრის კედელზე გამოსახულ რელიეფთანაც. კოლხურმა ხარისთავა ადამიანმა ბერძნული მითოლოგიის პოპულარული გმირი მინოტავრიც შეიძლება გაგვახსენოს, თუმცა თავად მინოტავრის კულტიც ეგვიპტური რელიგიის კვალს ატარებს. ვფიქრობთ, არც არგონავტების მითის ის პასაჟი უნდა იყოს შემთხვევითი, როცა კოლხეთში ჩასულ იაზონს მეფე აიეტმა დაავალა, უღელში შეება სპილენძის ცეცხლისმფრქვეველი ხარები და მიწა ისე მოეხნა... ეს ამბავი რაღაცით ძველ ეგვიპტეში მინდვრების გასანაყოფიერებლად დამკვიდრებულ ტრადიციას გვაგონებს. ამ დროს აპისი მინდვრებს რიტუალურად შემოივლიდა, მოქმედებას სანახაობისა და ზეიმის სახე ჰქონდა და მას „აპისის რბოლა“ ეწოდებოდა.

ხარი ფიგურირებს კოლხური მონეტების ყველაზე გავრცელებულ, მეორე ტიპის ნახევარდრაქმებზე. აქ ზურგზე, მარჯვნივ მიმართული ხარის თავია ამოტვიფრული. ეს გამოსახულებაც იკონოგრაფიულად ძალიან ჰგავს XVIII დინასტიის დროს ეგვიპტეში ძვ.წ. 1550-1391 წლებში დამზადებულ ბრინჯაოს ხარის თავს და კარნაკის ტაძარზე გაკეთებულ რელიეფს.

ამდენად, კოლხურ ნომინალზე გამოსახული ხარისა და ხარისთავიანი არსების მსგავსება ეგვიპტური მითოლოგიის ერთ-ერთ მთავარ ღვთაებასთან — აპისთან ძალაუნებურად გვახსენებს ჰეროდოტეს ნათქვამ სიტყვებს კოლხებისა და ეგვიპტელების შესახებ, რომ მათ „მთელი ცხოვრება და ენა მსგავსი აქვთ ერთმანეთისა“. საყურადღებოა, რომ კოლხთა მეფე აიეტი მითის მიხედვით, ჰელიოსის შვილი იყო და ამდენად, მზის შვილად იწოდებოდა, თუ ეგვიპტელ ფარაონთა წოდებას შეადარებთ, ვნახავთ, რომ ბევრი აქვთ საერთო. სიტყვები „რას ვაჟიშვილი“ (ანუ მზის ვაჟიშვილი) V დინასტიიდან ფარაონების ტიტულატურის აუცილებელი კომპონენტი იყო. არგონავტების მითის მეორე პერსონაჟი ვერძიც არ იყო უცხო ეგვიპტური რელიგიისთვის, ოქროსფერ და ოქროსტყავიან ვერძს ეგვიპტურ თქმულებებში არაერთხელ ვხვდებით. ვერძის ტყავით ამონის ქანდაკებას მოსავდნენ, ოქროს ვერძის ფიგურა კი ფარაონ რამზეს III-ის გემ უსერჰეტს თავსა და ბოლოში ამშვენებდა, ზემო ეგვიპტის XXI ნომში კი ვერძისსახიან შემოქმედ ღვთაება ხნუმს ეთაყვანებოდნენ.

ზემოთ ჩამოთვლილი მსგავსებები თუ პარალელები საკმარისზე მეტია საიმისოდ, რომ ქართული მეცნიერება უფრო სერიოზულად და საფუძვლიანად დაინტერესდეს ჰეროდოტეს ცნობების შინაარსით. მის მონათხრობში ძველი გადმოცემების პლასტების კვლევა, ვფიქრობთ, არაერთ საინტერესო შედეგს მოგვცემს. სასურველია, ეს სამუშაო ეგვიპტოლოგებთან ერთად წარიმართოს, რადგან დარწმუნებული ვართ, ძველეგვიპტურ ენაშიც ბევრი შთამბეჭდავი მინიშნების პოვნა შეიძლება. ძველი კოლხეთის იდუმალი და ძალიან საინტერესო ისტორია მომავალში არაერთ აღმოჩენას გვპირდება.

გიორგი კალანდია

ხელოვნების სასახლის დირექტორი, პროფესორი

დასახლება ხევაის თემში

ტაო-კლარჯეთის საცხოვრებელი ნაგებობები

ქართულ ეთნოლოგიაში დასახლებასთან, საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობების შესწავლასთან დაკავშირებით მრავალი კვლევაა ჩატარებული. რაც შეეხება საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილ კუთხეებს, აქ ყოველი ეთნოგრაფიული ექსპედიცია, ყოველი ახალი მასალა ყოფისა და კულტურის სფეროდან გამორჩეულად საინტერესოა. განსაკუთრებით ეს ითქმის ე.წ. „თურქეთის საქართველოზე“ — ტაოზე, კლარჯეთზე, შავშეთ-იმერხევზე, ნიგალზე, თორთუმზე და სხვ. ამ ისტორიულ მხარეებს დღეს ხშირად ერთი — ტაო-კლარჯეთის ცნების ქვეშ აერთიანებენ. მეტიც, კოლა-არტაანი და მასში შემავალი კუთხეები, ერუშეთი, ჩრდილ-პალაკაციო და სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული ერთეულებიც მასში შეჰყავთ.

სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ერთიანი სურათი

კლარჯეთში ქართული მოსახლეობა რეალურად, მდინარე ჭოროხის ქვემო წელითა და მისი შენაკადით — იმერხევისწყლით წარმოგვიდგება. კიდევ უფრო შემცირებულია ქართული წარმოშობის მოსახლეობისა და განსაკუთრებით, ქართულ იდენტობაშენარჩუნებულ ტაოელთა განსახლების არეალი და მათი რიცხვი. არსებითად, მათი განსახლება ამოიწურება ჭოროხის შენაკადის — პარხლისწყლის ხეობით და მისი ადმინისტრაციული ცენტრით — იუსუფელით, ყოფილი ვეჟანეთით. პარხლისწყლის ხეობაში ეთნიკური ქართველები სამ თემში არიან განსახლებული. ესენია ქობაი, ხევაი და ბალხი. ზემო და ქვემო პარხლისწყლის ხეობის სხვა დასახლებებში მათ ერთი მხრივ, თურქული წარმოშობის ხალხიც ერევა, მეორე მხრივ, აქაური ქართველების ერთ ნაწილში ქართული ცნობიერება იმითღა გამოიხატება, რომ მხოლოდ იციან თავიანთი ქართული წარმომავლობის შესახებ.

ამ მხარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის შესწავლისას საინტერესო სურათს იძლევა ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის ტრადიციული საცხოვრებლისა და სამეურნეო ნაგებობათა გაცნობა. ეთნოლოგიურ მეცნიერებაში ჯერ კიდევ წლების წინ იყო გამოთქმული მოსაზრება, რომ „აჭარულ, შავშურ-იმერხეულ, ლაზურ საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა, გამოიკვეთოს ერთიანი სურათი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ხის დამუშავების ისტორიაში“ (ეთნოლოგი ნოდარ კახიძე). დავამატებთ, რომ არა მხო-

იმერხევი. დირბანის თემი. ზვიასპირული დასახლება

ლოდ ამ მიმართულებით, არამედ საზოგადოდ, იკვეთება ერთი, გენეტიკური მაგისტრალური ხაზი ამ მხარის საცხოვრისის ფორმირება-განვითარების მიმართულებით.

ტაო-კლარჯეთისა და აჭარის ნაგებობანი

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ცნობილი მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე წინასწარმეტყველურად გამოთქვამდა აზრს ტაო-კლარჯეთისა და აჭარის საცხოვრებელ ნაგებობათა იდენტურ ტიპებზე. ჩვენი მხრივ დავძენთ, რომ მთლად იდენტურობა ცოტა გადამეტებულია, მაგრამ იკვეთება ერთი ძირითადი ტიპი ცალკეული ვარიაციითა და კონკრეტული არქიტექტურული ელემენტებით. იგულისხმება როგორც გარეგნული მხარე, ისე შიდა სტრუქტურული დაგეგმარება.

ამავე დროს, კიდევ ერთხელ დასტურდება ზაქარია ჭიჭინაძის დასკვნა, რომ საცხოვრისის განვითარების მხრივ ქართველი მაჰმადიანები ბევრად უფრო მაღლა დგანან, თვით ნამდვილ ოსმალებზეც კი. ამის დასტურია ის, რომ ეთნიკურმა თურქებმა გადაიღეს ასეთი საცხოვრებლები და არა მხოლოდ ტაო-კლარჯეთში. მატერიალური კულტურის ეს ელემენტი აჭარიდან და ჭოროხის ხეობის ქვემო წელიდან 1877-1878 წლებში, თურქეთის შიდა რეგიონებში მუჰაჯირებად წასულმა მოსახლეობამ შეიტანა იქაურ დამხვდურ მოსახლეობაში. სწორედ ასეთი სურათი დასტურდება სამხრეთ შავი ზღვისპირეთსა და მარმარილოს ზღვის სანაპირო რეგიონშიც.

ქვითკირისა და ხის მასალის მონაცვლეობა

ეთნოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ ტაო-კლარჯეთში საცხოვრებლის ტიპი საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ტრადიციული ელემენტებით გამოირჩევა. შავშეთ-იმერხევში ნაგებობანი უმეტესად ხის კონსტრუქციისაა. კლარჯეთის დანარჩენ ნაწილში, განსაკუთრებით ნიგალში უმეტესად კომბინირებული ხასიათი აქვს — ქვითკირი (ზოგჯერ აგურიც) და ხემასალა ერთად არის გამოყენებული. აქ აშკარად იკვეთება ლაზური საცხოვრებლის გავლენა. ასეთი ტიპის სახლები სამეცნიერო ლიტერატურასა და ეთნოგრაფიულ ყოფაშიც სხვადასხვა სახელით არის ცნობილი: დოლმიანი/ტოლმიანი სახლი, ჩალანგარიანი სახლი, ფახვერკი, ჩაკატურა, კადამა სახლი.

დაახლოებით მსგავსი სურათი იკვეთება ტაოში. პარხლისწყლისა და მისი შენაკადების სანაპიროებზე განლაგებულ სოფლებში ქვითკირისა და ხის მასალის მონაცვლეობა უფრო თვალში საცემია.

ამ შემთხვევაში, პირველი სართული (პირველი ყათი), როგორც წესი, ქვითკირისაა, ხოლო ზედა სართული ხისა. ასეთი სურათი დასტურდება ხევაის თემში შემავალ სოფლებში. თუმცა გვხვდება ხის ნაგებობანიც. ამ შემთხვევაში პირველი სართული ძელური ანუ ჯარგვალულია, ხოლო მეორე და თუ არის მესამე სართულიც — ფიცრისა. ქობაისა და ბალხის თემებში შემავალ სოფლებში საშენ მასალად უკვე ქვითკირი დომინანტობს. ამის მიზეზი მთისთვის დამახასიათებელ გამკაცრებულ კლიმატურ პირობებში უნდა ვეძებოთ.

მთური დასახლებები

ტაო-კლარჯეთის მოსახლეობის სამეურნეო ყოფისთვის დამახასიათებელია მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის სიმბიოზური მეურნეობა, სადაც ეს ორი დარგი მჭიდროდ არის ურთიერთშეთანწყობილი. მესაქონლეობა ორივეგან, ზემოაღნიშნულ თემებში, ტრადიციულად მთაბარული იყო, რაც შემცირებული მასშტაბებით ახლაც გრძელდება. იმის გამო, რომ მაისი-სექტემბრის თვეებში საქონელი მთაში აჰყავდათ, ბუნებრივია ამან მოითხოვა საზაფხულო, მთური დასახლებები, რომელსაც ტაოში აგარებს უწოდებდნენ, სხვაგან იაილებს/იალაღებს.

აგარებში ანუ იაილებში, როგორც წესი, საზაფხულო ხის ნაგებობანია. მათზე თვალყურის გადევნება წარმოგვიდგენს იმ განვლილ გზას, რომელიც შავშურ-იმერხეულმა ტრადიციულმა ხის სახლმა, როგორც იმერხევში უწოდებენ, „შეშის სახლმა“ გაიარა. მსგავსი გზა აქვს გავლილი აჭარაში არსებულ ტრადიციულ სახლებსაც.

როგორც ირკვევა, საცხოვრებელ ნაგებობათა ადრეულ ტიპს, აჭარის მსგავსად, წარმოადგენდა ერთსართულიანი, კუთხეებში ერთმანეთში ძელებჩაჭდევებული ჯარგვალური სახლი, რომელსაც ზირთული (ძირთული) ჯარგვალი ეწოდებოდა. მის საფუძველზე უნდა განვითარებულიყო ზედშედგმული ანუ ორსართულიანი ძელური ნაგებობანი. ამ შემთხვევაში, ცალკე მდგომმა საქონლის სადგომმა ანუ ახორმა ერთიან კომპლექსში, პირველ სართულზე გადმოინაცვლა. მეორე სართული კი ოჯახის სამყოფი სივრცეა. ასეთი სახლები შემორჩენილია ბაზგირეთის, ზაქიეთისა და სხვა იაილებში.

ხის (შეშის) სახლები

ამრიგად, ზედშედგმული ჯარგვალიდან განვითარდა იმერხეული (და აჭარული), ფიცრებით ნაშენები ხის სახლი, იმერხევში შეშის სახლად წოდებული. ასე განვითარდა შავშეთ-იმერხევში ბოლო დრომდე გავრცელებული, ვერტიკალურ განზომილებიანი, ორ- ან სამსართულიანი ხის სახლები. ისინი ზემო აჭარის საცხოვრებელ ნაგებობებს ჰგავს, ამავე დროს, დამოუკიდებელი, ორიგინალური კონსტრუქციული ელემენტებითაც ხასიათდება.

კერძოდ, იმერხეულ შეშის სახლში მეორე და ზოგ შემთხვევაში მესამე სართული საცხოვრებელ ფართობს უკავია. მთავარი კომპოზიციური ადგილი დღეს ე.წ. სალონს უჭირავს. ეს არის მისაღები ოთახი, რომელსაც აჭარაში მეიდან ოდა ჰქვია. მთელ სივრცეს შუაზე გასდევს დერეფნის სისტემა ანუ დეფანი. ოთახები კი მის აქეთ-იქითაა განლაგებული.

ვერტიკალური დაგეგმარების ტრადიციული სახლი წყალსიმერში

სოფელი უბე

მათ შორის საძინებელი ოდები უფროსი და ცოლიანი ვაჟებისთვის. ერთი ოთახი ე.წ. მუსაფირ ოდაა, ანუ სტუმრის ოთახი.

უნიკალური შემთხვევა გვაქვს სტუმრის ოთახთან დაკავშირებით აჭარულ სახლში. ეს არის სხვა სივრცეებისგან სრულიად იზოლირებული ოთახი, რომელსაც ცალკე შესასვლელი აქვს და ადრე ის არ იკეტებოდა. დაგვიანებულ სტუმარს, მგზავრს ისე შეეძლო აქ შესულიყო და მოესვენა, რომ ოჯახი არ შეეწუხებინა და მათ დილით შეხვედროდა. აქ მას მინიმალური გასამასპინძლებელიც ხვდებოდა. ყოფილა შემთხვევა, მოჩქარე სტუმარი ოჯახს არც შეხვედრია.

ტერმინი ოდა როგორც იმერხევში, ისე აჭარაში ოთახის აღმნიშვნელია. ეს ტერმინი მოგვიანებით დასავლეთ საქართველოს ხის არქიტექტურაში, კერძოდ, კოლხეთის დაბლობზე, XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული საცხოვრისის სახელად იქცა. იმერხეულ სახლში მეორე სართულზე განთავსებულია მუთუაღი ანუ სამზარეულო. ზოგჯერ აქვე ხდებოდა რძის პროდუქტების გადამუშავება.

ამ საქმისთვის აჭარულ სახლში არის ორიგინალური სივრცე, რომელიც გრილ მხარეს მდებარეობდა და მეტად ნიავდებოდა — სარძიე. აქ დიასახლისი სრული „ბატონ-პატრონი“ იყო. რძის პროდუქტებს აქ ყოველდღიურად გადაამუშავებდნენ. მასში აუცილებლად იყო განთავსებული სადღვებელი ანუ ვარია, რომელიც დღეს ხშირ შემთხვევაში კაიმაღის, ერბო-კარაქის, აირანის ანუ დოს მისაღებმა სეპარატორმა შეცვალა.

იმერხეული სახლი. ტანტრაბა

ეთნოგრაფიული მასალით ირკვევა, რომ იმერხევის ზოგ სოფელში (დიობანი, ქოქლიეთი) სამზარეულოს დანიშნულების ოთახს მარანი ერქვა. შესაძლებელია, ეს იყოს გამოძახილი ერთ დროს კლარჯეთში

სოფელი მანატბა. შეჯგუფებული დასახლება ტყის პირას

განვითარებული მევენახეობა-მეღვინეობისა, რაც ვაზის ჯიშების მიხედვითაც დასტურდება. ღვინოს ამჟამად ცხადია, არ აყენებენ, თუმცა ვაზი თითქმის ყველა კარ-მიდამოშია (ასევეა მუჰაჯირთა შთამომავლების ეზოებში) და ხილის დანიშნულება აქვს. შერბეთსაც თითქმის არ ამზადებენ, ხოლო ბექმეზს მხოლოდ სხვადასხვა სახის ხილისგან წურავენ სპეციალურ მოწყობილობაში და იქვე, ღია კერაზე ადუღებენ.

იმერხეული სახლის აივანი თავისი გაფორმებით, სწორედ ის ერთ-ერთი გამორჩეული დეტალია, რომლითაც აქაურ საცხოვრისს გამოარჩევ თუნდაც საქართველოს სხვა კუთხეების სახლებისგან. და არა მხოლოდ აქ, არამედ, მუჰაჯირთა სოფლებში მსგავსი ელემენტით შეიძლება დაასკვნა, რომ მათი წინაპრები იმერხევიდან წამოსულან. იმერხევში მას ტანტრაბას უწოდებენ, ბევრგან სახლს მთელ სიგრძეზე გაჰყვება და სიგანეზეც ვრცელდება.

ტანტრაბას იმერხეულ სახლში აქვს როგორც მოსასვენებელი ფუნქცია, ასევე სამეურნეო დანიშნულებაც. აივანი, როგორც წესი, შემოზღუდულია შალამფორით. იმერხეული შალამფორი ცერად გადაჯვარედინებული სუფთად დამუშავებულ-დაკუთხული ლარტყებისგან არის შეკრული. მრგვლად გამოხარატებული რიკულები თითქმის არ გვხვდება, ისევე როგორც ჭვირულად გამოჭრილი მოაჯირი. აგრეთვე ძალიან იშვიათად ვხვდებით ვერტიკალურად აღმართულ დაკუთხულ მოაჯირს.

იმერხეული სახლის კიდევ უფრო ორიგინალური ელემენტია ე.წ. ქოშქი/კოშკი. ეს არის აივანზე წინ წამოწეული არქიტექტურული ელემენტი, რომელსაც აქვს მოსასვენებელი სექვი/სკამლოგინი, „ჩაშენებული“ ტახტი. სექვი ფართოდ გამოიყენება. ეს არის ოთახებში, კედლებზე მიჭედებული ან მყარად ჩასმული ერთგვარი განიერი ტახტები. ისინი არა მხოლოდ საწოლია, არამედ დღის განმავლობაში დასასვენებელიც. ფარდაგ- ან ხალიჩაგადაფარებულ სექზე ფეშხუმი ანუ მრგვალი, დაბალი ე.წ. სუფრა იდგმებოდა, სადაც ოჯახი ფეხმორთხმული სადილობდა.

ესთეტიკური გაფორმებით პარხლისწყლის ხეობის სახლები, ჩემი აზრით, შავშურ-იმერხეულ შეშის სახლებს ჩამოუვარდება. ნაკლებად ნატიფია, თუმცა მათში მეტი სიმკაცრე და სიძლიერე იგრძნობა. შთამბეჭდავ სურათს

მესაქონლეთა დასახლება — იაილა/აგარა, იგივე იალაღი

მესაქონლეთა საზაფხულო დასახლება არსიანის ქედზე

(ზემოთ) ტაო. სოფელი ბალხიბარი. სერისპირული დასახლება. (ქვემოთ) თანამედროვე სახლი წყალსიმერში ტრადიციული ელემენტებით

ლაზური სახლი მურღულის ხეობაში

ქმნის ქობაის ორ- და სამსართულიანი ძველი, ასწლოვანი და ზოგჯერ უფრო მეტი ხნის ქვითკირის სახლები. თუმცა, ბოლო სართულის გაფორმებაში აუცილებელი ელემენტია ხის ფიცრებისგან შედგენილი სადა, მაგრამ მკაცრი, თითქოს „უწესრიგოდ“ აგებული აივნები.

ეს რაც შეეხება გარეგნულ მხარეს და ასაგებ მასალას. საცხოვრებლის შიდა დაგეგმარება კი ტაოს საცხოვრებელ ნაგებობებში, როგორც ფუნქციური დაგეგმარების, ისე ოთახების განლაგების სისტემით, მსგავსებას ამჟღავნებს შავშურ-იმერხეულ, აჭარულ და ლაზურ საცხოვრისთან.

ტაოში ქვითკირის ინტენსიური გამოყენება ერთი მხრივ აქაური, უფრო მკაცრი კლიმატური პირობებით უნდა აიხსნას, მეორე მხრივ კი ხემასალის შედარებით ნაკლები ხელმისაწვდომობითა და ქვის სამტეხლო-კარიერების სიუხვით.

ორასწლიანი სახლები

ქობაის თემი ორი მეჰელეს, ანუ უბნის, არსებითად კი სოფლისგან შედგება — გაღმა და გამოღმა ქობაისგან. გამოღმა ქობაიში აღვნუსხეთ ორი უნიკალური, ორასწლიანი სახლი.

ერთი მათგანი, რომელიც სულიშვილებს ეკუთვნოდა, ფაქტობრივად, დაშლილი იყო და პირველი სართულის ფრაგმენტებიღა იყო შემორჩენილი ორი გამორჩეული ელემენტით:

თანამედროვე იმერხეული ხის სახლი ტრადიციული ელემენტებით (ქოქლიეთი. დიობანის თემი)

შავშურ-იმერხეული ხის (შეშის) სახლი სოფელ ტბეთში

წარწერიანი და ორნამენტირებული ბუხრითა და მაღალი ოსტატობით შესრულებული შესასვლელი თაღით. ეს თაღი იმდენად შთამბეჭდავად და ნატიფად გამოიყურებოდა, რომ ეჭვის შეტანაც კი შეიძლებოდა საცხოვრებლისადმი მის კუთვნილებაში. გამოკითხვით დადგინდა, რომ ეს სახლი თავის დროზე სულიანთების ანუ სულიშვილების საკუთრება ყოფილა.

სოფლად ასეთი პატრონიმიული დაყოფა ან პატრონიმიულ სოფლებად დასახლება დამახასიათებელი იყო ტაოსთვის. გვარები ან ერთად, უბნებად ცხოვრობდნენ ერთ სოფელში (ქობაის შემთხვევაში), ან მცირე პატრონიმიულ სოფლებად ხევაის თემის მაგალითზე. ხევაის ეს სოფლებია (ანუ მაჰალეები, როგორც აქ უწოდებენ): ელიასხევი, ქორიეთი, ქონობანი, ბოსლეკარი, გოდღეკარი, დოლენჯეკარი, კრეეკარი, ჭელენკარი, ღოღენკარი, ვაჩეკარი, ჰამფენარი, ფიძნარხევი, ქელაზორი (ჭედლიანთკარი), დევსეკარი, სადღიკარი, ობლეკარი, იეთი...

დავუბრუნდეთ ქობაის სახლებს. აქ აღნუსხული მეორე, უნიკალური (როგორც მფლობელთა გამოკითხვით დადგინდა, ორსაუკუნე-ნახევრის) საცხოვრისი ქუჩუკ ფოირაზის დიდი ოჯახის სამკვიდროს წარმოადგენდა და ამჟამად ფატმა ქუჩუკ ფოირაზის საკუთრებაშია. იგი კირით (კილით) და კვადრებად დამუშავებული ქვით არის აგებული და შიგნიდან, ნაწილობრივ თიხის კონსისტენციით შელესილი. ამ ოჯახის ძველი, პატრონიმიული გვარია ბექირიანი.

ქობაიში (გამოღმა ქობაი) ბექირიანების გვერდით ცხოვრობენ სულიაშვილები (დღევანდელი გვარი სოლოღლი), ყემბერიანები (სარიყაია), გულუანები (იშიქჩინ), მოლიანები (ერგუნ), დერვიშიანები, ლაღიჩიანები, ველიანები, ხოჯიანები, სოფიანები, ქობელიანები...

აღსანიშნავია, რომ მიგრაციის პროცესმა ქობაისაც დაატყო თავისი კვალი. ბოლო ოცი წელიწადია, ზამთარში აქ აღარ რჩებიან. უკეთეს შემთხვევაში, იზამთრებენ ქობაის ბარში: ჭალათში, მახათეთში, ფიქალთავში, აგრეთვე სარიგოლსა და იუსუფელში. ნაწილი კი საცხოვრებლად გადასულია ბურსაში, ინეგოლში, სტამბულში და ზაფხულობით აკითხავენ თავიანთ ტრადიციულ სამკვიდროს. ჩვენი მასპინძლისა და გამყოლის, ონურ სარიყაიას ოჯახიც ბურსაში ცხოვრობს, ხოლო თვითონ ონურმა, რომელიც სამაგალითო ქართული პატრიოტიზმით გამოირჩევა (ამავე დროს, თურქეთის რესპუბლიკის ღირსეული მოქალაქეა) დამოუკიდებლად შეისწავლა ქართული ენა და წერა-კითხვა.

(დასასრული მომდევნო ნომერში)

ნოდარ ზოუიტაშვილი

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

სულიშვილების XIX საუკუნის სახლიდან კვადრებით გამოყვანილი შესასვლელი და რამდენიმე დეტალია დარჩენილი

სულიშვილების სახლის ბუხრის წარწერიანი დეტალი (ოსმალურად)

ᲨᲘᲚᲓᲘᲡᲚᲘ

2019 წლის თებერვლის ნომერში იხილეთ

F-15 EAGLE
ამერიკული არწივი

თანამედროვე ტექნოლოგიები სამხედრო ავიაციის განვითარების უმთავრესი წინა პირობაა. ახალი შენადნობები, მასალები, მათი დამუშავების მეთოდები, უახლესი ელექტრონული სისტემები – ყოველივე ეს ინჟინრებს არსებულის გაუმჯობესებისა და რადიკალურად ახალი საფრენი აპარატების შექმნის საშუალებას აძლევს.

1950-იან წლებში სამხედრო ავიაციის, კერძოდ, გამანადგურებლების თაობების მიხედვით დაყოფა დაიწყო. ყოველი მომდევნო წინასგან საბრძოლო და საფრენოსნო შესაძლებლობებით გამოირჩეოდა.

1962 წელს წინდახედულმა ამერიკელებმა მეოთხე თაობის გამანადგურებელზე დაიწყეს მუშაობა. პირველ ეტაპზე პროგრამა F-X (Fighter Experimental) კვლევითი უფრო იყო. მომავალში ამ თვითმფრინავს F-4 Phantom II-ის „ოჯახი“ და F-101, F-102 და F-106 უნდა ჩაენაცვლებინა.

1965 წელს სამხედრო ავიაციის სარდლობამ თავისი მოთხოვნები წამოაყენა: F-X-ს ბგერის სამი სიჩქარით უნდა ეფრინა და მძლავრი რაკეტული შეიარაღება უნდა ჰქონოდა. სახმელეთო მიზნებთან ბრძოლის შესაძლებლობა არ განიხილებოდა. ავიატორებს ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ამოცანების გადაჭრაზე მორგებული თვითმფრინავი სჭირდებოდათ. საქმე ის არის, რომ იმ დროს ამერიკელებს დიდ საფრთხედ წარმოედგინათ ფრთოსანი რაკეტებით შეიარაღებული საბჭოთა ბომბდამშენები, მაგრამ ვიეტნამის ომმა პროგრამაში კორექტივები შეიტანა...

„მარშლიაანთ ხარჯები“

რუსეთის არმიის ეგერთა პოლკის შემოსვლა ტფილისში (1799 წლის 26 ნოემბერი)

როგორ უხდიდნენ „საქართამო ხარკს“ რუსეთის მიერ საქართველოში დანიშნულ მოხელეებს

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით ქართლ-კახეთის სამეფო პოლიტიკური რუკიდან გაქრა. თუმცა, ამ აქტის ავტორი, რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I ცდილობდა ისე წარმოეჩინა, თითქოს ამით საქართველო უფრო მეტ სარგებელს იღებდა, ვიდრე რუსეთი და ეს გაჭირვებაში ჩავარდნილი ერთმორწმუნე ქვეყნისადმი კეთილშობილური ჟესტი იყო: „არა აღორძინებისათვის ძალთა, არა ნივთთათვის, არა განვრცელებისათვის საზღვართა, და ესრეთცა უკვე ვრცელისა ქვეყანასა ზედა იმპერიასა შინა მივიღებთ ჩვენთვის ზედა ტვირთსა საქართველოს სამეფოსა მართებელობისასა. მხოლოდ პატივი და კაცობრიობა სდებენ ჩვენზედა საღმრთოსა ვალსა“, — „წუხდა“ საქართველოს ბედზე უზარმაზარი ქვეყნის იმპერატორი.

არანაკლებ „კეთილშობილი“ მისია ჩანს იმპერატორის მიერ საქართველოში პირველ ხელისუფლად დანიშნული კარლ კნორინგის განცხადებაში: „ვიწყევ რა აღსრულებად მოყვანება უმაღლესისა ნებისა მისის დიდებულებისა ყოვლისა როსიისა იმპერატორისა, მაქვს მე ვალი და შეკრულება, რათა განვაწესო სასამართლო და განმგებლობა, ეგრეთვე კეთილწესობაცა, რათა შევზღუდო სამფლობელონი ესე გარეშეთა დაცემათა გამო, დავიცვა მცხოვრებელნი მათნი უშიშროებასა შინა თვით თავისა მათისა და ქონებისაცა და მივაღწიო ყოველთადმი დაფარვა, რწმუნება და განსვენება მმართებელობითა, რათა მისცეს მართლმსაჯულება დაჩაგრულსა, შემწე ექმნას არა ბრალულებასა და სამაგალითოთა ბოროტთა დაისაჯოს კანონთ გარდამავალი“.

მანიფესტის თანახმად, „საქართველოს მმართველობის“ ყველა მნიშვნელოვან თანამდებობაზე რუსი მოხელეები დაინიშნენ. უმეტესობამ მალევე გამოამჟღავნა უგვანი დამოკიდებულება ყოველივე ადგილობრივის მიმართ და მიუხედავად კნორინგის „სამართლებრივი გარანტიებისა“, მექრთამეობით, ლოთობითა და ყოველგვარი მანკიერი თვისებებით გამოიჩინა თავი. ამ ფაქტმა მათ მომხრე და მეხოტბე

ადგილობრივ მოსახლეობაშიც კი დიდი იმედგაცრუება და შიში გამოიწვია. ავადმყოფ და ლოგინად ჩავარდნილ ეგნატე იოსელიანს (პლატონ იოსელიანის მამას) 1829 წელს მის სანახავად მისულ თეკლა ბატონიშვილისთვის შეუჩივლია: „არვინ ველოდით რუსთაგან ამას ...ახლა ვჰხედავთ რაოდენ ძნელი ნათესავი ყოფილა. ძლიერნი ძალთა სიმძლავრითა, თურმე ყოფილან სუსტნი ზრდილობითა, უცნობნი კაცთა, არა დამფასებელი ღირსებათა, ცივად მხედველნი, ცივად მგრძნობელნი; მეფენი მათნი თვისთა ერთაგან დაშორებულნი და ვითარცა ტყვენი ვეზირთა ხელთა შინა, რომელთაცა უწოდებენ მინისტრებად ...ქრთამიო, იტყვიან, გარნა ესოდენი და ესრეთი მექრთამეობა შესაძლებელია სადსამე?“

მიუხედავად იმისა, რომ ახალ ხელისუფლებაში ადგილი ადგილობრივებსაც ერგოთ, ისინი ადმინისტრაციაში მხოლოდ რიგით წევრებად ან მრჩევლებად ინიშნებოდნენ. აქაც, არა ნიჭითა და პირადი ღირსებებით გამორჩეულნი, არამედ რუსული ხელისუფლებისადმი ლოიალურად განწყობილნი: თუმანიშვილები, ბებუთაშვილები, ბეგთაბეგიშვილები და სხვები შეიყვანეს.

არც თარხნიშვილები დარჩენილან სამსახურის გარეშე. განსაკუთრებით ცნობილია ყორიასაულბაში ზაზა თარხნიშვილი და მისი ვაჟები დავითი, სოლომონი და ლუარსაბი, რომელთაც ჯერ კიდევ ერეკლე II-სა და გიორგი XII-ის დროს მოიპოვეს დიდი გავლენა სამეფო კარზე და დაუნათესავდნენ კიდეც, ხოლო რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ, მათ სამსახურში შევიდნენ და სხვადასხვა მაღალ სამხედრო ჩინს მიაღწიეს. ზაზა თარხნიშვილის უფროსი ვაჟი დავითი გორის მაზრის თავად-აზნაურთა მარშლადაც აირჩიეს, რის გამოც, ამ ოჯახს „მარშლიაანთ“ უწოდებდნენ.

სამეფო ოჯახის მევალეები

ყორიასაულბაშის ოჯახი, გარდა გავლენისა, დიდი ქონების მფლობელიც გახლდათ. ისინი აქტიურად იყვნენ ჩართული ქვეყნის გარე და შიდა ვაჭრობაში და სამეფო ოჯახს მათი ვალიც კი ჰქონდა. მეითარ სოლომონ თარხნიშვილის ძმისადმი — დავითისადმი 1793 წლის 28 აპრილს მიწერილი წერილის მიხედვით, სოლომონი ერეკლესთან წარმართავს მოლაპარაკებას ერედვში წილის დათმობისა და „ორასი თუმნის“ სანაცვლოდ, ხიდისთავში მიწების ბოძებაზე. ამავე საბუთიდან ჩანს, რომ იულონ ბატონიშვილი სოლომონს თელათგორს, გომიჯვარს, ოხერას, ათ კომლ კაცსა და ვალის სანახევროდ გადახდას ჰპირდება. თარხნიშვილების ვალი აქვთ ლუარსაბ მაჩაბელს, ბერ ფავლენიშვილსა და სხვ. იმავე წლის სხვა საბუთით, სოლომონი ხსენებული სოფლებისა და ყმების გადაცემაზე დარეჯან დედოფალთან „ერთი-ერთზე“ შვიდი საათის განმავლობაში წარმართავს მოლაპარაკებას და წარმატებასაც აღწევს. 1796 წლის 26 ნოემბერს ერეკლე II სოლომონ თარხნიშვილსა და მის ძმებს 26 კომლ სომეხს უბოძებს სამკვიდროდ, რადგან „განჯის ზურნაბაშიდამ რომ აჰყარე და მოიყვანე, ამაზე გარჯითაც ბევრს გაისარჯე და ხარჯიც ბევრი მოგვიდაო“.

ყორიასაულბაშ ზაზა თარხნიშვილის უფროსი ვაჟი იყო დავითი (1762-1839), ერეკლესა და გიორგი XII-ის დროს ფლობდა მინბაშის სახელოს. ცოლად ჰყავდა ზურაბ წერეთლის ასული მაკრინე, რომელთანაც შეეძინა ცხრა შვილი. საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ მიიღო პოლკოვნიკის ჩინი, გახდა გორის მაზრის თავად-აზნაურთა მარშალი. ტორმასოვი ახასიათებდა, როგორც

რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე I (ჯორჯ დოუ, 1826 წ. პეტერგოფი)

თეკლა ბატონიშვილი

გენერალ-ლეიტენანტი კარლ კნორინგი (1746-1820), მთავარსარდალი საქართველოში და გუბერნატორი 1801-1802 წლებში (გრავიურა „1865 წლის კავკასიური კალენდრიდან“)

რუსეთის უერთგულეს კაცს. დაკრძალულია ერთაწმინდაში.

მომდევნო ძმას — სოლომონ თარხნიშვილს ცოლად ჰყავდა სარდალ ივანე ორბელიანის და თინათინი (ერეკლეს ასულის, თამარის ქალიშვილი). როგორც ითქვა, იყო მეითარი და შამშადილუს მოურავი, დაახლოებული იყო დავით ბატონიშვილთან. რუსული ხელისუფლების მიერ 1801 წელს შედგენილი უწყისის მიხედვით, სოლომონ თარხნიშვილისთვის გადაუციათ იულონ ბატონიშვილის კუთვნილი სოფელი ალი. ციციანოვმა მექრთამეობის მიზეზით შერისხა და თანამდებობიდანაც გადააყენა. 1803 წელს დაასახელეს თავადაზნაურთა წინამძღოლად, მაგრამ გარსევან ჭავჭავაძესთან კონკურენცია წააგო. 1803 წელს პავლე ციციანოვი სწერს იმპერატორ ალექსანდრე I-ს, რომ საიდუმლო თათბირები ეწყობოდა სოლომონ თარხნიშვილის სახლში, რაც ადასტურებს მის მონაწილეობას ეჭვმიტანილებში, მიუხედავად ამისა, 1807 წლის 12 აპრილისთვის კვლავ მეითარად ჩანს. მისდევდა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც. 1835 წლისთვის სოლომონი უკვე გარდაცვლილი ჩანს.

ლუარსაბ თარხნიშვილი მინბაში იყო. ცოლად ჰყავდა გიორგი XII-ის ქალიშვილი სოფიო, რომელთანაც შეეძინა ვაჟი ესტატე. ესტატე 1819 წელს გაქცეულა ოსმალეთში, რის გამოც ქონება ჩამოურთმევიათ. 1820 წელს ერმოლოვს სამშობლოში დაბრუნების ნება დაურთავს. 1827 წელს იგი რუსეთში გაემგზავრა, საიდანაც 1845 წელს უკან დაბრუნდა. ფლობდა პრაპორშჩიკის ჩინს. ცოლად ჰყავდა ედიშერ ციციშვილის ქალი სოფიო. ესტატესა და სოფიოს შეეძინათ ვაჟი ლუკა და ქალიშვილი ელისაბედი (შინაურობაში კეკე, ცნობილი მწერლის, ალექსანდრე ყაზბეგის დედა). 1877 წლის 30 სექტემბრით დათარიღებულ პირობის ხელწერილში ჩანს ლევან ლუარსაბის ძე თარხანოვი, რომელიც იჯარით აძლევს მამულს გიორგი, ბეჟან, ნიკოლოზ წიკლაურებსა და სხვებს თბილისის „უეზდის“ სოფელ დიდ ნამტვერიანში.

ლუარსაბ თარხნიშვილი იხსენიება XVIII საუკუნის 90-იანი წლებისა და XIX საუკუნის I ნახევრის საისტორიო საბუთებში. 1768 წელს იგი ჯერ კიდევ არ ჩანს დაბადებული, რადგან 1768 წლის 22 მაისს მზეჭაბუკ ჯავახიშვილის მიერ ყმების მიყიდვის წიგნში, იხსენიებიან ყორიასაულბაში ზაზა თარხნიშვილი და მისი ვაჟები დავითი და სოლომონი. ლუარსაბი დაბადებული უნდა იყოს არაუგვიანეს 1782-1783 წლებისა, რადგან 1783 წელს მამამისი ზაზა გარდაიცვალა. 1794 წლის 16 აპრილს ოქრუა ზარაკიძე ბატონყმობის წიგნს უკვე ზაზა თარხნიშვილის ვაჟს ლუარსაბს აძლევს: „თქვენ ზაზას შვილებს თარხანოვს გეყმოთ, თქვენს გარდა, არავისთან არ მივიდეთო“. 1799 წლის 18 ოქტომბრის გიორგი ციციშვილის გამოღმა მხრის სასარდლოს სიით მინბაშ ლუარსაბ თარხნიშვილის ყმას 14 მინალთუნი სალეკო უნდა გამოეღო. 1807 წლის 12 აპრილისთვის ბეჟან ყორღანოვი სოლომონ თარხნიშვილს, მის ძმებს დავითს, ლუარსაბს, დიმიტრის და სოლომონის შვილებს ესტატესა და იოანეს ყმის ნასყიდობის წიგნს აძლევს სასირეთში გოგია გელიტაშვილის მიყიდვისა და ფასის „სრულად აღების“ შესახებ. 1820 წელს ლუარსაბ თარხანოვი დაუპატიმრებიათ. არ-

სებობს ამ წლის 22 თებერვალს, ლუარსაბის მიერ შედგენილი საკუთარი ქონების ნუსხა, რომელიც თავისი ძმის დავითისთვის გაუგზავნია, რადგან „ვინ იცის ღვთის მეტმა, რომ უეცარი სიკვდილი შემემთხვეს, ვინ იყვნეთ პატრონი ჩემნი, ამაზედ მეტს ნურას მოიკითხავთ ...არც თეთრი მაქვს და არც ნივთიო“. სავარაუდოდ, ლუარსაბის დაპატიმრებას უნდა ეხებოდეს დავით თარხანოვის მიერ შედგენილი უთარიღო ხარჯის სია, რომელიც ჯამში 96 თუმანსა და 4 მინალთუნს შეადგენს და შესავალშივე განმარტავს: „როდეს ლუარსაბისა და ჩვენი ოჯახის მიზეზით მე გორს გაველ, რაც ჩემი საკუთარი თეთრი და ნივთი დამეხარჯა, ამის ქვეით დაიწერებაო“, გარდა ამისა, დანახარჯის ნუსხაში არის ერთი ასეთი პუნქტიც: „კიდევ ვისესხე დილვარდისასაგან ორი თუმანი, აქედამ ერთი ლუარსაბს მივეც, ერთი მე დავხარჯე“.

თუმცა, როგორც ზემოთ მოტანილი 1809 წლის დანახარჯის ნუსხიდან ჩანს, ლუარსაბი „ჰყრობილობიდან“ უვნებლად გამოსულა და 1835 წელსაც ცოცხალი იყო.

საჩივარი რუსთ მთავრობას

ჩვენამდე მოღწეულია ლუარსაბ თარხნიშვილის 1835 წლის ივლისით დათარიღებული დანახარჯის ნუსხა, რომელიც წარმოადგენს საჩივარს და წარდგენილია მაღალი თანამდებობის პირისადმი. აღსანიშნავია, რომ აგრეთვე არსებობს ლუარსაბ თარხანოვის 1835 წლის ივლისში შედგენილი კიდევ ერთი დანახარჯის ნუსხაც. ხარჯი ლუარსაბის ძმას სოლომონს ეკუთვნის და მისი გარდაცვალების შემდეგ შეუდგენია ლუარსაბს. ამ ნუსხაში სოლომონი უპასუხისმგებლო და საერთო ქონების გამნიავებელ კაცად ჩანს. ხსენებულ ორ დოკუმენტს, ავტორისა და თარიღის გარდა, ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს. ლუარსაბ თარხანოვის მიერ შედგენილი სოლომონის დანახარჯის ნუსხა იწყება შემდეგი შესავლით: „ქ. საკუთრად მოხმარებული ძმისა ჩემისა გარდაცვალებულისა სოლომონისაგან საერთო ყმიდამ თეთრი, რომელიც ამ ახალ დროსა შინა აქვს დახარჯული, ჩემგან ნახული და შემდგომად გარდაცვალებისა მამისა ჩვენისაცა აქავე დაიწერება“, რომელსაც მოსდევს დანახარჯის ნუსხა.

ეს მეორე საბუთი კი, მართალია, ლუარსაბს ასევე 1835 წლის ივლისში შეუდგენია, მაგრამ

მინალთუნი — უდრიდა ხუთ აბაზს.

აბაზი — ქართული ფულის ერთეული. შემოიღო ირანში აბას I-მა (აქედან სახელწოდება). აბაზი სწრაფად გავრცელდა მეზობელ ქვეყნებში. კერძოდ, საქართველოში. აბას I-ის დროინდელი აბაზის წონა 7,8 გ-ს უდრიდა (XVIII საუკუნის ბოლოს 3 გ-მდე შემცირდა). შეიცავდა 2 მაჰმუდს (უზალთუნს). საქართველოში აბაზს ჭრიდნენ XVII საუკუნის I მეოთხედიდან XVIII საუკუნის მიწურულამდე. რევოლუციამდელ და საბჭოთა საქართველოში „აბაზი“ ზოგჯერ ოცი კაპიკის აღმნიშვნელ სიტყვად იხმარებოდა.

შაური — სულხან საბას მიხედვით, შაური შეადგენდა „ათის ფოლის ვეცხლს“, ხოლო აბაზი შეადგენდა ოთხ შაურს, ანუ ძველებურ ხუთი კაპიკს.

კოპეკა — სითხის საწყაო. XVIII საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში „სწორ“ კოკად ითვლებოდა 4 ჩაფი, ანუ 30-34 ლიტრა.

თუნგი ქართულ წყაროებში XVI საუკუნიდან იხსენიება. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ტევადობის თუნგი ყოფილა გავრცელებული, მაგ., შიდა ქართლში 4, 5, 6 და ზოგგან 8-ლიტრიანი. XVIII საუკუნეში თუნგის ტევადობა 2 ხელადას (3 — 3,4 ლ) შეადგენდა.

უზალთუნი (თურქ. yüzaltin — ასი ალთუნი) — ვერცხლის მონეტის სახელწოდება. ქართულ წერილობით წყაროებში ჩნდება XVIII საუკუნიდან. აღნიშნავს ირანული აბაზის სისტემის მონეტას — მაჰმუდს ანუ ორ შაურს. შეიცავს უკნინეს სათვლელ სამონეტო ერთეულს — ალთუნს ანუ დინარს. აბაზის წონის ცვლასთან ერთად უზალთუნის წონაც იცვლებოდა (3,89; 2,70; 1,50 გ). უზალთუნს თბილისის ზარაფხანაში ჭრიდნენ XVII-XIX საუკუნეებში. უზალთუნი ას ალთუნს, ანუ ორ შაურს შეიცავდა.

ადლი — სიგრძის საზომი ერთეული ძველ საქართველოში, უდრიდა 2 წყრთას (101,15 სმ).

ფული, ანუ ნახევარი კაპიკი. სპილენძი. მოჭრილია 1805 წ.

(ზემოთ) გრიგორი როზენი, კავკასიის მთავარმართებელი 1831-1837 წლებში. (ქვემოთ) გრიგორი როზენი ტიფლისში. 1836 წლის ჩანახატი

შესავალი ნაწილიდან ჩანს, რომ ხარჯი 1809 წელს ეკუთვნის და საკუთრივ ლუარსაბს გაუღია. გარდა ამისა, საბუთში ცოცხლად არის მოხსენიებული ოთარ ამილახვარი, რომელიც 1827 წელს გარდაიცვალა. მიუხედავად იმისა, რომ ვინაობა არ კონკრეტდება, ვფიქრობთ, ადრესატი მთავარმართებელია. იმ დროს კავკასიაში მთავარმართებლის თანამდებობაზე იყო გრიგორი როზენი (1831-1837 წლებში), თუმცა დანახარჯი 1809 წელს ეკუთვნის და ამ წლის 5 მარტიდან კი უმაღლესი ხელისუფალი კავკასიაში ალექსანდრ ტორმასოვია (1809-1811). თავადი ლუარსაბ თარხნიშვილი იყენებს ეპითეტებს „თქვენის ბრწყინვალებისაგან“, „თქვენის წმინდა სინდისისაგან“. თანაც, მას ხელეწიფება, „მიიღოს მოხსენება“ და მისცეს ლუარსაბს „სამართლით კმაყოფილება“. უმაღლესი მსაჯული კავკასიაში კი სწორედ მთავარმართებელი იყო.

საჩივრის ობიექტი ლუარსაბის „სახლის კაცების“ (ძმების) სოფიო „ცარევნასთან“ სადავო სათარხნო მამულებია: „ხოლო დავა იგი იყო სახლის კაცთა ჩვენთა თანა სოფიო ცარევნასთან სათარხნოსა მამულსა ზედა და ვითხოვ თქვენის ბრწყინვალებისაგან და თქვენის წმინდა სინდისისაგან რათა მიიღოთ მოხსენება ესე ჩემი საქმესა შინა და მე მომეცეს სამართლით კმა ყოფა... თავადი ლუარსაბ თარხანოვი“. საბუთი შედგენილია 1835 წლის ივლისში.

ლუარსაბი არ უარყოფს დანახარჯის ვალდებულებას და მის მიზეზსაც განმარტავს: „ეს დანახარჯი ჩემგან რაცა სწერია, იმას არ ვითხოვ, რადგანაც ძმა ვარ, შემხვდა დრო და უნდა მესაქმა და კიდეც დამეხარჯაო“, მაგრამ „რომელიც უნდა მისცემოდა თვით ჩემის ძმებისაგან თქმით, ისიც მე გამომერთვა და იმას კი ვითხოვო“.

დოკუმენტის მიხედვით, ლუარსაბის გასავალი, დაუკონკრეტებელი ხარჯის გარდა, 284 მანეთსა და 6 მინალთუნს შეადგენს, თუმცა, ეს ყველაფერი არ არის და საჩივრის დასკვნით ნაწილში განმარტავს: „გარდა ამისა, რაც შინ მომწვევია ჩაიზე, საკუსკაზე ანუ სადილზე, ის სხვა ხარჯი იქნება და რაოდენი შეუდგება ხარჯი იგი არ ძალმიძს რიცხვით დასაწერად და თქვენ თვით თვისით იგულისხმებთ რომ შინ მოწვევისა დროსა ჩინოვნიკთა მათ ზედა მექმნებოდა არა მცირედი ხარჯიო“.

ყველაზე საინტერესო დანახარჯის ნუსხაა, საიდანაც ცხადი ხდება, ვინ ფლობდა იმდროინდელ საქართველოში სავაჭრო სიმძლავრეებს და რა იყო მათი ყიდვა-გაყიდვის სუბიექტი თუ ობიექტი (სომეხი ეროვნების სტეფანე უდინოვისგან თარხნიშვილი ბეწვით გაწყობილ ქათიბის პირსა და შავი აბრეშუმის პაიჭებს ყიდულობს, ოანეზა აქუსოვისგან „კატუზსა“ და ახლად შეკერილ ახალუხს, ბეგალაანთ თამაზისგან — ბურნუთის კოლოფს, ქართველი მდივან ბირთველისგან ცხენს,

ტფილისი. გრიგორი გაგარინი

ოსებისგან ერბოს და სხვ.), სამაგიეროდ, მათგან შეძენილი საჩუქრები, პროდუქტი და ქრთამი მთლიანად რუსი ჩინოვნიკების: „საკლატარ“ (ნახმარია „სეკრეტარის“ ანუ მდივნის მნიშვნელობით) არტემ გრიგოლიჩის, ფადე ივანიჩის, ავგისტინე პერეჩიგისა და „ნაჩალნიკ“ ლივინტოვისადმია განკუთვნილი.

დოკუმენტი ასევე განსაზღვრულ წარმოდგენას გვიქმნის XIX ს. 30-იან წლებში საქართველოში მოქმედ ფულისა (აბაზი, შაური, თუმანი, მანეთი, მინალთუნი) და ზომა-წონის (კოკა, თუნგი, ლიტრა) ერთეულებზე, იმდროინდელ ფასებზე, რომლის მიხედვით, ერთი ცხვარი ათიდან-ცამეტ აბაზამდე ღირებულა, ბატკანი — ოთხი აბაზი, ერთი წლის ტახი — ცამეტი აბაზი, ინდოური — ხუთი აბაზი, ბატი — ორი აბაზი, ქათამი — ხუთი-ექვსი შაური, ოთხი თუნგი ღვინო — ხუთი შაური, ერთი ლიტრა ატამი — 40 კაპიკი და სხვ.

დოკუმენტის ენა XIX საუკუნისთვის დამახასიათებელი ბარბარიზმებით („ინდოიკა“, „ოტკა“, „საკლატარი“ და სხვ.) გამოირჩევა. საბუთის მარცხენა კიდეზე ორ გასწვრივ ხაზში მოთავსებულია ასო-ნიშნები, რომელიც საერთო რიცხვის ან ჯამის აღმნიშვნელი უნდა იყოს. ასეთი რიცხვნიშნები და ასონიშნები მსგავსი შინაარსის დავთრების, არზებისა და ნუსხებისთვის დამახასიათებელია. თუმცა, თარხნიშვილების „ხარჯში“ მითითებული ასო-ნიშნების მათ რიცხვით მნიშვნელობასთან შედარება ყოველთვის შედეგს ვერ გვაძლევს, მაგ., „ნაჩალნიკ ლივინტოვისადმი მისართმევი ნივთების ნუსხაში მითითებულია:

„ჭქ ქ ღვინო ვიყიდე ხუთი მინალთუნისა სამი აბაზი

ჩქ ქ ბატი ოთხი

წ ქ ცხვარი ორი თითო ორ მანათად“.

„ჭქ“ ქართული ანბანის მიხედვით 5600-ს უდრის, „ჩქ“ — 1600-ს, „წ“ — 4000-ს, ამდენად, ბუნდოვანია, რისი რაოდენობა იგულისხმება მითითებულ ასონიშნებში.

თვით დოკუმენტის შინაარსი ასეთია:

„ჩყთ წელსა (1809 წელს. — ი.ა.) რომელიცა დავხარჯე ჩემის ჯამაგირიდან საოჯახო საქმისათვის, რომელსაც ვყიდულობდი თეთრით.

ალექსანდრ ტორმასოვი

გარსევან ჭავჭავაძე

პაველ ციციანოვი

ფადე ივანიჩს მივართვი

წგჯ ქ შაქარი მივართვი სამი თუმნისა და რვა მინალთუნისა.

ჰყ ქ ცხვარი სამი ფეხზე ვიყიდე თვით ამილახვრის ოთარისაგან თითო ცამეტ აბაზათ.

ყ ქ ბატკანი ერთი ვიყიდე ოთხ აბაზათ.

ძ ქ ინდოიკა სამი ვიყიდე თითო ხუთ აბაზათ.

ცუ ქ ბატი ექვსი ვიყიდე თითო ორ აბაზათ.

წბჩ ქ ღვინო კოკა შვიდი ვიყიდე გორში თუნგი ხუთ შაურათ.

ჭუ ქ ქათამი შინაური თვრამეტი ვიყიდე გორში თითო ექვს შაურად.

ყ ქ კარაქი მივართვი ლიტრა ერთი.

ჯ ქ ოტკა (რუს. Водка, არაყი. — ი.ა.) მივართვი გორში ნაყიდი.

ნს ქ ერბო მივართვი ნასყიდი ოსებისაგან.

ყ ქ ატამი ორი ლიტრა ოთხი აბაზისა.

შ ქ უცეცხლო თაფლი ფიჭიანი ვიყიდე ერთი.

წ ქ ბურნუთის კოლოფი ვიყიდე ოთხ მანათათ.

ჯამი ნთ ხ მინალთუნი.

პერეჩიგს აგვისტინეს მივეცი რომელიც იყო დიდი შემწე

ნბნყ ქ კაბა ახალი მწვანე მაუდი შეუკერვინე ფასი.

წბ ჰუქ ქათიბი (მოხელეთა ძვირფასი ბეწვით გაწყობილი ტანსაცმელი. — ი.ა.) პირის ფერი ხარა აბლაყის (შესაძლოა შავის მნიშვნელობით. აბლაყი შავი ცხენია. ცნობილია, რომ ხარა, ყარა ასევე შავს ნიშნავს. — ი.ა.) ბეწვითა რომელიც ვიყიდე უნდინოვის სტეფანესაგან.

ჰუ ქ შავის აბრეშუმის პაიჭები ფასი.

ძქრ ქ კატუზი (?) უყიდე ოანეზა აქუსოვისაგან ფასი.

ჯტ ქ ახალუხი შეკერილი ახალი.

დბჩ ქ თეთრი მივეცი ფული.

წაწ ქ ლურჯი აბრეშუმის შალვარი ვიყიდე

ჯამი ნი ნუ.

არტემ გრიგოლიჩ ხელ ატარს

ჯ ქ ხელა ფული მივეცი.

ც ქ ამასვე ორი მანეთი.

საკლატარს არტემასვე

ქ ქ ამასვე სამი მანეთი.

ფ ქ კიდევ ათი შაური.

ჯ ქ ოტკა უყიდე გორში.

ქრნ ქ ქათამი უყიდე სამი თითო ხუთ შაურად.

ჩ ქ ღვინო ოთხი თუნგი ხუთ შაურად.

ჯამი ნბ შ.

ნიბ ქ ბირთველ მდივანეს ცხენი ერთი ლურჯი დაფასებული.

ცს ქ ცხვარი ერთი ფასი.

ცსნ ქ ღვინო ცხრა თუნგი გორში ნაყიდი.

ჯამი ნიბ ნუნ.

ნაჩალნიკ ლივინტოვს (შესაძლოა, იგულისხმება „დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტ-

ნიკი“ პიოტრ ლიტვინოვი, საქართველოს მმართველი 1806-1807 წლებში)

ჭქ ქ ღვინო ვიყიდე ხუთი მინალთუნისა სამი აბაზი.

ჩქ ქ ბატი ოთხი.

წ ქ ცხვარი ორი თითო ორ მანათად.

ჩყ ქ ინდოიკა ორი თითო ოთხ აბას უზალთუნად.

ცქ ქ ერთი წლის ტახი ვიყიდე ცამეტ აბაზათ.

წ ყ ბურნუთის კოლოფი ერთი ვიყიდე ბეგალაანთ თამაზისაგან.

ჯამი ნაჰ ქ“.

თუმცა, თარხნიშვილების ხარჯი ამით არ დასრულებულა. 1820 წელს ლუარსაბ თარხნიშვილი გორში დააპატიმრეს და მისი ძმა დავით თარხნიშვილი, რომელიც ხელისუფლებასთან დაახლოებული იყო, იძულებული გამხდარა, ჩამოსულიყო და ძმის გამოსახსნელად ხარჯი გაეღო:

„როდეს ლუარსაბისა და ჩვენის ოჯახის მიზეზით მე გორს გაველ, რაც ჩემი საკუთარი თეთრი და ნივთი დამეხარჯა, ამის ქვეით დაიწერება, ჩემთვის თუ სახლისთვის.

მ (40 თუმანი) ქ. ორმოცი თუმანი ციციშვილს ევსტათის ემართა ჩემის სიმამრისა, ის გამოვართვი და დავხარჯე.

იაწ (11 თუმ. ქ. ვერცხლეული დავყიდე თერთმეტ თუმნად და ოთხ მინალთუნად, დავხარჯე.

და 4 მინალთუნი)

ზ (7 თუმანი) ქ. თირმაშალი ხასყირმიზი ახალი ექვსი ადლი შვიდის თუმნისა, იქ დავხარჯე.

ა (1 თუმანი) ქ. გილანის ღილები ერთ თუმნად მივეც.

ივ (16 თუმანი) ქ. თექვსმეტი თუმანი მიტროპოლიტს გამოეგზავნა თავის დისათვის, დავხარჯე.

იბ (12 თუმანი) ქ. თორმეტი თუმანი მართას გამოეგზავნა თავის დისათვის, იქ დავხარჯე.

ე (5 თუმანი) ქ. ყანჩაველს გამოვართვი ხუთი თუმანი, იქ დავხარჯე.

ბ (2 თუმანი) ქ. ორი იმერული ხარი გავყიდე ორ თუმნად და რვა კოდ ქერად, ქერი შინ დაიხარჯა, თეთრი გორს.

ა (1 თუმანი) ქ. ერთი თათრული ხარი გავყიდე ერთ თუმნად.

ა (1 თუმანი) ქ. კიდევ ვისესხე დილვარდისასაგან ორი თუმანი, აქედამ ერთი ლუარსაბს მივეც, ერთი მე დავხარჯე.

ქ. სახარებისათვის მოსაჭედათ იყო ვერცხლის ზოდი, დავხარჯე“.

ანუ, დავით თარხნიშვილს მთლიანობაში 96 თუმნისა და 4 მინალთუნის ხარჯი გასვლია, მაგრამ ძმა პატიმრობიდან გამოუხსნია.

ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ხელისუფლება არაერთგზის ამტკიცებდა, თითქოს საქართველოში მის მისიასა და დამკვიდრებას „კეთილშობილური“ მიზნები ჰქონდა, ამ დოკუმენტებიდან ცხადი ხდება რუსი ჩინოვნიკების ბიუროკრატიზმი, მექრთამეობა, მათი გადაჭარბებული მიდრეკილება ღრეობის, „ოტკისა“ და ღვინისადმი, რაც მძიმე ხარჯად აწვებოდა ქართველ მოსახლეობას.

იოსეგ ალიმგარაშვილი

გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

თარხნიშვილების (მარშლიაანთ) სასახლე სოფელ გარიყულაში

ქართული ფალერისტიკის ისტორიიდან

ნაწილი II

1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მოთავე — ალექსანდრე ორბელიანი ქართული სახელმწიფო ჯილდოების დაწესებას გეგმავდა



თავადი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი — ქართული სახელმწიფო ჯილდოების რიგით მეორე პროექტის ავტორი

უფლისწული იოანე გიორგის ძე ბაგრატიონი — ქართული სახელმწიფო ჯილდოების პირველი პროექტის ავტორი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების დაწესებას გეგმავდა 1832 წლის მიწურულს გამჟღავნებული შეთქმულების ერთ-ერთი მოთავე ალექსანდრე ორბელიანი (1802-1869). მისი მოსაზრებით, საჭირო იყო საქართველოს განმანათლებლის, მოციქულთა სწორ წმინდა ნინოსა და უდიდესი ქართველი მეფის, წმინდა დავით აღმაშენებლის ორდენების დაწესება...

წინამდებარე სტატიით „ისტორიანი“ განაგრძობს სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებას თემაზე: „ქართული ფალერისტიკის ისტორიიდან“. საისტორიო მეცნიერების ერთ-ერთი დამხმარე დარგი — ფალერისტიკა ანუ ჯილდოთმცოდნეობა შეისწავლის ორდენებს, მედლებს და ასევე, ჯილდოდ გაცემულ საპატიო იარაღს — თანმხლები დოკუმენტებითურთ. ეროვნული ჯილდოთმცოდნეობის საკითხები მონოგრაფიულად გვაქვს შესწავლილი წიგნში „ქართული ფალერისტიკა“ (თბ., 1995).

1800 წლის 18 დეკემბერს, მეფე გიორგი XII-ის (1746-1800) გარდაცვალებამდე ათიოდე დღით ადრე, იმპერატორმა პავლე I-მა ხელი მოაწერა საიდუმლო მანიფესტს ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.

იმავე შინაარსის მანიფესტი 1801 წლის 12 სექტემბერს გამოსცა რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მაც. ამით რუსეთის

საიმპერიო ხელისუფლებამ უხეშად დაარღვია ქართველ მეფეთათვის დოკუმენტურად მიცემული პირობა ქართული სახელმწიფოსთვის ავტონომიური უფლებების შენარჩუნების შესახებ.

თავისუფლებისმოყვარე ქართველი ერი არასდროს შეჰგუებია იარაღის ძალით თავსმოხვეულ რუსულ მმართველობას. ამას ნათელყოფს ის ანტიიმპერიული სახალხო აჯანყებანი, რომლებიც პერიოდულად იფეთქებდა ხოლმე საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში.

XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში საქართველოში მომხდარ ანტიიმპერიულ სახალხო აჯანყებათა სისხლში ჩახშობის შემდეგ, ქართველი მამულიშვილები იძულებული გახდნენ, დროებით უარი ეთქვათ სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის ბრძოლის შეიარაღებულ ფორმაზე.

ქართველმა მამულიშვილებმა ბრძოლის ფარული, შენიღბული ფორმა აირჩიეს, რის ნათელ გამოხატულებასაც წარმოადგენდა 1832 წლის მიწურულს გამჟღავნებული შეთქმულება. მასში ჩაბმული აღმოჩნდა მთელი მოწინავე თავადაზნაურული ინტელიგენცია, რომელთა შორისაც იყვნენ: ალექსანდრე, გრიგოლ და ლუარსაბ ორბელიანები, გიორგი ქსნის ერისთავი, ალექსანდრე ჭავჭავაძე და სხვები.

შეთქმულების მონაწილეთა იდეური მიმართულება არაერთგვაროვანი გახლდათ.

ქართლ-კახეთის მეფე გიორგი XII. 1799 წლის 10 მაისს მას საკუთარმა ვაჟმა იოანემ წარუდგინა ქართული სახელმწიფო ჯილდოების — ორდენებისა და მედლების პირველი პროექტი

წმინდა დავით აღმაშენებლის ორდენის რუსული ანალოგი — უმაღლესი საიმპერიო სამხედრო ჯილდო — წმინდა გიორგის ორდენი

გელათის ტაძრის კედელზე აღბეჭდილი ფრესკის ფრაგმენტი, რომელზეც უკიდურეს მარჯვენა კუთხეში გამოსახულია საქართველოს უდიდესი მეფე — დავით IV აღმაშენებელი

წმინდა ნინო კაპადოკიელის ორდენის რუსული ანალოგი — 1699 წელს დაწესებული წმინდა მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ორდენი — რუსეთის იმპერიის უზენაესი სახელმწიფო ჯილდო. საორდენო ნიშნები ჯაჭვთან ერთად (ზემოთ) და მთავარი საორდენო ნიშანი ჯაჭვის გარეშე (ქვემოთ)

შეთქმულთა მემარჯვენე ნაწილის წარმმართველ ძალას თავადაზნაურობა წარმოადგენდა. მათი იდეოლოგია სოციალურ სფეროში არსებით ცვლილებებს არ ითვალისწინებდა. მემარცხენე ნაწილს კი, რომელსაც სოლომონ დოდაშვილი მეთაურობდა, საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკად გადაქცევა სურდა. ორივე ფრთის იდეების პროპაგანდა მიმდინარეობდა საიდუმლო შეკრებებზე, ლიტერატურულ სალონებში.

აღსანიშნავია, რომ რუსული საოკუპაციო მმართველობის წინააღმდეგ მოწყობილი შეიარაღებული აჯანყების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, შეთქმულებს გადაწყვეტილი ჰქონდათ დაეწესებინათ ეროვნული სახელმწიფო ჯილდოები — ორდენების სახით.

ქართულ ჯილდოთა დაწესების იდეის ავტორი იყო „საქართველოს საღმასრულებო ექსპედიციის სოვეტნიკი“ ანუ მრჩეველი — თავადი ალექსანდრე ვახტანგის ძე ორბელიანი.

შეთქმულთა დაკითხვის მასალებიდან ჩანს, რომ ალექსანდრე ორბელიანს მასთან სტუმრად მყოფ თანამოაზრეებთან — ვახტანგ ორბელიანთან, კაპიტან ჩოლოყაშვილთან, იასე ფალავანდიშვილთან, ელიზბარ და გიორგი ერისთავებთან საუბარში განუცხადებია: — უეჭველად უნდა დავაარსოთ ორდენი დავით აღმაშენებლისა და საქართველოს განმანათლებლის, ნინოსიო.

იასე ფალავანდიშვილი იგონებდა, რომ ალექსანდრე ორბელიანმა მას უთხრა:

„მე ჩვენთვის უკვე გამოვიგონე ნიშანი — დავით მეფის ჯვარი და წმინდა ნინოს ჯვარი“.

გარდა ამისა, იასე ფალავანდიშვილი იქვე დასძენდა ალექსანდრე ორბელიანის ნათქვამს:

„მითხრა, რომ მან ეს ჩვენი განზრახვა გამოუცხადა ერევნის კარაბინერთა რაზმის შტაბს-კაპიტან ონიკოვს, მაგრამ აღარ მახსოვს, ის დათანხმებოდა თუ არა“.

ამის შემდეგ, როგორც ლუარსაბ ორბელიანი აღნიშნავს, ერთხელ იასე ფალავანდიშვილსაც უთქვამს შეთქმულთა წრეში, რომ აჯანყების გამარჯვების შემდეგ საჭირო იყო დავით აღმაშენებლისა და წმინდა ნინოს ორდენების დაწესება, რასაც ყველა მოწონებით შეხვედრია.

ფრიად საყურადღებოა, რომ შეთქმულებს, რომელთა წინაშეც ურთულესი პრობლემები იყო გადასაჭრელი, ეროვნული ჯილდოების დაწესებაზეც უფიქრიათ. საგულისხმოა, რომ

ეს გონივრული მოსაზრება სწორედ ალექსანდრე ორბელიანმა გამოთქვა.

მრავლისმეტყველია დასაწესებელი ორდენების სახელწოდებებიც. ქართველთა გამაქრისტიანებლის — წმინდა ნინო კაპადოკიელისა და წმინდა მეფის დავით აღმაშენებლის სახელობის ორდენების (სხვა ჯილდოებთან ერთად) დაწესების იდეა ხომ ჯერ კიდევ 1799 წელს წამოაყენა უფლისწულმა იოანე ბაგრატიონმა (1768-1830), რის შესახებაც უკვე ვწერდით „ისტორიანის“ წინა ნომერში.

სამწუხაროდ, ალექსანდრე ორბელიანის მამულიშვილურ განაზრახს ასრულება არ ეწერა. 1832 წლის 9 დეკემბერს შეთქმულება გასცა მისმა ერთ-ერთმა მონაწილე იასე ფალავანდიშვილმა, რასაც შეთქმულთა დაპატიმრება მოჰყვა.

ვფიქრობთ, შესაძლებელია, რომ ალექსანდრე ორბელიანი, როგორც „პატარა კახის“ უსაყვარლესი ასულის — თეკლა ბატონიშვილის ვაჟი ანუ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის შვილიშვილი, კარგად იცნობდა ქართულ ჯილდოთა დაწესების იოანე ბაგრატიონისეულ კონცეფციას, თუმცა არც ის არის გამორიცხული, რომ ზემოხსენებული იდეა მას დამოუკიდებლადაც დაებადა...

ამდენად, რუსული საოკუპაციო მმართველობის წინააღმდეგ მოწყობილი შეიარაღებული აჯანყების წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ქართველ მამულიშვილებს ალექსანდრე ორბელიანის მეთაურობით, გადაწყვეტილი ჰქონდათ დაეწესებინათ ეროვნული სახელმწიფო ჯილდოები — წმინდა ნინო კაპადოკიელისა და წმინდა მეფე დავით აღმაშენებლის ორდენების სახით. ამ შეთქმულების გამჟღავნების გამო, რაც 1832 წლის მიწურულს მოხდა, ხსენებული ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა.

ამის მიუხედავად, ეს მოსაზრება წარმოადგენდა სიმბოლურ გაგრძელებას უფლისწულ იოანე ბაგრატიონის პროგრესული წამოწყებისა და ამდენად, ფრიად საგულისხმო ფაქტს ეროვნული ჯილდოთმცოდნეობის ისტორიისთვის.

ეს გახლდათ ქართული სახელმწიფო ჯილდოების — ორდენებისა და მედლების რიგით მეორე პროექტი, რომელსაც პირველი პროექტისგან მესამედი საუკუნე აშორებდა.

ნიკო ჯავახიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გიორგი ქსნის ერისთავი

ალექსანდრე ჭავჭავაძე

ალექსანდრე ორბელიანი

როგორ მზადდებოდა 2008 წლის აგვისტოს ომი

ნატოს ბუქარესტის სამიტზე. 2008 წლის 2-4 აპრილი

(დასასრული.
დასაწყისი იხ. „ისტორიანი“ №93)

საქართველოს ხელისუფლება, შექმნილ ვითარებაში, უდიდეს იმედებს ამყარებდა მოახლოებულ ნატოს სამიტზე ბუქარესტში, რომელზეც საქართველოსა და უკრაინისთვის ჩრდილოეთატლანტიკური ალიანსის სამოქმედო გეგმის მინიჭება უნდა განეხილათ. სამწუხაროდ, ეს საკითხი რუსეთის მიმართ ევროპის წამყვანი სახელმწიფოების (გერმანია, საფრანგეთი, იტალია) ეკონომიკური და სტრატეგიული ინტერესების გამო, თბილისისა და კიევისთვის უარყოფითად გადაწყდა.

ევროპის სახელმწიფოებთან ერთად, საკუთარი ინტერესები ჰქონდა რუსეთთან ურთიერთობაში აშშ-საც, რაც რუსეთსა და აშშ-ს შორის გაფორმებულ სატრანზიტო ხელშეკრულებაში აისახა. ამ ხელშეკრულების მიხედვით, აშშ-ს საშუალება ეძლეოდა, ავღანეთში დისლოცირებული საკუთარი სამხედრო ნაწილები რუსეთის ტერიტორიის გავლით მოემარაგებინა.

ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელიც მკაფიოდ აყენებდა საქართველოსა და უკრაინის საკითხს სამიტზე, იყო პოლონეთის იმდროინდელი პრეზიდენტი (2005-2010) ლეხ კაჩინსკი, რომელმაც საქართველოსა და უკრაინის მიმართ „უსამართლობა“ უწოდა სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას. ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ბუქარესტის სამიტზე სიტყვით თავად ვლადიმირ პუტინი გამოვიდა, რომელმაც გადაწყვეტილება მოიწონა და აღნიშნა, რომ მოვლენების სხვაგვარად განვითარების შემთხვევაში, რუსეთის მიერ აშშ-თან სატრანზიტო შეთანხმების ხელმოწერა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ბუქარესტის სამიტის შედეგები რუსეთისთვის მომგებიანი აღმოჩნდა. ახლა მოსკოვს შეეძლო „გეგმაზომიერად“ განეგრძო საქართველოს მიმართ საკუთარი პოლიტიკა.

16 აპრილს, პუტინის განკარგულების თანახმად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონთან რუსეთის მთავრობამ და ფედერაციის რამდენიმე სუბიექტმა პირდაპირი კონტაქტი დაამყარა. აფხაზეთში ვითარება დაიძაბა. ქართული უპილოტო დრონების მიერ გადაღებული მასალის თანახმად, ოჩამჩირის ბაზაზე რუსული სამხედრო კონტინგენტი იზრდებოდა. ამასთან ერთად, აფხაზეთში მიმდინარეობდა რკინიგზის აღდგენა რუსეთის სარკინიგზო ჯარების მიერ. ქართული მხარე რუსეთს აფხაზეთში სამხედრო ინტერვენციის მომზადებაში სდებდა ბრალს.

ივნისში ქართულმა მხარემ აფხაზეთში კონფლიქტის დარეგულირების კიდევ ერთი სამშვიდობო გეგმა შეიმუშავა. ის გალისა და ოჩამჩირის ზონებში თავისუფალი სავაჭრო-ეკონომიკური სივრცის მოწყობას ითვალისწინებდა. ამასთან, უნდა მომხდარიყო აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის მშვიდობიანი განსაზღვრა და რუსი „მშვიდობის-

მყოფელები“ ქართულ-აფხაზური პოლიციის კონტინგენტს უნდა შეეცვალა.

იმავე პერიოდში აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ შემუშავდა ასევე გერმანული და ამერიკული გეგმები. გერმანულ გეგმაში, რომელიც ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა წარმოადგინა, ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეთმობოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა მშვიდობიან დაბრუნებას. გეგმის მიხედვით, აფხაზეთის ეკონომიკის აღორძინება უნდა მომხდარიყო ევროკავშირის ინსტიტუტების მხარდაჭერით.

ამერიკული გეგმა სრულად იზიარებდა გერმანული გეგმის პუნქტებს და ამასთან, ხაზს უსვამდა რუსული „სამშვიდობოების“ საერთაშორისო ძალებით შეცვლის აუცილებლობას.

ქართული მხარისა და საერთაშორისო საზოგადოების ამგვარი ღონისძიებების მიუხედავად, რუსული მხარე კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების სურვილსაც არ ამჟღავნებდა. 10 ივლისს, თბილისში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, კონდოლიზა რაისის ვიზიტის დროს ოთხმა რუსულმა სამხედრო თვითმფრინავმა საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია, ისინი ცხინვალის თავზე წრიულად ფრენდნენ და საქართველოს ტერიტორია 40 წუთის შემდეგ დატოვეს. საინტერესოა, რომ ამ ფაქტის უარყოფა ან ეჭვქვეშ დაყენება რუსულ მხარეს არც უცდია, პირიქით, მათ ღიად აღიარეს მომხდარი ფაქტი და დასძინეს, რომ ეს ქმედება „თბილისში ზოგიერთი ცხელი თავის გასაგრილებლად“ შეასრულეს.

15 ივლისს დაიწყო რუსული არმიის მასშტაბური სამხედრო წვრთნები — „კავკაზ 2008“ — რომელშიც 8000-მდე სამხედრო პირი მონაწილეობდა რუსული არმიისა და ФСБ-ს კონტინგენტის ჩათვლით. წვრთნების მთავარ მიზანს წარმოადგენდა „მშვიდობისკენ იძულების“ ოპერაციის სიმულირება. მონაწილეებს დაურიგდათ ბუკლეტები სათაურით: „მეომარო! იცნობდე შენს სავარაუდო მტერს!“, სადაც დეტალურად იყო აღწერილი ქართული მხარის სამხედრო პოტენციალი. იმავე დღეს ქართული არმიაც ჩაერთო სამხედრო წვრთნებში სახელად „დაუყოვნებლივი პასუხი“.

ეკონომიკურ საკითხებში პუტინის ყოფილი მრჩევლის, ანდრეი ილარიონოვისა და ჟურნალისტის იულია ლატინინას შრომებში საინტერესო ცნობებია მოცემული საქართველოს ტერიტორიაზე 2008 წლის საომარი მოქმედებების დაწყებამდე განლაგებული რუსული სამხედრო ნაწილების რიცხოვნობის შესახებ. როგორც ირკვევა, 18 ივლისს ფსკოვის 76-ე საჰაერო-სადესანტო დივიზიამ დაიკავა პოზიციები როკისა და მამისონის უღელტეხილების მიმდებარედ, მაშინ, როცა ვოლგოგრადის ქვეითი დივიზია კრასნოდარის მხარეში განთავსდა. 20 ივლისს რუსული ქვეითი ბატალიონი, 14 დაჯავშნილ სატვირთო მანქანასთან ერთად, ქვემო კოდორის მიდამოებში განლაგდა.

სამი დღის შემდეგ, ვლადიკავკაზის მე-19 ქვეითი დივიზიის 135-ე პოლკმა შეცვალა ფსკოვის ზემოაღნიშნული დივიზია როკის უღელტეხილთან. დასასრულს უახლოვდებოდა სამხედრო ბაზის მშენებლობა ჯავის მახლობლად. 28 ივლისს „სამხრეთ ოსეთის“ ნაწილებმა პირველად გახსნეს ცეცხლი შერეული საკონტროლო კომისიისა და ეუთოს



ლეხ კაჩინსკი იყო ერთადერთი პოლიტიკოსი, რომელიც მკაფიოდ აყენებდა საქართველოსა და უკრაინის საკითხს და სამიტზე მიღებულ გადაწყვეტილებას „უსამართლობა“ უწოდა

ვლადიმირ პუტინის სიტყვით გამოსვლა

რუსეთის სარკინიგზო ჯარების სპეციალისტები აფხაზეთში ლიანდაგს აგებენ. 2008 წლის ივნისი

მისიის ძალების მიმართულებით. იულია ლატინინას ცნობების თანახმად, 135-ე და 693-ე რუსული პოლკები, ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისიდან იყვნენ ჯავის სამხედრო ბაზაზე განლაგებული.

პარალელურად, საქართველოს წინააღმდეგ ეფექტიანი საინფორმაციო ომის წარსამართავად, ცხინვალის რეგიონში აგვისტოს დასაწყისიდან 50-მდე რუსი ჟურნალისტი ჩაიყვანეს. მათი მთავარი ამოცანა, ლატინინას მიხედვით, იყო იმის გაშუქება, თუ როგორ ხოცავდნენ ქართველი „ნაცისტები“ ფეხმძიმე ქალებსა და ბავშვებს ცხინვალის რეგიონის მასშტაბით. რუსული მედიის აღნიშნული ბრალდებები ქართული მხარის მიმართ აზრს კარგავს, თუკი გავიხსენებთ ჯერ კიდევ აგვისტოს დასაწყისში „სამხრეთ ოსეთის“ მოსახლეობის ჩრდილოეთში ევაკუაციის ფაქტს. როგორც ცნობილია, უშუალოდ საომარი მოქმედების დაწყების მომენტისთვის, 7 აგვისტოს შუაღამისთვის, ცხინვალის რეგიონიდან, კრემლის დახმარებით, დაახლოებით 20 ათასი მოქალაქე იყო ევაკუირებული ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ.

ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლების დაბომბვა დაახლოებით ივლისის ბოლოდან დაიწყო. სეპარატისტებისა და მოსკოვის მთავარ მიზანს ამჯერად ქართველების საომარ მოქმედებებზე დაყოლიება წარმოადგენდა. ოფიციალური თბილისი ცდილობდა პროვოკაციას არ აჰყოლოდა, სანამ ეს შესაძლებელი იყო.

რეინტეგრაციის საკითხებში საქართველოს იმდროინდელმა მინისტრი თემურ იაკობაშვილი ორჯერ ჩავიდა ცხინვალში — 5 და 7 აგვისტოს. კოკოითმ მასთან შეხვედრაზე უარი განაცხადა. 7 აგვისტოს ვიზიტისას, რუსი „მშვიდობისმყოფლების“ მეთაურმა მარატ კულახმეტოვმა თემურ იაკობაშვილს განუცხადა, რომ სამშვიდობოებს კოკოითის გაკონტროლება აღარ შეეძლოთ.

შექმნილი ვითარების მიუხედავად, თბილისი ოფიციალურად არ პასუხობდა სეპარატისტთა საომარ ქმედებებს. 7 აგვისტოს 23:00 საათზე, როცა საკაშვილს მიუვიდა ინფორმაცია ცხინვალის მიმართულებიდან სოფელ თამარაშენის დაბომბვის შესახებ, მან ბრძანება გასცა, ამ მოქმედებებისთვის არ ეპასუხათ. იაკობაშვილის მიხედვით, ნახევარ საათში საკაშვილს შეატყობინეს ე.წ. „150 ერთეული ჯავშნოსნის“ შესახებ, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიიდან როკის გვირაბის გავლით მოემართებოდა. სწორედ ეს იქცა მთელი ამ ეპოპეის საბედისწერო მომენტად, როცა მიხეილ საკაშვილმა 7 აგვისტოს 23:35 წუთზე გასცა ბრძანება ქართული არმიის მოქმედებაზე გადასვლის შესახებ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის დასაცავად.

როგორც ვხედავთ, 7 აგვისტოს შუაღამისთვის, ქართული მხარე ფართო არჩევანის წინაშე ნამდვილად არ იდგა. დიპლომატიური და მშვიდობიანი მოლაპარაკებების არაერთი

მცდელობის შემდეგ, სამხედრო მოქმედებაზე გადასვლა ქვეყნის ისედაც შელახული სუვერენიტეტის ერთგვარი დაცვის მცდელობას წარმოადგენდა. ამგვარად, ბრიტანეთში მომუშავე რუსული წარმომავლობის მკვლევრის, ოქსანა ანტონენკოს შეკითხვაზე, თუ რამ უბიძგა სააკაშვილს რუსეთ-საქართველოს „ცივი ომის ცხელ ომად გადაქცევისკენ?“ — პასუხი იქნება შემდეგი:

1. „ცხელი ომი“ ცხინვალის რეგიონში დაიწყო 2008 წლის ივლისის ბოლო-აგვისტოს დასაწყისიდან, როდესაც, ილარიონოვისა და ლატინინას ცნობების მიხედვით, ოსმა სეპარატისტებმა ცეცხლი გახსნეს სამშვიდობოების ბაზებისა და ცხინვალის ქართული სოფლების მიმართულებით, რითაც საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი შელახეს.

2. ქართული მხარის მოქმედებაზე გადასვლა განაპირობა ალტერნატივის არქონამ. შექმნილ ვითარებაში ხელისუფლებას ან უბრალოდ გვერდიდან უნდა ემზირა ინტერვენციისთვის ან ეცადა საპასუხო მოქმედებაზე გადასვლა ქვეყნის დასაცავად.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი ხუთი დღეს გრძელდებოდა — 7-დან 12 აგვისტომდე. ომის განმავლობაში რუსული არმიის ინტერვენცია საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ ცხინვალის რეგიონით არ შემოფარგლულა. მეორე ფრონტი გაიხსნა აფხაზეთისა და დასავლეთ საქართველოს მიმართულებებიდან. საბრძოლო მოქმედებებში ჩართული იყო რუსეთის საზღვაო ფლოტიც.

საომარი მოქმედებების დაწყების კონკრეტული დროის შესახებ ბევრი ითქვა და დაიწერა. ქართულმა მხარემ საკუთარი მთავარი მტკიცებულება აღნიშნული საკითხის შესახებ 2008 წლის სექტემბერში წარმოადგინა. დოკუმენტი სატელეფონო საუბრების ჩანაწერებისგან შედგება, რომელსაც 7 აგვისტოს ღამით გაიმართა „სამხრეთ ოსეთის“ სასაზღვრო დაცვის უფროსსა და თავად დაცვის ერთ-ერთ წევრს, გასიევს შორის, 03:52 საათზე. კითხვაზე — ჯავშნოსანი ტექნიკა როკის გვირაბს მოუახლოვდა თუ არა, გასიევი პასუხობდა: „ჯავშნოსნები და ხალხი“. კითხვაზე — გაიარეს თუ არა მათ როკის გვირაბი, გასიევმა მიუგო: „დიახ, 20 წუთის წინ. როცა მე დაგირეკეთ, ისინი უკვე შემოსული იყვნენ“.

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, რუსული სამხედრო ნაწილების საქართველოს ტერიტორიაზე უშუალო საომარი მოქმედებების დაწყების თარიღი, როგორც ვხედავთ, ჯერ კიდევ 7 აგვისტოს ადრიანი დილა ყოფილა. ამასთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსული 135-ე და 693-ე პოლკები საქართველოს ტერიტორიაზე უკვე აგვისტოს დასაწყისიდან იყვნენ განლაგებული.

ეს ცნობები საკმარისი არ აღმოჩნდა „საერთაშორისო დამოუკიდებელი ფაქტების დამდგენი კომისიისთვის“ (ტალიავინის კომისია). კომისიის დასკვნის მიხედვით, რუსეთის

მარატ კულახმეტოვი ცხინვალში

გორის დაბომბვა

სამხედრო ნაწილების ყოფნა საქართველოს ტერიტორიაზე საომარი მოქმედებების დაწყებამდე არ დასტურდება, ხოლო „სროლებს“ (Shootings — სტილი დაცულია), რომელთაც ომის დაწყებამდე ჰქონდა ადგილი, უფრო სპონტანური ხასიათი ჰქონდა, სადაც რთული იყო გარკვევა, ვინ ვისი პროვოცირება მოახდინა. ამასთან, კომისიის დასკვნის მიხედვით: „პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ 7 აგვისტოს 23:35 საათზე გაცემულმა ბრძანებამ და შემდგომმა სამხედრო შეტევამ ცხინვალის მიმართულებით, დაბალი ინტენსივობის სამხედრო კონფლიქტი სრულმასშტაბიან შეიარაღებულ კონფლიქტად აქცია. ამიტომაც, ეს მომენტი სამართლებრივად დასაბუთებულად ითვლება ამ კონფლიქტის საწყის წერტილად“.

ამგვარად, ევროკავშირის მიერ შექმნილი „ტალიავინის კომისიის“ დასკვნა, ბევრ საერთოს პოულობს ევროკავშირის ზომიერ პოლიტიკასთან რუსეთთან დაკავშირებით. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ კომისიის დასკვნის შინაარსი დიდწილად სწორედ ზემოაღნიშნულმა პოლიტიკურმა ფაქტორებმა განაპირობა.

ევროკავშირი უფრო მეტად ფოკუსირებული იყო საქართველოში გაჩაღებული ომის შეწყვეტაზე, ვიდრე უშუალოდ კონფლიქტის მოგვარებაზე. ამ ფაქტის მკაფიო ილუსტრაციას წარმოადგენს ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, საფრანგეთისა და მისი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის ინიციატივით 12 აგვისტოს შემუშავებული „ექვსპუნქტიანი გეგმა“, რომელიც ამგვარად გამოიყურებოდა:

1. ძალის გამოყენებაზე უარის თქმა;
2. საბრძოლო ქმედებებზე საბოლოო უარის თქმა;
3. ჰუმანიტარული დახმარებისთვის თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა;
4. საქართველოს შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ მათი ჩვეულებრივი დისლოკაციის ადგილებში;
5. რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა დაბრუნდნენ სამხედრო მოქმედებების დაწყებამდე არსებულ ხაზზე. საერთაშორისო მექანიზმის შექმნამდე, რუსეთის სამშვიდობო ძალები განახორციელებენ უსაფრთხოების დამატებით ზომებს;
6. საერთაშორისო დისკუსიების დაწყება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის პირობების შესახებ.

საკითხის ექსპერტობა არ არის აუცილებელი იმის განსაჭვრეტად, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა რუსეთისთვის მეხუთე პუნქტში გადმოცემული „უსაფრთხოების დამატებითი ზომების“ განხორციელების უფლების მინიჭებას. ამ უფლებით ფრთაშესხმულმა მოსკოვმა ჩვეულ სტილში იმოქმედა და 2008 წლის 26 აგვისტოს ცალმხრივად აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობა. საქართველომ, თავის მხრივ, დაგმო რუსეთის უკანონო აქტი და გამოსცა კანონი ოკუპირებული ტერიტორიების

ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლები ომის შემდეგ დაანგრიეს, შემდეგ კი აღგავეს

შესახებ, რომელიც 2008 წლის 23 ოქტომბერს შევიდა ძალაში.

14 აგვისტოს საქართველომ გაეროს საერთაშორისო სასამართლოს სთხოვა რუსეთის მიერ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული აგრესიის გამოძიება. 2009 წლის 1 დეკემბერს რუსეთმა გაასაჩივრა საქართველოს მოთხოვნა საერთაშორისო სასამართლოს მიმართ. საბოლოოდ, 2011 წლის 1 აპრილისთვის მომზადებულ საერთაშორისო სასამართლოს დასკვნაში „არარეალისტურად" იყო შეფასებული შეხედულება, თითქოს ქართულმა მხარემ არ ამოწურა კონფლიქტების დარეგულირების ყველა მშვიდობიანი საშუალება. ჰაგის სასამართლო ღიად სდებდა ბრალს რუსეთს საერთაშორისო კანონმდებლობის დარღვევაში.

2016 წლის 27 იანვარს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ გამოაცხადა 2008 წლის ომის დროს ჩადენილი დანაშაულების გამოძიების დაწყების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ საკვლევად აღებულია არა უშუალოდ ომის მონაკვეთი, არამედ 2008 წლის 1 ივლისიდან 10 ოქტომბრამდე პერიოდი. გამოძიებასთან დაკავშირებით კრემლის პოზიცია გაახმიანა რუსეთის ფედერაციის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე ალექსანდრ ბასტრიკინმა, რომელმაც განაცხადა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ ყველაფერი „თავდაყირა დააყენა". ამგვარად, ოფიციალური მოსკოვის დამოკიდებულება, ჯერ კიდევ დაუსრულებელი საერთაშორისო გამოძიებისადმი, წინასწარვე არის ცნობილი.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომი კიდევ ერთ ტრაგიკულ ფურცლად ჩაიწერა საქართველოს ისტორიაში. ომის შემდეგ რუსეთმა უფრო მყარი კონტროლი დაამყარა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მოსკოვის ინიციატივით, საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიების მუშაობის არეალი ორივე რეგიონში შეიზღუდა. გაეროს UNOMIG-ის მისიას, რომელიც 1993 წლის აგვისტოდან მუშაობდა აფხაზეთში, 2009 წლის 16 ივნისს გაუვიდა ვადა. რუსული მხარის ინიციატივით, ამ ორგანიზაციის სამუშაო ვადის გაგრძელებას ვეტო დაედო. 2009 წლის 1 იანვარს გაუვიდა სამუშაო ვადა ეუთოს მისიასაც, რომელიც საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში 1992 წლიდან მუშაობდა.

2008 წლის 15 სექტემბერს, ევროკავშირის მიერ შეიქმნა სადამკვირვებლო მისია (EUMM), რომელსაც ორივე კონფლიქტურ რეგიონში უნდა ემუშავა 1 ოქტომბრიდან, თუმცა კრემლის ძალისხმევით ამ მისიას არც ცხინვალში და არც სოხუმში შესვლის საშუალება არ მიეცა და მათი ბაზები თბილისში, გორსა და ზუგდიდში განლაგდა.

ომის დროს განადგურდა ცხინვალის რეგიონის ქართული სოფლები — კეხვი, ქურთა, თამარაშენი, ერედვი, ვანათი და ავნევი. როგორც ედუარდ კოკოითი აღნიშნავდა,

გორის ქუჩებში

აღნიშნული სოფლები „მიწასთან გასწორდა“.

საქართველოსაგან „გამოყოფის“ შემდეგ, რუსეთმა მაქსიმალურად გააძლიერა საკუთარი პოლიტიკა ორივე კონფლიქტურ რეგიონში. რაც ყველაზე მტკივნეული და მნიშვნელოვანია, ამ პროცესს ხელს უწყობენ თავად აფხაზი და ოსი სეპარატისტები.

2015 წლის 1 სექტემბრიდან გალის რაიონის 11 ქართულ სკოლაში სასწავლო პროცესი მთლიანად რუსულ სახელმძღვანელოებზე გადაიყვანეს. ამასთან, როგორც ცნობილია, აფხაზეთის „საპრეზიდენტო კანდიდატები“ ვალდებული არიან, ჩააბარონ გამოცდა მშობლიურ, აფხაზურ ენაში. თუმცა ეს არ ცვლის რუსული ენის პრივილეგირებულ მდგომარეობას აფხაზურ ენასთან შედარებით, რომელსაც, თავის დროზე, სეპარატისტების მტკიცებით, ქართველთაგან „საფრთხე“ ემუქრებოდა.

მსგავსი ვითარებაა ასევე ცხინვალის ოკუპირებულ რეგიონში, სადაც 2017 წლის სექტემბრიდან, 2008 წელს ოკუპირებული ახალგორის რვავე ქართულ სკოლაში სწავლება რუსულ ენაზე გადავიდა. ამასთან, 2017 წლის

შეიარაღებული მაროდიორები ქვემო აჩაბეთში

გაზაფხულზე გამართულ „საპრეზიდენტო არჩევნებში“ ანატოლი ბიბილოვის გამარჯვების შემდეგ, ოსი სეპარატისტების პრორუსული ორიენტაცია უფრო მკვეთრი გახდა. ბიბილოვი დაუფარავად აცხადებს, რომ: „სამხრეთ ოსეთი პრაქტიკულად რუსეთის ნაწილია“.

2017 წლის 10 აპრილს ცხინვალის რეგიონში გაიმართა რეფერენდუმი „რესპუბლიკისთვის“ სახელის შეცვლის და მისთვის „ალანიის რესპუბლიკის“ დარქმევის ინიციატივით, რომელშიც, მისული მოსახლეობის 78%-მა, საკითხის მიმართ დადებითი პოზიცია გამოხატა.

მოსკოვი აქტიურად ცდილობს ორივე რეგიონის რუსიფიკაციას. ყველაზე დიდ ტრაგედიას ამ შემთხვევაში ისევ და ისევ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ რუსეთის ამ ქმედებებს მხარს უჭერს თავად სეპარატისტულად განწყობილი რეგიონების მოსახლეობა. ამით ისინი პრაქტიკულად რუსეთს სწირავენ ყველა იმ ეროვნულ ღირებულებას, რომელიც მათივე მტკიცებით, ქართველებთან თანაცხოვრების პერიოდში „საფრთხის ქვეშ“ იდგა. მიუხედავად ვითარების მთელი ტრაგიკულობისა, აღნიშნული ფაქტი არ იწვევს გაკვირვებას მთელი იმ იდეოლოგიური და პროპაგანდისტული სამუშაოს ფონზე, რაც რუსულმა მხარემ საუკუნეების განმავლობაში გასწია ორივე კონფლიქტურ რეგიონში.

გასაკვირი უფრო ის არის, როცა მაღალ აკადემიურ-სამეცნიერო დონეზე ხდება რუსეთის პოლიტიკის „გამართლება“ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითია ბრიტანელი მკვლევარი ჯორჯ ჰიუიტი, რომელიც, დიდი ალბათობით, საკმაოდ კარგად იცნობს რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობების ისტორიას. ამის მიუხედავად, ავტორი არ ერიდება რიგი აბსურდული კითხვების დასმას საკუთარ „სამეცნიერო შრომებში“.

ერთ-ერთ მოხსენებაში, რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციაზე საუბრისას, ჰიუიტი სვამს კითხვას: „ვინმეს შეუძლია გაიხსენოს რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო აგრესია წითელი არმიის მიერ 1921 წელს დამყარებული საბჭოთა მმართველობის შემდეგ? მგონი არა. მაშ, საკითხი დავას არ ექვემდებარება“. ერთადერთი რამ, რაც ამ შემთხვევაში დავას ნამდვილად არ ექვემდებარება, არის ჰიუიტის შეხედულებების სრული ჰარმონიული თანხვედრა რუსულ საოკუპაციო პოლიტიკასთან საქართველოში, რომელსაც აფხაზებისა და ოსებისთვის ძალიან ცოტა რამ თუ მოაქვს სასიკეთო. ჰიუიტის შეხედულებები ჭეშმარიტ მეცნიერებასთან იმდენივე საერთოს აღლენს, რამდენსაც რუსული საოკუპაციო პოლიტიკა აფხაზი და ოსი ხალხის ეროვნულ ინტერესების დაცვასა და კეთილდღეობასთან.

კახაბერ ყალიჩავა

თსუ ისტორიის დოქტორანტი

ხანძარი რუსული ავიაციის მიერ გორის დაბომბვის შემდეგ

ერთი იმერელი კაცისა და რუსეთის დიდი თავადის საოცარი თავგადასავალი

სპირიდონ ხუჯაძე, როგორც საუკეთესო მძღოლი, „ველური დივიზიის“ სარდალს ემსახურებოდა

დიდი თავადი მიხაილ რომანოვი (1878-1918)

იმერული სოფელი ნაბოსლევი თითქოს არაფრით გამოირჩევა სხვა ქართული სოფლებისგან, თუმცა ამ სოფელში დაბადებული კაცი — სპირიდონ ხუჯაძე, პირდაპირ უკავშირდება XX საუკუნის საზარელ პირველ მსოფლიო ომს, ანუ დიდ ომს, როგორც მას 1939 წლამდე უწოდებდნენ და რომანოვების სახლის ისტორიას.

პირველმა მსოფლიო ომმა ხაზი გადაუსვა მრავალი სახელმწიფოს იმედებს, რომ ისინი უკეთეს სამყაროში იცხოვრებდნენ. „რამე დაწყევლილი სისულელე ბალკანეთში იქნება ნაპერწკალი ახალი ომის გასაღვივებლად“, იწინასწარმეტყველა თავის დროზე ბისმარკმა, რაც გავრილო პრინციპის ნასროლმა ტყვიამ დაადასტურა. შედეგად მივიღეთ მანამდე არნახული გლობალური კონფლიქტი, რომელმაც სამუდამოდ შეცვალა მსოფლიო.

ომმა რუსეთის იმპერიაში უმაგალითო გაქანების პატრიოტული გამოძახილი პოვა. მტერთან საბრძოლველად ლამის მთელი მოსახლეობა დაირაზმა.

გაზეთ „კავკაზის“ ცნობით, 1914 წლის ივლისში ნალჩიკში ყაბარდო-ბალყარეთის სოფლებიდან და დასახლებებიდან რჩეული წარმომადგენლები შეიკრიბნენ, რომლებმაც გადაწყვიტეს, მოსახლეობის ხარჯზე კავკასიელ ცხენოსანთა პოლკი შეექმნათ. იმპერატორს დეპეშით გაუგზავნეს მოთხოვნა, მათთვის ნება მიეცათ, რათა ომში გაეგზავნათ ოთხი ასეული ცხენოსანი (დივიზია დაკომპლექტდა მოხალისე კავკასიელი მუსლიმანებით, რომლებიც გათავისუფლებული იყვნენ სამხედრო-სავალდებულო სამსახურიდან).

სხვა მონაცემებით, „ველური დივიზიის“ (ასე შეარქმევენ მუსლიმანებით დაკომპლექტებულ

სპირიდონ ხუჯაძე

М. П. С.

Правленіе Кавказскаго Округа Путей Сообщенія.

27 (Апрѣля дня) 1911 г. № 16954.

Свидѣтельство.

Фамилія владѣльца автомобиля

Номерной знакъ автомобиля, выданный Правленіемъ Округа №

Система двигателя

Фамилія шоффера Худжадзе

Имя Спиридонъ

Отчество Ивановичъ

Возрастъ 24 лѣтъ

Медицинское свидѣтельство

Особыя замѣчанія относительно шоффера

Раіонъ обращенія автомобиля

2

Особыя условія эксплоатаціи автомобилей въ раіонѣ ихъ обращенія

Начальникъ Округа, Инженеръ

Правитель Канцеляріи

სპირიდონ ხუჯაძის მოწმობა, გაცემული კავკასიის ოლქის რკინიგზის მიერ 1911 წელს

სამ დივიზიაში გაერთიანებულ ექვს პოლკს — ყაბარდოულს, დაღესტნურს, თათრულს, ჩეჩნურს, ინგუშურსა და ჩერქეზულს) შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი გახლდათ კავკასიის მეფისნაცვალი ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვი. მეფისნაცვალმა, ერთი დაკვრით, ყველაზე აგრესიული და არასაიმედო მუსლიმანი კავკასიელები, რომლებიც თურქეთისადმი სიმპათიით იყვნენ გამსჭვალული, თავიდან მოიშორა და „ველურ დივიზიაში“ გაამწესა. მეორე მხრივ, მეფისნაცვალს კეთილშობილური მიზანი ამოძრავებდა: მას სურდა, რამით დახმარებოდა სამეფო ოჯახის მიერ გარიყულ ნიკოლოზ II-ის უმცროს ძმას, მიხაილს, რამენაირად განემუხტა სამეფო კარზე მისდამი არსებული უარყოფითი დამოკიდებულება და მიხაილი სადმე განემწესებინა, კერძოდ, „ველური დივიზიის“ უფროსად. საქმე ის არის, რომ რომანოვებმა მეფის უმცროს ძმას ვერ აპატიეს, როცა მან გაბედა და ორჯერ განათხოვარ, წმინდა სისხლის არქონე ქალზე — ნატალია ბრასოვაზე იქორწინა. ვორონცოვი მიხაილს ბავშვობიდან კარგად იცნობდა, მისი შვილი, ასევე ილარიონი, შინაურობაში ლარკა კი მიხაილის მეგობარი იყო.

ოდნავ წინ გავუსწრებ მოვლენებს და იმის საჩვენებლად, თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდა მეფის ოჯახსა და თავად იმპერატორს მიხაილისადმი, ერთ ფაქტს მოვიყვან: 1915 წლის დასაწყისში რუსული ჯარი მონაწილეობდა მძიმე ბრძოლებში პერემიშლის რაიონში. მიხაილ რომანოვის „ველურ დივიზიას“ გერმანული კირასირების დივიზიის შეტევა უნდა შეეჩერებინა, რასაც მათ წარმატებით და ღირსეულად გაართვეს თავი. ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის საკავალერიო კორპუსის უფროსმა, გენერალ-ლეიტენანტმა ჰუსეინ ხან ნახიჩევანსკიმ რომანოვი წმინდა გიორგის ჯვარზე წარადგინა, მაგრამ იმპერატორმა ეს წარდგენა არ დააკმაყოფილა. მხოლოდ მესამეჯერ, როცა საქმეში მერვე არმიის ხელმძღვანელი ალექსეი ბრუსილოვი ჩაერია, როგორც იქნა, მიხაილ რომანოვმა წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვარი მიიღო.

საბოლოოდ, ვორონცოვმა თავისი გაიტანა და „ველური დივიზიის“ ხელმძღვანელად მიხაილ რომანოვი დაინიშნა...

საკვირველია ნამდვილად, როგორ მოახვედრა ავტომანქანის სიყვარულმა უბრალო იმერელი კაცი „ველურ დივიზიაში“, სადაც 1914-1916 წლებში ის დიდი მთავრის, მიხაილის მძღოლად მსახურობდა. დიდი მთავარი დივიზიის უფროსად დანიშნეს 1914 წლის 23 აგვისტოს, ხოლო სპირიდონმა მასთან სამსახური 10 სექტემბერს დაიწყო.

სპირიდონის შვილიშვილის, თამაზ ხუჯაძის მონაყოლით, ბაბუა გაწონასწორებული, იუმორით დაჯილდოებული ადამიანი გახლდათ. ის უმეტესწილად ღია ფერის კიტელებს ატარებდა, თავზე განუყრელი შლაპით. პირგაუპარსავი არასოდეს გამოვიდოდა გარეთ. სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა გაწკეპილი ულვაშები, მის მოსავლელად რამდენიმე ცალი შავი ხავერდის ასაკრავი ჰქონდა, რომლითაც ყოველ ღამეს ულვაშს შემოიკრავდა. დილაობით ულვაში ისე ჰქონდა გაბზეკილი, ძველად რომ იტყოდნენ, ულვაშის წვერზე ბუზი რომ დაჯდეს, ზედ წამოეგებაო. სპეციალური ჯაგრისი ჰქონდა, რომელსაც მხოლოდ ულვაშისა და თმისთვის ხმარობდა.

რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე III-ის ოჯახი. უკან დგას უფროსი ვაჟი, მომავალი იმპერატორი ნიკოლოზ II, ხოლო მარცხნივ დგას უმცროსი ვაჟი, დიდი მთავარი მიხაილ ალექსანდროვიჩი

საჭესთან ზის სპირიდონ ხუჯაძე, მის უკან დიდი თავადი მიხაილია, ხოლო დიდი თავადის გვერდით ზის გენერალი დიმიტრი ბაგრატიონი

სანამ მძღოლი გახდებოდა, ყმაწვილმა სპირიდონმა ქუთაისში ზეინკლობა შეისწავლა — „იარაღებით რკინებს ვჭრიდი, ვქლიბავდი, ვღუნავდი, ვასწორებდი, ვბურღავდი და ვრჩილავდიო“... ამ ჭრა-ქლიბვაში შესანიშნავ ოსტატად იქცა, მალე სამხედრო ბეგარა მოიხადა და კვლავ ზეინკლობას დაუბრუნდა. ეს საქმე ძალიან დაეხმარა მომავალ პროფესიაში.

1909 წელმა გადაწყვიტა მეტწილად მისი ბედი — ამ წელს სპირიდონი ბაქოში გაემგზავრა ნავთის სარეწებზე, რომელიც იმ დროს ინგლისელების ხელში იყო. იქ საზეინკლო საამქროში დაიწყო თავისი ხელობით მუშაობა. ერთხელაც, ხელფასის მიღების შემდეგ, კანტორიდან გამოსულმა შეამჩნია, რომ შექუჩებული ხალხი რაღაცას გაფაციცებით აკვირდებოდა. სწორედ მაშინ ნახა სპირიდონმა სიცოცხლეში პირველად ავტომობილი, რომელიც დაქოქილი ფრუტუნებდა... ამ საოცრების წინაშე სპირიდონმა დაიჩოქა და პირჯვრის წერა დაიწყო. თურმე მანქანას გარს უვლიდა და გაიძახოდა: ღმერთო ისე ნუ მომკლავ, ამაში ჩაჯდომა არ მეღირსოსო! მუხლებზე დაცემულ კაცს ყურადღება მიაქცია ინგლისელმა მრეწველმა იმერმა, გაერკვა ვითარებაში, გაიგო სპირიდონის სურვილი და სამსახური შესთავაზა, თუკი სპირიდონს კარგ დახასიათებას მისცემდნენ. ამ ინგლისელის წყალობით და თავისი ხარჯით, სპირიდონმა მანქანის მართვის ექვსთვიანი კურსები გაიარა, რომლის დროსაც მას უნარჩუნდებოდა ხელფასის 50%, ჰქონდა უფასო კვება და ბინა. ასე დაიწყო თავისი ახალი პროფესიით სპირიდონმა სამსახური, საკმაო თანხაც დააგროვა და გროზნოში, სადაც მისი ოჯახი ცხოვრობდა, ხუთოთახიანი ბინა შეიძინა. ინგლისელი იმერის წყალობით (თავის ერთ შვილს სპირიდონმა მის პატივსაცემად დაარქვა სახელი) ახალგამომცხვარი იმერელი მძღოლი ორი ნავთის სარეწის მფლობელი გახდა და რომ არა რევოლუცია და რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობა, საკმაოდ შეძლებული კაციც იქნებოდა.

ერთ დღეს სპირიდონი უფროსთან ერთად გაემგზავრა ვედენოს მხარეში, სადაც ჭაბურღილებს ბურღავდნენ. უფროსი იქ დატოვა და მისი ნებართვით გროზნოში დაბრუნდა ოჯახში, მეორე დღეს კი უკან უნდა წამოსულიყო. გზად ორი პოსტი უნდა გაევლო. საქმე ის იყო, რომ იმხანად მაზრაში ყაჩაღად გავარდნილა ჩეჩენი ზელიმ ხანი. იქ ისეთი ადგილმდებარეობა იყო, რომ არათუ ცხენოსანი, ფეხით ვერ გაივლიდა კაცი სხვაგან, ამიტომ ძალაუნებურად პოსტი უნდა გავლო. სპირიდონის მანქანას და მასაც, რასაკვირველია, ყველა იცნობდა და უპრობლემოდ გადაადგილდებოდა. რამდენიმე კილომეტრი რომ გაიარა, გზად ვიღაც წვერიანმა,

ნაბადმოსხმულმა კაცმა ხელით ანიშნა, გამიჩერეო და სთხოვა, ბარში ჩამიყვანეო, მაგრამ საბუთები არ მაქვს და თუ შეგეკითხებიან ჩემზე, უთხარი, თანამგზავრი და ნაცნობია-თქო. სპირიდონი დათანხმდა, თუმცა ეჭვობდა, ვინ არის ეს კაცი, თანაც ჩასხდომისას ნაბადი გადაეწია და იარაღი გამოუჩნდა.

ორივე პოსტი მათ მშვიდობით გაიარეს. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ დაინახეს კაცი ორი ცხენით — ის სპირიდონის მგზავრს ელოდებოდა. გამომშვიდობებისას ნაბდიანმა უთხრა — გეტყობა, რომ არც რუსი ხარ და არც უცხოელი, კავკასიელს ჰგავხარ, ფულს ვერ შეგკადრებ, აი, ჩემგან სათუთუნეო და სპირიდონს ოქროს სათუთუნე გადასცა, თანაც სიტყვა აიღო მისგან, რომ ამ შეხვედრის შესახებ არავისთან არაფერს იტყოდა. შემოახტა ცხენს და ორივე მხედარი ხევში გაუჩინარდა. მეორე დღეს მთელ გზაზე ჩოჩქოლი იყო. მიზეზიც მალე გაიგო, თურმე წინადღით ალყაში ჰყავდათ მომწყვდეული ზელიმ ხანი, მაგრამ მას რაღაც მანქანებით თავი დაუღწევია. სპირიდონი მიხვდა, რომ ის „მანქანა“ თავად იყო და მისი ავტომობილი. ეჭვი საბოლოოდ გაუქარწყლდა, როცა რამდენიმე ხნის შემდეგ ზელიმ ხანი მოკლეს და მისი ფოტო გაზეთში დაიბეჭდა — სპირიდონმა მაშინვე ამოიცნო თანამგზავრი, თუმცა ამის შესახებ კრინტიც არ დაუძრავს.

მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, ინგლისელებმა კავკასია დატოვეს, ხოლო ხუჯაძე ამიერკავკასიის შტაბის ავტონაწილში გაიწვიეს, რომელიც მანგლისში იყო დაბანაკებული.

მაშინ მთელ ამიერკავკასიაში სულ 60 მძღოლი ირიცხებოდა, ამათგან ორი ქართველი იყო (სპირიდონი და ალექსი თურქიაშვილი), ერთი სომეხი — ავეტისიანი, ერთიც დედით ქართველი, დანარჩენები კი რუსები, უკრაინელები და ბელორუსები. მათ შორის ყველაზე ხანგრძლივი სტაჟი — 1911 წლიდან — ხუჯაძეს ჰქონდა.

დაახლოებით 1914 წლის შუაწელში, სტაჟისა და დამსახურების მიუხედავად, მძღოლებს გამოცდა ჩაუტარდათ — ისინი ოთხ გენერალთან ერთად ვლადიკავკაზში გაემგზავრნენ. გზად სადღაც უღელტეხილზე გაჩერებულან და მწვადი მიურთმევიათ. გენერლები ცალკე ისხდნენ, მძღოლები ცალკე. როგორც სპირიდონი იხსენებს, ერთი გენერალი გამოვიდა სასადილოდან და ჩუმად გადაკეტა სპირიდონის მანქანაში ბენზინის მისაწოდებელი მილი. რატომ გააკეთა ეს — საკუთარი ფავორიტი რომ გაეყვანა თუ მძღოლის პროფესიონალიზმის შესამოწმებლად, უცნობია. მოკლედ, როცა წასვლის დრო დადგა, ყველა მანქანა დაიძრა, სპირიდონის გარდა. ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ, მძღოლმა ახადა კაპოტი, გამოასწორა ყველაფერი და მალე წინ წასულებსაც დაეწია.

იქ მძღოლებს ერთგვარი გამოცდა მოუწყვეს — თითქოსდა მანქანის წონის გასაგებად, უზარმაზარ სასწორზე მანქანების აყვანა მოსთხოვეს. თურმე აინტერესებდათ, როგორ დაიცავდნენ მძღოლები წონასწორობას. სამ მძღოლს ამ ამოცანის შესრულება გაძნელებია, ხოლო სპირიდონმა, როგორც თვითონ ამბობდა თურმე, ღმერთის წყალობითო, ამოცანას მშვენივრად გაართვა თავი. მალე უკან დაბრუნდნენ და კვლავ მანგლისში დაბინავდნენ.

გავიდა ორი დღე. მოულოდნელად, ღამის ორ საათზე კაპიტან ანტონოვსკის ბრძანებით სპირიდონი გააღვიძეს და უბრძანეს, სასწრაფოდ გამოცხადებულიყო ავტონაწილის უფროსთან. მოსაცდელში მას დახვდნენ ქართველი თერძები ნიკოდიმე კვიმსაძე და ონისიმე ხუციშვილი, რომლებიც უნაგირებსა და ჩოხა-ახალუხს კერავდნენ. არც მათ იცოდნენ გამოძახების მიზეზი. მალე მათთან მივიდა სამხედრო პირი და თერძებს მოსთხოვა, ხუჯაძისთვის სასწრაფოდ აეღოთ ზომები. კითხვაზე თერძებმა უპასუხეს — ჩვენ არაფერი ვიცით, დაგვიძახეს და დაგვავალესო. აქ კი სპირიდონს ფერი ეცვალა — ალბათ რაღაც

მიხაილ რომანოვი და მისი მეუღლე ნატალია ბრასოვა

ინგლისის მთავრობამ რუსეთს სანიტარიული ავტომობილები აჩუქა, რომლებიც სხვადასხვა სამხედრო ნაწილში მოხვდა. საჭესთან ზის სპირიდონ ხუჯაძე

დანაშაული მიმიძღვის, დახვრეტას მიპირებენ და კუბოს ზომას იღებენო...

ასე გაიარა რამდენიმე წუთმა, გაოგნებული სპირიდონისთვის კი საუკუნემ და მხოლოდ მაშინ მოითქვა სული, როცა მასთან მივიდა შტაბსკაპიტანი, ხელი ჩამოართვა, მეორე ხელი კი ბეჭებზე დაჰკრა და უთხრა — სპირიდონ, ბედნიერ ვარსკვლავზე ყოფილხარ დაბადებული! ხვალ დაისვენე და ზეგ კი დასავლეთ უკრაინის ერთ-ერთ ქალაქში გაგამწესეს მაღალი ჩინის კაცთან, ვინ და რა არის, ადგილზე შეიტყობო. და დაამატა, — მეც ნუ დამივიწყებო. მოკლედ, შეუკერეს ექვსი სხვადასხვა ფერის ჩოხა-ახალუხი (კი გაუკვირდა სპირიდონს, ამდენი ჩოხა რად მინდაო, მაგრამ მიზეზი მოგვიანებით გაიგო — მიხაილ რომანოვი, დივიზიის რომელ პოლკშიც მიდიოდა, იმ პოლკის ჩოხას იცვამდა, იმავეს აკეთებდა მისი გარემოცვა და სპირიდონიც. სწორედ ამიტომ იყო შეკერილი „ექვსი ხელი“ ჩოხა. სხვათა შორის, ზემოთ ნახსენები ქართველი თერძები ისეთი პოპულარული გამხდარან, რომ ისინი „ველურ დივიზიაში“ მიიწვიეს და ძველი ნაცნობები ერთმანეთს დიდი სიხარულით შეხვდნენ თურმე), გამოემშვიდობა ოჯახს და ერთ პოდპორუჩიკთან ერთად, მანქანით გაუდგნენ გზას. ქალაქ ტერნოპოლში მეხუთე დღეს ჩავიდნენ.

ადგილზე ჩასული სპირიდონი „აუთვალიერ-ჩაუთვალიერებიათ“, სხვადასხვა პირებს დეტალურად გამოუკითხავთ მისი საქმიანობის, ოჯახური მდგომარეობის შესახებ. მერე ვიღაც პოლკოვნიკმა, რომელიც რუსულად აქცენტით საუბრობდა, ინსტრუქტაჟი ჩაუტარა და მხოლოდ შემდეგ უთხრა, რომ სპირიდონი იქნებოდა დიდი მთავრის, მიხაილ ალექსანდროვიჩ რომანოვის, ანუ ნიკოლოზ II-ის უმცროსი ძმის პირადი მძღოლი.... ეს რომ გავიგე, თავი სიზმარში მეგონაო, უყვებოდა სპირიდონი შვილებს, ლამის სიხარულით ჭკუიდან შევიშალეო. აბა, ხუმრობა ამბავია, მეფის ძმასთან მძღოლად მუშაობა? მოკლედ, ეიფორიამ რომ ჩაიარა, უფროსებმა ასწავლეს, როგორ უნდა შეხვედროდა და მისალმებოდა მეფის უმცროს ძმას.

შეხვედრა სადილობის შემდეგ მოეწყო — მთელი დივიზია ჩამწკრივდა და სამწყობრო შემოწმება გაიმართა. მიხაილ რომანოვს მოახსენეს ახალი მძღოლის ჩამოსვლა, მანაც მიყვანა ბრძანა. სპირიდონი ეახლა, რომანოვმა ხელი გაუწოდა და ეტიკეტის თანახმად, როგორც ასწავლეს, ხუჯაძემ მარჯვენა მუხლზე ჩაიჩოქა და ჩოხის კალთას ეამბორა. შემდეგ რომანოვმა გამოჰკითხა ოჯახის შესახებ და მცირე საუბრის შემდეგ ისინი პოლიგონზე გავიდნენ. იქ რამდენიმე უცხოური მანქანა მდგარა, საიდანაც ხუთი ცალი უნდა ამოერჩია. სპირიდონმა სხვადასხვა ფირმის ხუთი მანქანა შეარჩია, რომლებიც სახელოსნოში გადაიყვანეს და მათ მოწესრიგებას შეუდგნენ.

მოგვიანებით გაიგო სპირიდონმა, რომ

თურმე დასაწყისში რომანოვისთვის რუსი მძღოლი შეურჩევიათ, რომლის კანდიდატურაზე მთავარს კატეგორიული უარი უთქვამს და მოუთხოვია — იქნებ კავკასიაში მომიძებნოთ მძღოლიო, თანაც არ იყოს ღვინის მსმელი და მწეველიო (თავად მიხაილ რომანოვი არ ეწეოდა და ღვინოსაც ნაკლებად სვამდა, მაგრამ ძალიან უყვარდა კავკასიელთა მიერ მომზადებული მწვადი). ამას მოჰყოლია ვლადიკავკაზში მგზავრობა და მაღალჩინოსანი ოფიცრების მიერ სპირიდონის გამოცდა, რომელიც მან წარმატებით ჩააბარა.

სპირიდონი გაბედული და უშიშარი კაცი იყო, რაც მისი დახასიათებიდანაც ირკვევა, რომელიც 1917 წლის აპრილში მის სახელზე გასცა დიდ მთავარ მიხაილ ალექსანდროვიჩის საქმეთა სამმართველომ (ერთხელ, პატივისცემის ნიშნად, დიდმა მთავარმა სპირიდონს ჯიბის საათი უსახსოვრა, რომელიც დღემდე ინახება სპირიდონის შვილიშვილის, თამაზ ხუჯაძის ოჯახში). 1916 წელს პოლკის უფროსის გადარჩენისთვის ის წმინდა გიორგის მეოთხე ხარისხის ჯვრით დააჯილდოვეს — კოლონის წინა ორი მანქანა ხრამში გადაიჩეხა და რამდენიმე მაღალი რანგის ოფიცერი გარდაიცვალა, ხოლო პოლკის უფროსი სპირიდონმა გადაარჩინა.

იმერ ხუჯაძის მოგონებიდან: „ერთხელ ფრონტის ხაზზე ნიკოლოზ II-ის ბიძა, ისიც მიხაილ რომანოვი, ჩინით გენერალი, მედლების დასარიგებლად ჩასულა. ფრონტის ხაზამდე რამდენიმე მანქანით მოძრაობდნენ თურმე რუსი ჩინოვნიკები. მამა გენერლის მანქანას მართავდა და პირველი მიდიოდა. ზამთარი ყოფილა, მოყინულ თავდაღმართთან მამას მანქანა გაუჩერებია და გზის გაგრძელებაზე უარი უთქვამს. კორტეჟის სხვა მანქანებს კი არ გაუჩერებიათ და რამდენიმე მანქანა ხრამში გადაჩეხილა. დიდმა გენერალმა მამას, მადლიერების ნიშნად, იქვე დაჰკიდა თურმე გულზე ოქროს ჯვარი“.

„ველურ დივიზიაში“ მუშაობისას სპირიდონ ხუჯაძემ უფროსი უნტეროფიცრის წოდება მიიღო.

როცა სპირიდონი დივიზიაში გამოჩნდა, პირველი, რაც დივიზიის ხელმძღვანელობამ გააკეთა, მას გვარში ერთი ასო შეუცვალა: უ-ს მაგივრად ო ჩაუწერა. ასე გადაიქცა სპირიდონი ხოჯაძედ. რომანოვის მოადგილის, გენერალ დიმიტრი ბაგრატიონის თქმით, რუსულად გვარის დასაწყისი ცოტა უხერხულად ჟღერს და მიხაილს არ ეწყინოსო. მოგვიანებით გვარის შეცვლამ სპირიდონის შვილები ჩააგდო უხერხულ სიტუაციაში: როცა ის გარდაიცვალა, შვილებმა ქუთაისის სასაფლაოზე საფლავის გამზადება დაიწყეს, რასაც ადმინისტრაცია კატეგორიულად შეეწინააღმდეგა — ხუჯაძეები საკუთარ სასაფლაოზე ხოჯაძეს რატომ ასაფლავებთო! თუმც კი კარგად იცოდნენ მათი ამბავი, ჩანს, „მაღარიჩი“ უნდოდათ. ნათესავებს მოუწიათ სიმართლის მოწმეებითა და საბუთებით დამტკიცება...

1915 წლის 12 აპრილს სპირიდონს მეორე შვილი შეეძინა და მას სასწრაფოდ გაუგზავნეს დეპეშა. რა თქმა უნდა, ომის დროს დეპეშამ ცენზურა გაიარა და სპირიდონი მიხაილ რომანოვთან გამოიძახეს. როგორც კი კაბინეტში ფეხი შედგა, რომანოვი ღიმილით წამოდგა, ხელი ჩამოართვა და შვილის შეძენა მიულოცა. წესისამებრ, სპირიდონს მუხლებზე დაცემა მოუწადინებია, მაგრამ დიდმა მთავარმა არ დაანება, ადიუტანტს გამოუძახა, მილოცვის დეპეშის გაგზავნა უბრძანა და დააყოლა, ბავშვი ჩემს სახელზე მონათლეთ და ვლადიმირი დაარქვითო. 1915 წლის მაისში კი, შვილის დაბადების ორი თვის თავზე, მიხაილ რომანოვმა სპირიდონი დედას, ქვრივ დედოფალ მარია

მარია ფიოდოროვნა, იმპერატორ ალექსანდრე III-ის მეუღლე, დიდ თავად მიხაილისა და ნიკოლოზ II-ის დედა. ის გახლდათ პრინც კრისტიან გლიუკსბურგელის, შემდგომ დანიის მეფე კრისტიან IX-ის ქალიშვილი

ჯიბის საათი, რომელიც დიდმა მთავარმა მიხაილ რომანოვმა სპირიდონ ხუჯაძეს უსახსოვრა

ფიოდოროვნას წარუდგინა. მისმა სილამაზემ, დიდებულებამ გამაშეშაო, — უყვებოდა სპირიდონი თავის შვილიშვილს თამაზს. მიხაილი მიხვდა, რომ კარგ დღეში ვერ ვიყავიო და ზურგში ხელი მკრა, დავიჩოქე, კაბაზე ვემთხვიე... დედოფალმა უთხრა — მიხაილი გაქებთ, ვიცი, ბავშვიც მოგინათლათ, იმედი მაქვს, ჩვენ ნდობას გაამართლებთო. ბავშვი როცა დაიბადა, მიხაილის მეუღლემ ნატალია ბრასოვამ სპირიდონის ცოლს, ნადიას, საჩუქრად კრაველის ძვირფასი ქურქი გაუგზავნა, რითიც ეს უკანასკნელი თავს იწონებდა. მაგრამ ამ ქურქმა კინაღამ დიდ განსაცდელში ჩააგდო — რამდენჯერმე ყაჩაღებმა ქურქის წართმევა მოინდომეს და შემთხვევით გადაურჩა ქურქიც და მისი პატრონიც ხიფათს. ბოლოს სპირიდონმა ქურქი ბაქოში წაიღო და იქ სარფიანად გაყიდა.

1915 წლის ზაფხულში სპირიდონს ერთი ინციდენტი შეემთხვა, რამაც ლამის მისი სიცოცხლეც იმსხვერპლა. ერთხელ რომანოვი მცირეხნიან შვებულებაში გავიდა და წასვლის წინ ხუჯაძეს დაუბარა, ბაგრატიონის ბრძანების გარეშე ავტომობილში არავინ ჩაესვა. ერთ დღესაც სპირიდონი მანქანას რეცხავდა, როცა მას ბარონმა პიოტრ ვრანგელმა (ეს ის ვრანგელია, მერე წითლებს რომ ებრძოდა სამოქალაქო ომის დროს) დაუძახა — მანქანა აქეთ მოიყვანეო. ვრანგელი მთვრალი იყო, თან ვიღაც ექთანი ქალი ახლდა. სპირიდონმა მის ძახილს ყურადღება არ მიაქცია, რადგან ნაბრძანები ჰქონდა, მანქანაში არავინ ჩაესვა. ცოტა ხანში ბარონი თავად მიუახლოვდა სპირიდონს და უშვერი სიტყვებით გათათხა — ქართველო ლეკვო! ჩემს ბრძანებას რატომ არ ასრულებო! ამ ამბავს იქვე მდგარი ოფიცრებიც ადევნებდნენ თვალყურს და ვიღაცამ ქართულად დაუძახა ხუჯაძეს: სპირიდონ, შენ ქართველი არ იქნები, თუ პასუხი არ გაეცი! ამის თქმა და რევოლვერისკენ ხელის წაღება ერთი იყო. ვრანგელმა კი უკვე ბუდიდან იარაღის ამოღება დაიწყო და რომ არა ექთანი ქალი, ალბათ სპირიდონს კარგი დღე არ დაადგებოდა. ინციდენტს შეესწრო ბაგრატიონი, რომელმაც იცოდა, რა გადარეულიც იყო ვრანგელი და სპირიდონს დაუძახა — დაიკარგე აქედანო! სპირიდონმა ბრძანება მყისვე შეასრულა და პურის ყანებს მისცა თავი... რამდენიმე საათის შემდეგ მას თავზე ორი ხმალამოღებული ჯარისკაცი დაადგა, ქამარი იარაღთან ერთად შეხსნეს და კარცერში ჩასვეს, სადაც ორი დღე დაყო. ამასობაში ბაგრატიონმა დეპეშა გაუგზავნა დიდ მთავარს, სადაც აცნობა საქმის პერიპეტიები — რა ვქნათო? პასუხად მოსულა, რომ გაათავისუფლეთ სპირიდონი, იარაღიც დაუბრუნეთ და ისევ განაგრძოს თავისი სამსახურიო. ხუჯაძეც კვლავ შეუდგა თავისი უფლება-მოვალეობის შესრულებას, მაგრამ ვრანგელთან შეხვედრას ყველანაირად ერიდებოდა. მხოლოდ მოგვიანებით გაიგო სპირიდონმა, რომ ვინც მას ქართულად შესძახა — გივი ამილახვარი ყოფილა, რომელსაც იარაღი მოუმარჯვია და თუ ვრანგელი სპირიდონს სროლას დაასწრებდა, მაშინ იგი ესროდა. როცა მიხაილ რომანოვი შვებულებიდან დაბრუნდა, სპირიდონს უნტეროფიცრის წოდება ჩამოართვეს და რიგით ჯარიკაცად განაწესეს, თუმცა მძღოლის ფუნქციას ისევ ასრულებდა; სამი თვის თავზე კი წოდება კვლავ აღუდგინეს.

გადმოცემით, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ, სამეფო ოჯახის ცალკეული წევრები უცხოეთში გახიზვნას აპირებდნენ. თურმე მიხაილს სპირიდონის ოჯახისთვის ტანსაცმელი და სხვა საჭირო ნივთებით დატვირთუ-

ლი ვაგონი გაუგზავნია გროზნოში, რათა ისინი ამავე ვაგონით ჩასულიყვნენ პეტროგრადში და შემდეგ უცხოეთში გადასულიყვნენ. ეს ყველაფერი უთხრეს პეტროგრადში მყოფ სპირიდონს. ისიც სულმოუთქმელად ელოდა ოჯახის ჩამოსვლას. გავიდა რაღაც დრო და ვაგონი უკან ცარიელი დაბრუნდა. სპირიდონს ლამის ინფარქტმა დაარტყა, აქეთ ეცა, იქით ეცა და აი, რა გაარკვია: თურმე მეუღლეს კატეგორიული უარი განუცხადებია საზღვარგარეთ წასვლაზე, ხელი დაუვლია ბავშვებისთვის, საჭირო ნივთები შეუკრებია და საქართველოში გაქცეულა. ეს სპირიდონმა მეუღლეს სიცოცხლის ბოლომდე ვერ აპატია და ხშირად გულმოსული ეტყოდა თურმე: ნადია, შე ქალო, როგორ არჩიე შენი სოფლის პრასი პარიზსო!

1916 წლის თებერვალში მიხაილ რომანოვი სხვაგან გადაიყვანეს, თუმცა ის ხშირად უბრუნდებოდა ხოლმე ყოფილ ხელქვეითებს. რაც შეეხება სპირიდონ ხუჯაძეს, ის დივიზიაში 1917 წლის 1-ელ თებერვლამდე დარჩა.

როცა გამომშვიდობების დრო დადგა, დიდმა მთავარმა მას ერთი მანქანა გადასცა საჩუქრად, სათანადო საბუთებით, რაღაც თანხაც მისცა და სპირიდონი სახლისკენ გაეშურა. ამით დასრულდა მისი სამსახური დიდ მთავართან. სხვადასხვა თავგადასავლებისა და პერიპეტიების შემდეგ (ხან თეთრებთან და ხან ბოლშევიკებთან) ის საქართველოში 1919 წელს დაბრუნდა და ისევ ზეინკლად მუშაობდა.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მას შინსახკომი არ ასვენებდა, რამდენჯერმე გაჩხრიკეს მის სახლი, კედლებიც კი დაუნგრიეს — თურმე ოქროსა და ძვირფასეულობებს ეძებდნენ. იმერი ხუჯაძე იგონებდა: „მახსოვს, ერთხელ ბოლშევიკები როგორ ანგრევდნენ ჩვენი სახლის კედლებს, ძვირფასეულობას ეძებდნენ. ჩვენს ოჯახს ჰქონდა მიხაილ რომანოვის ნაჩუქარი ბევრი ძვირფასი ნივთი, თუმცა ომიანობის შემდეგ დედა ოქროულობას საჭმელზე ცვლიდა და ისე გვზრდიდა ხუთ შვილს (ზელიმ ხანის ოქროს სათუთუნესაც იგივე ბედი ეწია. — ი.მ.). მახსოვს, ერთხელ დედამ მეზობელს ოქროულობის აცმა გაატანა სურსათზე გადასაცვლელად.... ქუთაისის ცენტრში, ჩემს ბავშვობაში იქ იყო მაღაზია, სადაც ძვირფასეულობის სანაცვლოდ სურსათს იძლეოდნენ. დედამაც შაქრის, კარაქისა და სხვა პროდუქტების მოსატანად გაატანა ძვირფასეულობა, მეზობელი დაბრუნდა და თქვა წამართვესო,



ჩოხაში — სპირიდონ ხუჯაძე

სპირიდონი რეპრესიებს გადაურჩა და 1973 წლამდე იცოცხლა

მოკლე ხანში კი, სახლი გაყიდა და საცხოვრებლად თბილისში გადავიდა“. სპირიდონი ჭიათურის მაღაროში მექანიკოსად მუშაობდა, შემდეგ რამდენიმე წელიწადს რიონჰესის მშენებლობისას საფიჩხიაზე განლაგებულ მეორე დამხმარე საამქროში. რიონჰესის დასრულების შემდეგ წყალტუბოში მაცივრების შემკეთებლად განაგრძო მუშაობა, პენსიაზე გასვლის შემდეგ კი ქუთაისში, წერეთლის ქუჩაზე საკუთარ კარ-მიდამოს უვლიდა.

სპირიდონ ხუჯაძე სასწაულად გადაურჩა რეპრესიებს და 1973 წელს, 92 წლისა გარდაიცვალა.

ირაკლი მახარაძე

ლენინის დატირება თბილისურად

ქართველი ბოლშევიკები პროლეტარიატის ბელადის ერთკვირიანი გლოვით მოსკოვს ერთგულებას უმტკიცებდნენ

1924 წლის 21 იანვარს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ბელადი, ვლადიმერ ილიას ძე ულიანოვი. ლენინის გარდაცვალება საბჭოთა ხელისუფლებამ ლამის მსოფლიო მასშტაბის ტრაგედიად შერაცხა. მოსკოვიდან მიღებული ბრძანებით, საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკაში, ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ღონისძიება უნდა გამართულიყო. ამგვარი დირექტივა საქართველოშიც მოვიდა.



ვლადიმერ ლენინი (ულიანოვი)

1921 წლიდან მოყოლებული, საქართველოში რეპრესიები დაიწყო, საზოგადოების ნაწილი ხელისუფლების მიმართ უარყოფითად იყო განწყობილი. მიუხედავად ამისა, როგორც ჩანს, სამგლოვიარო პროცესიაში უამრავი ადამიანი მონაწილეობდა.

ერთ-ერთი პირველი ღონისძიება, რომლის გამართვის ბრძანებაც მოსკოვიდან მოვიდა, იყო გლეხთა კრებების ორგანიზება, რის მეშვეობითაც ხალხმა მიიღო ცნობა ლენინის გარდაცვალების შესახებ. დემონსტრაციის დღეს ყველა რაიონიდან თბილისში გამოგზავნეს ათ-ათი გლეხი, წარმოებებსა და სკოლებში სამგლოვიარო მიტინგები მოეწყო.

თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილების თანახმად, გლოვის კვირეულში შესრულდა მთავრობის მოთხოვნები:

1) ყველა საზოგადო თუ კერძო დაწესებულებაზე სამგლოვიარო დროშები აღიმართა.

2) დაწყებული 22 იანვრიდან, გლოვის კვირეულის ბოლო დღის ჩათვლით, შეწყდა მუშაობა გასართობ ადგილებში: თეატრში, ცირკში, კინოში, რესტორნებში და სხვ.

3) არც ერთ დაწესებულებაში არ უკრავდა მუსიკა.

გლოვის პერიოდი ხელისუფლებამ თავისი ინტერესების სასარგებლოდაც გამოიყენა. საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით, დაკრძალვის დღემდე წარმოებაში სამუშაო გრაფიკი შეიცვალა და ყველა სამუშაო დღეს ორი საათი დაემატა.

საზოგადოებრივი ღონისძიებების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა საჯარო შენობების, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, თავშეყრის ადგილების მორთვა. რკინიგზის ყველა სადგური, ბაქანი, დასასვენებელი პუნქტი მოირთო სამგლოვიარო შავი ქსოვილით, ტრამვაის ვაგონებზე დამაგრდა სამგლოვიარო დროშები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა შავი ნაჭრებით იყო დაფარული. მაღაზიები, სახლებიც კი ასევე სამგლოვიარო შავი ნაჭრებით დაფარეს.

ქუჩებში გააკრეს პლაკატები ლენინის ფრაზებით. ლენინის სურათები, რომლებიც

მეგზური სიკეთის სამყაროში

კარიბჭის ბიბლიოთეკა მოზარდთათვის

წიგნი 12

„ქართველი გმირები“

31 იანვრიდან
ჟურნალ
„კარიბჭესთან“ ერთად

წიგნის
სპეციალური ფასი
4 ₾
ჟურნალთან ერთად
5 ₾

შვილებთან ერთად წასაკითხი წიგნები – სიკეთის, კაცთმოყვარეობის, მიმტევებლობის მაგალითები მხატვრული ლიტერატურიდან და რეალური ბიოგრაფიებიდან.

კარიბჭე

იკითხეთ წიგნის მაღაზიებში და პრესის გავრცელების წერტილებში,
ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673;
0(32)2382674 და www.elva.ge თქვენთვის სასურველ ადგილზე მოგართმევთ.



მიხა ცხაკაია, პროცესიის უშუალო ორგანიზატორი, სიტყვით გამოვიდა რუსულად დაკრძალვის დღეს



ფილიპე მახარაძე აქტიურად მონაწილეობდა სამგლოვიარო პროცესიის ორგანიზებაში და მიხა ცხაკაიასთან ერთად, ლენინის სურათი აიტანა ახლანდელ თავისუფლების მოედანზე აღმართულ თაღზე

სილვა თორდია

ყველა დაწესებულებაში იყო, შეიმკო მარადმწვანე მცენარეებით — დაფნითა და სუროთი. მაგალითად, კონსერვატორიის შენობაში დასვენებული ლენინის ფოტო დაფნითა და ყვავილებით შეამკეს, სურათს იცავდა საპატიო ყარაული, შენობაში კი შოპენის სამგლოვიარო მარში გაისმოდა.

მონაწილეებს აუცილებლად უნდა ჰქონოდათ სამგლოვიარო ნიშანი, მარცხენა ხელზე დამაგრებული წითელი ლენტი შავი არშიით. წითელი, როგორც გამარჯვების აღმნიშვნელი ფერი, ხოლო შავი — გლოვის.

შეიქმნა სამგლოვიარო კომისია, რომელსაც წესრიგის დაცვა დაევალა. სწორედ ამ კომისიისა და საკავშირო კომუნისტური პარტიის გადაწყვეტილებებს პასიურად ასრულებდა საქართველოს მოსახლეობა.

29 იანვარი, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, მშრომელთა უდიდეს გლოვის დღედ გამოცხადდა. მუშაობა ყველა წარმოება-დაწესებულებაში შეწყდა, გარდა რამდენიმე სამსახურისა — წყალსადენის, განათების, რკინიგზის, ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, სტაციონალური სამკურნალო დაწესებულებებისა და სტიქიურ უბედურებებთან ბრძოლის.

ოპერის თეატრში 23 იანვარს 5 საათზე გაიხსნა სამგლოვიარო სხდომა, რომელზეც სიტყვით მიხა ცხაკაია გამოვიდა. მან საზოგადოებას ლენინის გარდაცვალების ამბავი აუწყა. ისაუბრა ტრაგედიით გამოწვეულ დანაკლისსა და ხალხის წინაშე ლენინის ღვაწლზე. 28 იანვარს სამგლოვიაროდ მორთულ რუსთაველის თეატრში პროფკავშირის სხდომა გაიმართა, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ მიხა ცხაკაია და რეჟისორი კოტე მარჯანიშვილი.

ლენინის გარდაცვალებას გამოეხმაურა კათოლიკოს-პატრიარქის დროებითი მოსაყდრე ქრისტეფორე ციცქიშვილიც. 1921 წლის 15 აპრილს საქართველოს რევკომმა მიიღო დეკრეტი №21 „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“. ამ დროისთვის რეალურად ეკლესიაში მღვდელმთავართა შორის ორი დაჯგუფება გამოიყო. ქრისტეფორე ციცქიშვილი კომპრომისული პოლიტიკის მომხრე იყო, საკარაუდოდ, სწორედ ამას მიანიშნებდა გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული ქრისტეფორე ციცქიშვილის სამძიმარი. ეპისკოპოსი ღრმა მწუხარებას გამოთქვამდა იმ აუნაზღაურებელი დანაკლისის

გამო, რომელიც სსრ კავშირს დაატყდა თავს ლენინის გარდაცვალებით: „საქართველოს ეკლესიის სამღვდელოებისა და მორწმუნეთა სახელით გთხოვთ, მიიღოთ ღრმა თანაგრძნობა იმ აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო, რომელიც ეწია ს.ს.ს რესპუბლიკათა კავშირის მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა ინტერესებისთვის თავდადებული მებრძოლის, ვლადიმერ ლენინის, ჭეშმარიტად რომ უდროოდ დაკარგვით. გთხოვთ ეს სამძიმარი აცნობოთ სოციალისტურ საკავშირო რესპუბლიკათა ცაკს“.

რაც შეეხება ქართველ ინტელიგენციას, ლენინის გარდაცვალებასთან დაკავშირებით კომპრომისზე წასვლა მათთვის პრაქტიკულად თავის გადარჩენას ნიშნავდა. მიხა ცხაკაიას ქართველი მეცნიერებისა და ხელოვანთა დელეგაცია ეწვია, რომელმაც ლენინის გარდაცვალების გამო სამძიმარი გამოუცხადა. სამძიმრის ტექსტი შაბლონურია, მეტყველია ამ დელეგაციის შემადგენლობა: რექტორი ივანე ჯავახიშვილი, პეტრე მელიქიშვილი, შალვა ნუცუბიძე, კორნელი კეკელიძე, დიმიტრი უზნაძე. ხელოვანთა ორგანიზაციის წარმომადგენლები იყვნენ გრიგოლ რობაქიძე, ვასილ ბარნოვი, პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, კოტე მარჯანიშვილი.

1924 წლის ლიტერატურულ ჟურნალ „კავკასიონის“ №№1-2-ში გამოქვეყნდა გრიგოლ რობაქიძის სტატია „ვ. ი. ულიანოვ-ლენინი“. რობაქიძემ დიდი მწუხარება გამოთქვა ლენინის გარდაცვალების გამო, ისაუბრა მისი დაკარგვით გამოწვეულ დანაკლისზე, ხალხის სიყვარულის გამოსახატავად კი წარმოთქვა შემდეგი სიტყვები: „არ მგონია არსებობდეს ისეთი ადამიანი, რომელიც ლენინის სიკვდილით არ შერხეულიყოს“. წერილში იკვეთება მეტად საინტერესო შეპირისპირებითი დახასიათება, სადაც ავტორი ნაპოლეონსა და ლენინს ადარებს ერთმანეთს. მისი აზრით, ლენინის გონება ბევრად მაღლა დგას ნაპოლეონის შესაძლებლობებზე: „ნაპოლეონის ნება იყო ქოლერიული, ჭკუა კი მელანქოლიური. ლენინის ქოლერიულ ნებას კიდევ უფრო ახალისებდა ქოლერიული ჭკუა“. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რობაქიძის ეს სტატია უფრო გონივრულად შეფუთული სატირაა, ვიდრე — სამძიმრის წერილი. რობაქიძე იმდენად სამძიმარს კი არ გამოთქვამს, არამედ, შეიძლება ითქვას, დასცინის კიდეც.

ლენინის დაკრძალვის წინა საღამოს

მწერალი იოსებ მჭედლიშვილი



РОГОГОР ОГЛОГВА ТФ^ЛИ.МА ОЛИОЧИС
ДАСАФЛАВЕБА

27 იანვარი, კვირა, არაჩვეულებრივი და დიდი გლოვის დღეა მსოფლიო მშრომელთათვის. ამ დღეს მარადისობის ჩავბარეთ პროლეტარიატის ბელადი, დიდი გენიოსი და მოაზროვნე ამხ. ლენინი.

თითქო ბუნებაც სწუხდა, გლოვობდა ამხ. ლენინის უჯროოთ სიკვდილს, გრძნობდა თავის შეცდომას მრავალ ტანჯულ მშრომელთა წინაშე ამხ. ლენინის ბრძოლის ასპარეზიდან მოხსნის გამო.

მთელი ტფილისის მუშა-მოსამსახურენი, წითელ-არმიელები იდგნენ მათთვის წინასწარ დანიშნულ რიგობენებზე; ჩამოსული იყვნენ ტფილისის ახლო მდებარე სოფლის გლეხები, [ბ]ალები, ბავშვები; ისინი ქვითინებდენ, სტიროდნენ, გრძნობდენ დიდ უბედურებას ამხ. ლენინის დაკარგვისა გამო.

მთელი ის ზღვა ხალხი, [illegible] იყო ტფილისის ქუჩები, განსაკუთრებით პლეხანოვის და რუსთაველის პროსპექტი, ბალეკონები, უსიტყვონი, ან წწუარე სოკონებებით მოსაბარნენი, იდგნენ თავიანთ ადგილზე და გულისფანცქალით მოელოდენ იმ უდიდეს წუთებს, როდესაც მოსკოველი ამხანაგები მიაბარებდენ მარადისობას უდიდესი გენიოსის ცხედარს.

ტუჩები, [illegible] [illegible] [illegible]

ლენინი სიტყვით გამოდის კრემლის კედელთან, იმ ადგილას, სადაც მოგვიანებით მისი მავზოლეუმი აიგო

ქრისტეფორე III (ციცქიშვილი) — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი 1927-1932 წლებში, 1923 წლის 12 იანვრიდან 1925 წლის 8 მარტამდე ასრულებდა პატრიარქის მოსაყდრის მოვალეობას

ლენინისა და სასახლის ქუჩასთან ჩირაღდნებით ხელში მწყობრად მოსიარულე ხალხმა მსვლელობა მოაწყო. დუმილს მხოლოდ ხალხის შეძახილები არღვევდა. ეს შეძახილები კი იყო ამონარიდები ლენინის ფრაზებიდან...

პროცესიის აღწერა გაზეთ „კომუნისტში“ ამინდის ხაზგასმით დაიწყო. ავტორმა, მუშკორმა ათანასე გოგოშიძემ ავდარი ლენინის სიკვდილთან დააკავშირა: „თითქოს ბუნებაც სწუხდა, გლოვობდა ამხ. ლენინის უდროოთ სიკვდილს, გრძნობდა თავის შეცდომას მრავალ ტანჯულ მშრომელთა წინაშე ამხ. ლენინის ბრძოლის ასპარეზიდან მოხსნის გამო“; „ახლოვდება ოთხი საათი. ცა კიდევ უფრო იკუმშება. ბუნებაც ვერ უძლებს დიდებული ბელადის საუკუნო განშორებას და წვრილი წინწკლებით თითქოს ცრემლს აფრქვევს მის სამუდამოდ გაციებულ გვამს“.

ლენინთან გამოთხოვების დღეს, მწერალ იოსებ მჭედლიშვილის მემუარებში დაცული მოგონების თანახმად, ქართველი გლეხების სიცოცხლე შეეწირა. მათ სოფლიდან თბილისში შეშა ჩამოუტანიათ გასაყიდად და პროცესიის გამო მილიციამ გლეხები ქალაქში არ შეუშვა. საპასუხოდ მათ ლენინი უდიერად მოიხსენიეს, რის გამოც მილიციამ ისინი ცემით მოკლა.

იოსებ მჭედლიშვილის აზრით, „ლენინის დამარხვა (ეტყობა, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ „ბელადი“ დღემდე დაუმარხავი იქნებოდა! — რედ.) უფრო ზეიმს გვანდა, ვიდრე გლოვას. ამბობენ, შეჯიბრება იყო მოსკოვსა და ტფილისს შორისო. თურმე ეს შეჯიბრება გამოწვეული ყოფილა ერთგულებით. საქართველომ დაუმტკიცა ერთგულება რუსეთს და ამიტომ ძალიან იგლოვაო“. უნდა ითქვას, რომ ავტორი ობიექტურად აფასებს სიტუაციას, განსაკუთრებით ეს ფრაზა კომუნისტურ პარტიულ ელიტას მიესადაგება.

გამოთხოვების დღეს ღონისძიებები დილის 11 საათიდან დაიწყო.

11 საათზე ფაბრიკების, ქარხნების, პროფკავშირების, სასწავლებლებისა და ჯარის ნაწილებმა თავი მოიყარეს ცეკასთან.

12 საათზე საყვირმა თბილისს მუშაობის შეწყვეტა აუწყა. ქუჩები სწრაფად გაივსო ხალხით, ქალაქში არ მუშაობდა არც ერთი სახის ტრანსპორტი, ეტლიც კი. ორთაჭალიდან საბურთალომდე დაიკეტა ყველა დუქანი, ქუჩებში მხოლოდ სამგლოვიარო მუსიკა გაისმოდა.

ლენინის ფოტო აღმართული იყო ახლანდელ თავისუფლების მოედანზე, რომელსაც გვირგვინად ამკობდა ხუთქიმიანი ვარსკვლავი, ხოლო სურათს საპატიო ყარაული იცავდა ორივე მხრიდან — ერთი წითელარმიელი, ხოლო მეორე პარტიული მუშაკი.

ხალხის რიგებს წინ მიუძღოდნენ მიხა ცხაკაია და ფილიპე მახარაძე, აქ იყვნენ ასევე ლენინის მეგობრები — ლადო დგებუაძე, სილვა თოდრია და სხვები.

11:12 საათზე პროცესია სასახლესთან გაჩერდა, სადაც სამგლოვიაროდ მორთული ლენინის პორტრეტი იყო დასვენებული. პირველად რუსულად სიტყვით გამოვიდა მიხა ცხაკაია, შემდგომ ფილიპე მახარაძე.

როგორც იმდროინდელი პრესა გადმოგვცემს, ხალხი, რომელიც პროცესიას დაესწრო, ცრემლებითა და ხმამაღალი ტირილით აცილებდა ლენინს.

12:40 საათზე ჩამოიღეს სურათი, დროშები ძირს დაუშვეს და ხალხმა დაიჩოქა.

12:54-ზე პროცესია მიუახლოვდა წითელი არმიის შტაბს, რომელიც შავებით იყო დაფარული.

01:00 საათზე სამგლოვიარო მსვლელობამ თავი ერივანსკის მოედანზე მოიყარა.

01 საათსა და 05 საათზე წუთზე ლენინის სურათი ფილიპე მახარაძემ და მიხა ცხაკაიამ სამგლოვიარო თაღზე აიტანეს.

01:00 საათზე დაიწყო ე.წ. რაიონების, ანუ სამგლოვიარო ოთხი ჯგუფის მსვლელობა. პირველ რიგში მოსწავლეები მოდიოდნენ, მათ მოჰყვებოდნენ გლეხები, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ ბარით, თოხით, ნამგლითა და ფიწლით.

სამგლოვიარო მსვლელობას თან ახლდა ლირიკული გადახვევები, რაც გამოიხატა დამსწრეთა მიერ ლექსების წაკითხვაში. ლექსები, ცხადია, ლენინის სიკვდილს ეძღვნებოდა.

4 საათს რომ ხუთი წუთი დააკლდა, მუშაობა იმ დაწესებულებებშიც შეწყდა, რომლებიც კვირადღეს მუშაობდნენ.

04:00 საათიდან სამი წუთის განმავლობაში გამოთხოვების ნიშნად გაისმა ფაბრიკა-ქარხნების საყვირის ხმა, ბოლოს კი მამა დავითის ტაძრის ტერიტორიაზე მდგარი ზარბაზნებიდან გაისროლეს. თაღის თავზე აეროპლანები დაფრინავდნენ. ორმა შეერთებულმა ორკესტრმა მუხლი მოიყარა და სამგლოვიარო მელოდია დაუკრა. პროცესიის დაჩოქილი მო-

გრიგოლ რობაქიძე ლენინის გარდაცვალებას ჟურნალ „კავკასიონში“ გამოქვეყნებული წერილით გამოეხმაურა

სამგლოვიარო თაღი თავისუფლების (ეოფ. ერივნის) მოედანზე.

თაღის ზეგში დასვენებულია ამხ. ლენინის სურათი წითელი ვარსკვლავით მაღლა. იქვე იქით-აქეთ დარაზულნი: წითელარმიელი და მუშა. შემდეგ მარცხნივ—ამხ. მ. ცხაკაია და მარჯვნივ—ამხ. ფ. მახარაძე. 200000 კაცისგან შემდგარ დემონსტრანტების დენა ამ თაღის ქვეშ გაგრძელდა ოთხ საათნახევარი.

27 იანვარს გამართული დემონსტრაციის ილუსტრაცია გაზეთ „კომუნისტში“



ამხ. ლენინის დასაფლავების დღე ტფილისში

27 იანვარი დილა.

სტატიები გაზეთ „კომუნისტში“



გლოვა ტიტანზე

კრემლის კედელთან დროებითი, ხის მავზოლეუმი სასწრაფოდ აღმართეს

ხის მავზოლეუმი ისააკ ბროდსკის ნახატზე (1924 წ.)

ნაწილები, ქალები, ბავშვები, გლოვის ნიშნად ხმამაღლა ქვითინებდნენ. ორკესტრი ფეხზე წამოდგა და ინტერნაციონალი შეასრულა... პროცესია ამით არ დასრულებულა, როგორც თანამედროვეები გადმოგვცემენ, მსვლელობის ბოლო ნაწილმა, ხალხმრავლობის გამო, მხოლოდ საღამოს 6 საათზე მიაღწია ახლანდელ თავისუფლების მოედანს.

სამგლოვიარო ღონისძიებები ამ დღით არ დასრულებულა. ლენინის ხსოვნისთვის პატივის მისაგებად კიდევ არაერთი მიტინგი და ღონისძიება გაიმართა. ყოველდღიური ცხოვრებისა და ყოფის მსგავსად, ეს ტენდენცია, პირველ რიგში, შეეხო ლიტერატურასა და ხელოვნებას, პოეტებმა, მხატვრებმა, მოქანდაკეებმა, შექმნეს ნაწარმოებები, რომელიც ლენინს მიუძღვნეს...

ქეთევან სიხარულიძე

თსუ ისტორიის მიმართულების სტუდენტი

(მარცხნივ) ლენინი ავადმყოფობის ბოლო სტადიაში. (მარჯვნივ) ლენინის დიდი პლაკატი თბილისში, 1970 წწ.



ვისენტე ფეოლას აღზევება და დაცემა

შვედეთის 1958 წლის ჩემპიონატში გამარჯვების შემდეგ ნიკეს თასით. მარცხნიდან: ბელინი, ფეოლა და ჟილმარი

ინგლისის მსოფლიოს ჩემპიონატში ბრაზილიის თამაშების დასრულების შემდეგ, აღშფოთებულმა გულშემატკივრებმა (როგორც მათ ბრაზილიაში ეძახიან –„ტორსიდამ“), დემონსტრაცია მოაწყვეს მუქარის შემცველი ტრანსპარანტებით: „სიკვდილი ფეოლას!“ აღელვებულმა გულშემატკივრებმა სახალხოდ დაწვეს მწვრთნელის ტიკინა, შემდეგ მისი სახლისკენ გაემართნენ და დაარბიეს კიდეც. მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ, როცა მღელვარებამ იკლო, ევროპას თავშეფარებულმა ფეოლამ შინ დაბრუნება შეძლო. ერთხანს ქუჩაში საერთოდ ვერ გამოდიოდა და კიდევ ორ წელიწადს მხოლოდ დაცვის თანხლებით მოძრაობდა. არადა, ლაპარაკია კაცზე, ვისაც „ტორსიდა“ აღმერთებდა და ადიდებდა; რომლის თავკაცობითაც ბრაზილიამ პირველად შეძლო მსოფლიო ჩემპიონატის მოგება.

ვისენტე ფეოლას წინამძღოლობით ბრაზილიის ნაკრებმა 74 მატჩი გამართა, რომელთაგან 55 მოიგო, 13 ფრედ დაასრულა და მხოლოდ 5 წააგო. შთამბეჭდავი სტატისტიკაა, თუმცა მისი ყველაზე დიდი დამსახურება ბრაზილიის ნაკრების მიერ პირველად მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონობა და დღეს უკვე პენტაკამპეიონთა (ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონთა) მაშინდელ ეროვნულ გუნდში დანერგილი რევოლუციური ტაქტიკური ცვლილებაა. ამის მიუხედავად, ფეოლამ საკუთარ ტყავზე გამოსცადა მწვრთნელების მიმართ ტრადიციული უმადური დამოკიდებულება და სამწვრთნელო კარიერა გულნატკენმა დაასრულა.

საფეხბურთო ტაქტიკის დიდოსტატი

ვისენტე იტალო ფეოლა (1909-1975) ბრაზილიის ეროვნულ გუნდს სათავეში შვედეთის 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე ჩაუდგა. მან კარგად აუღო ალღო გუნდში შექმნილ ვითარებას, მალე დარწმუნდა ტაქტიკური სქემის შეცვლის აუცილებლობაში და საკუთარი თამამი იდეა მინდორზე გადაიტანა. ფეოლას გუნდის ცენტრში ორი ბრწყინვალე შუახაზელი, ზიტო და დიდი გამოდიოდნენ, რომლებიც მოწინააღმდეგეთა შეტევის ჩაფუშვას საკუთარი საჯარიმო მოედნის მოშორებით ახერხებდნენ. ამასთან, დიდი

შვედეთი, 1958 წლის მსოფლიო ჩემპიონატი. მარჯვნიდან: დიდი, მეკარე ჟილმარი და პელე

დისპეტჩერის ბუნებრივი ნიჭით იყო დაჯილდოებული, უნარიანად წარმართავდა და ცვლიდა სელესაოს (პორტუგალიურად — ნაკრები გუნდი) შეტევათა მიმართულებას. „დუბლ-ვე“ სისტემით მოთამაშე მეტოქე გუნდის მცველთა ტრიოს ბრაზილიელ თავდამსხმელთა კვარტეტი უტევდა. მარჯვენა ფლანგზე გარინჩა აბითურებდა მოწინააღმდეგეებს, მარცხენა ფრთაზე მარიო ზაგალო ავიწროებდა მცველებს, ამასთან, საჭიროების შემთხვევაში, უკანახაზელთა დასახმარებლად მინდვრის სიღრმეშიც იხევდა, შეტევის ცენტრიდან კი მეტოქეს ვავა და პელე უტევდნენ. დაცვას რაც შეეხება, ფეოლამ მოწინააღმდეგეთა მწვრთნელებს კიდევ ერთი სიურპრიზი შესთავაზა. მინდვრის ცენტრში მან ორი უკანახაზელი დააყენა. ამით, ერთი მხრივ, ეს ზონა გაცილებით საიმედო გახდა, ამასთან, განაპირა მცველებს შეტევაში ჩართვა თამამად შეეძლოთ. გუნდის ისედაც ძლიერი საიერიშო პოტენციალი მეტოქეთათვის კიდევ უფრო საშიში გახდა. ნილტონ და ჯალმა სანტოსების, ბელინისა და ორლანდოს მიერ შეკრული უკანა ხაზი ოპტიმალურთან მიახლოებული დაცვა იყო. ამგვარად, საფეხბურთო სამყარომ ახალი ტაქტიკური სქემა იხილა, რომელსაც ხორცი წარმატებით შეასხეს უაღრესად ტექნიკურმა ბრაზილიელმა მოთამაშეებმა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსი პელესა და გარინჩას თამაშია. 17 წლის პელე სკანდინავიაში დებიუტანტის სტატუსით გაემგზავრა, იქიდან კი სამშობლოში ფეხბურთის მეფედ დაბრუნდა. განსაკუთრებით შთამბეჭდავად მან მუნდიალის გადამწყვეტ სტადიაზე ითამაშა, ნახევარფინალსა და ფინალში 5 გოლი გაიტანა, შვედებთან გადამწყვეტ შეხვედრაში კი მუნდიალების ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ბურთი შეაგდო. მსოფლიო ჩემპიონატამდე გარინჩას კოპა ამერიკის (ამერიკის თასი) ორ ტურნირში ეთამაშა, მაგრამ მუნდიალზე საფეხბურთო სამყარომ „სხვა“ ფეხბურთელი იხილა. მისი ფენომენალური დრიბლინგისა და ფინტების მსხვერპლი უკლებლივ ყველა მოწინააღმდეგე გუნდის მცველი გახდა. ბრაზილიელებმა ტურნირი მაჟორულ ნოტზე, საბჭოთა კავშირის ნაკრების 2:0 დამარცხებით დაიწყეს და შვედების 5:2 ძლევით ტრიუმფულად დაასრულეს. ბრაზილია დღემდე ერთადერთი არაევროპული ქვეყნის ნაკრებია, რომელმაც ძველ კონტინენტზე მსოფლიო ჩემპიონატის მოგება

მოახერხა. ამ მიღწევაში კი ყველაზე დიდი წვლილი სელესაოს დამრიგებელმა ვისენტე ფეოლამ შეიტანა.

შვედეთის მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, ვისენტე ფეოლა ნაკრების მთავარ მწვრთნელად 1959 წლის ოქტომბრამდე მუშაობდა და მუნდიალის ტრიუმფატორებთან ერთად, კიდევ ორი შთამბეჭდავი მატჩის მოგება მოასწრო. ყვითელ-ცისფრებმა ჯერ ლამაზი სტილით ფეხბურთის სამშობლოს წარმომადგენელი, ინგლისის ნაკრები დაამარცხეს (2:0), შემდეგ კი ჩილე გაანადგურეს (7:0). ეროვნული გუნდიდან წასვლის შემდეგ ფეოლა ცოტა ხნით „სან პაულოში" მუშაობდა, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა — ბუენოს აირესიდან „ბოკა ხუნიორსის" წინადადება მიიღო, რომელსაც დათანხმდა და სამუშაოდ არგენტინაში გაემგზავრა. 1962 წელს ფეოლამ „ბოკას" ქვეყნის ჩემპიონობა მოაგებინა, მაგრამ მომდევნო გათამაშებაში მისმა გაწვრთნილმა გუნდმა მეხუთე საფეხურზე დაასრულა არგენტინელთა პირველობა და ფეოლაც მთავარი მწვრთნელობიდან დაითხოვეს.

ჩილეს 1962 წლის მუნდიალის დროს აიმორ მორეირას ფეოლას გუნდი პრაქტიკულად არ შეუცვლია და არც ტაქტიკური ექსპერიმენტებისთვის მიუმართავს. მან მხოლოდ ტრავმირებული პელე შეცვალა. ბრაზილია ზედიზედ მეორედ, დამაჯერებლად გახდა მსოფლიო ჩემპიონი. 1964 წლის მაისში კი ბიკამპეონთა (ორგზის მსოფლიო ჩემპიონთა) დამრიგებლად კვლავ ვისენტე ფეოლა დაინიშნა. ნაკრების სათავეში დაბრუნება მან „მარაკანაზე" ინგლისელთა განადგურებით (5:1) აღნიშნა, რასაც მოჰყვა მოსკოვში ევროპის იმდროინდელი ვიცე-ჩემპიონის, სსრ კავშირის დიდი ანგარიშით (3:0) დამარცხება. ბრაზილიაში ეიფორია სუფევდა, ნაკრებისგან მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონობის შენარჩუნებას ითხოვდნენ და ელოდნენ...

ჯიბეში დაგულებული გამარჯვება

არადა, ფეოლას წინაშე არაერთმა პრობლემამ წამოჰყო თავი. შვედეთის მუნდიალის შემდეგ დიდი დრო იყო გასული, გუნდი ძირეულ რეკონსტრუქციას მოითხოვდა. ერთი შეხედვით, ეს არცთუ რთული ამოცანა იყო, რადგან ბრაზილიაში ყოველთვის უამრავი მაღალი დონის ფეხბურთელია და ასაკოვანი მოთამაშეების სათანადოდ ჩანაცვლება თითქოს ძნელი არ უნდა იყოს. ფეოლაც ამ გზით წავიდა. იგი სელექციას შეუდგა. ნაკრების სხვადასხვა საწვრთნელ ბაზაზე ერთდროულად რამდენიმე გუნდი ვარჯიშობდა. დამრიგებელს სამუნდიალე განაცხადის შევსება ბოლო მომენტამდე გაუჭირდა. ფეოლას უამრავი მრჩეველი ჰყავდა, რომელთა ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებულმა თვალსაზრისმა ესოდენ გამოცდილი დამრიგებელიც კი დააბნია.

ინგლისის 1966 წლის მუნდიალი ბრაზილიამ მოგებით დაიწყო, მაგრამ ბულგარელთა დამარცხება დამაჯერებელი ნამდვილად ვერ გამოდგა. სელესაომ ორივე გოლი სტანდარტული სიტუაციიდან, საჯარიმო დარტყმების შესრულების შედეგად გაიტანა, უნგრელებთან 1:3 მარცხმა კი ტელეეკრანებთან მიჯაჭვული მთელი ბრაზილია გააოგნა. „შოკიდან გამოსულმა" ტორსიდამ მადიარებთან წაფორხილება შემთხვევითობას მიაწერა და ჯგუფური ეტაპის დასკვნით შეხვედრაში პორტუგალიასთან მოგებაში დარწმუნებული იყო, მაგრამ... მატჩის დასრულებისთანავე ბრაზილიელები ქუჩაში გავიდნენ და პორტუგალიელ მოგაჭრეთა ფარდულებს დაერივნენ. მთავარი „იერიში" კი ვისენტე ფეოლაზე მიიტანეს. ყველა ქალაქში მისი ფიტული დაწვეს, სან პაულუში ბრაზი-



ბრაზილიის საფეხბურთო ნაკრების მწვრთნელი ვისენტე ფეოლა (ბრაზილია, 1957 წ.)

ჟაირზინიო პორტუგალიის კარს უტევს. ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატზე ბრაზილიამ ეს მატჩი 1:3 წაგო, რაც ტორსიდამ ფეოლას არ აპატია



პელე და გარინჩა

ფეოლასადმი მიძღვნილი ნიგერიის საფოსტო მარკა

ლიის ეროვნული გუნდის მთავარი მწვრთნელის სახლს რიყის ქვები დაუშინეს, ფეოლას ოჯახის წევრებს პოლიციის გაძლიერებული რაზმი იცავდა. ბევრ ქვეყანაში და განსაკუთრებით ბრაზილიაში, მწვრთნელის პროფესია სახიფათოა, რაც ვისენტე ფეოლამ საკუთარ ტყავზე გამოსცადა. ინგლისის მუნდიალზე შერცხვენილი ბრაზილიის ნაკრების სამშობლოში დაბრუნების თარიღი საიდუმლო იყო, თუმცა, ყოველი შემთხვევისთვის, ფეოლამ ევროპაში რამდენიმე თვით დაყოვნება ამჯობინა.

რუსი ჟურნალისტი იგორ ფესუნენკო იხსენებს: „...ამ ამბებიდან ოთხი წლის შემდეგ შევხვდი ვისენტე ფეოლას და უშუალოდ მისგან გავიგე ამ დრამატული ისტორიის წვრილმანები, ბრაზილიის ნაკრების ინგლისში ფიასკოს შესახებ. ამ დროისთვის ფეოლა უკვე აღარავის სჭირდებოდა, არავის აინტერესებდა. მახსოვს, 1970 წლის 30 სექტემბერს თვალი მოვკარი „მარაკანას“ სტადიონზე, ბრაზილიის ნაკრების გასახდელთან. ნაკრები მექსიკასთან სათამაშოდ ემზადებოდა ე.წ. მადლიერების მატჩისთვის. ამით ბრაზილია მადლობას უხდიდა მექსიკურ ტორსიდას იმ მხარდაჭერისთვის, რაც მათ გამოხატეს ბრაზილიისთვის მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის დროს.

თამაშის შემდეგ, რომელიც ბრაზილიის გამარჯვებით, ანგარიშით 2:1 დასრულდა, მოხუცი ფეოლა გვერდით იდგა და ნაღვლიანად იღიმებოდა. იგრძნობოდა, რომ ის უცხო იყო ამ დღესასწაულზე. მას არავინ აქცევდა ყურადღებას.

მივუახლოვდი, მოვახსენე ვინ ვიყავი და ინტერვიუ ვთხოვე. მან მიპასუხა, რომ აქედან პირდაპირ აეროპორტში მიდიოდა და სან პაულოში ბრუნდებოდა. მაგრამ თუ რუსი სენიორი ერთხელ მაინც აღმოჩნდება ჩვენს ქალაქში, დიდი სიამოვნებით შევხვდები მასო.

ასეც მოხდა. რამდენიმე დღის შემდეგ, ჩავედი სან პაულოში და ფეოლასთან ორი დღე გავატარე. გავიხსენეთ მისი ბრწყინვალე 1958 წლის გამარჯვება შვედეთში, რომლის მერეც ეროვნული გმირი გახდა და 1966 წლის ფიასკოც ინგლისში, რის გამოც მოხუცი საკუთარ ქვეყანაში ლამის პერსონა ნონ გრატად შერაცხეს.

ვკითხე, რით შეეძლო ლივერპულის სტადიონზე იმ დამარცხების ახსნა? ფეოლამ კი მიპასუხა, რომ ამას უკვე ევროპაში გამოფრენამდეც ვარაუდობდა.

„რატომ? იმიტომ რომ ჩვენ, ბრაზილიელებს, თავში აგვივარდა წარმატება. გვეგონა, გამარჯვება ჯიბეში გვედო, მხოლოდ ხელი უნდა გაგვეწოდა და თასიც ჩვენი გახდებოდა!

ეს მხოლოდ გუნდს კი არ დამართნია, ამით მთელი ერი იყო დაავადებული. მორიდება დავკარგეთ, საკუთარი უძლეველობის დავიჯერეთ. გაზეთები გამარჯვებაზე ისე წერდნენ, თითქოს ეს უკვე მომხდარი ფაქტი იყო. ვცდილობდი, ყველა გამეფრთხილებინა, რომ ჩემპიონატი ჯერ დაწყებულიც არ იყო და რომ ძლიერი მეტოქეები გვყავდა. მაგრამ ჩემი აზრი არავის აინტერესებდა, ყველას დააავიწყდა ძველი სიბრძნე, რომ თითოეული მომავალი მატჩი ისე უნდა განვიხილოთ, როგორც უმძიმესი გამოცდა“.

დიდი გუნდი

ჟურნალისტის თხოვნის შემდეგ ფეოლა გამოცოცხლდა და დიდი სიამოვნებით გადავიდა მისთვის სასიამოვნო თემაზე, – 1958 წლის გამარჯვება გაიხსენა.

„ყოველგვარი მორიდების გარეშე შემიძლია მოგახსენოთ, რომ შვედეთში მართლაც დიდებული გუნდი გვყავდა. როცა ჩემი ბიჭები ბურთს იღებდნენ, დარწმუნებული ვიყავი, რომ საქმეს ლოგიკურ დაბოლოებამდე მიიყვანდნენ. არა, აუცილებელი არ იყო გოლი! მაგრამ ან კარში დაარტყამდნენ, ან სახიფათო გადაცემას გააკეთებდნენ, ან მოწინააღმდეგის გუნდში გამოიწვევდნენ პანიკას.

სწორედ ეს არის მაღალი კლასის გუნდის თვისება: ბურთის კონტროლი, ისე ფლობა, როგორც სურს და სჭირდება. არ ვლაპარაკობ მხოლოდ ინდივიდუალურ ტექნიკაზე, ეს თავისთავად აუცილებელი რამ არის. მხედველობაში მაქვს გუნდური თამაში: მაღალი კლასის გუნდი ვალდებულია, ბურთი კომბინაციის ლოგიკურ დასასრულამდე, კარში დარტყმამდე მიიტანოს“.

ფეოლას ჰკითხეს, როგორ შეძლო მან 1958 წელს გუნდის ასეთ ბრწყინვალე ფსიქოლოგიურ მზადყოფნამდე მიყვანა? „სამხრეთული ტემპერამენტი“ ხომ ხშირად უშლიდა ხელს

ქართველი ფეხბურთელები და პელე, მოსკოვი, 1965 წ. მარცხნიდან: გიორგი სიჭინავა, სლავა მეტრეველი, პელე, ანზორ კავაზაშვილი და მიხეილ მესხი

– მოგიგეთ, ფეოლა!
– გაგიჭირდებოდათ!
(ფრაზა ქართული მხატვრული ფილმიდან „ფეოლა“. რეჟისორი ბაადურ წულაძე, სცენარის ავტორები რეზო გაბრიაძე, გოგი ჩარკვიანი, მთავარ როლში იპოლიტე ხვიჩია. 1970 წ.)

ბრაზილიელებს გაშვებული გოლის შემდეგ თამაშის თავის სასარგებლოდ მოტრიალება-ში. ზუსტად ეს იყო მიზეზი 1950 წელს „მარაკანაზე“ (როცა ბრაზილიელებმა ურუგვაის ნაკრებს შინ ჩატარებული ფინალური მატჩი ვერ მოუგეს), 1954 წელს უნგრელებთან და 1966 წელს ინგლისში დამარცხებების.

„ეს მართლაც რთული იყო. ჩვენი ბიჭები თავისებური არიან. მაგალითად, მატჩის წინ თუ გამოუცხადებენ, რომ თამაში არაბრაზილიური ბურთით მოუწევთ, სრული პანიკა იწყება. ყველაფერი ინგრევა. ბურთს ფეხს ვერ არტყამენ, კარისკენ ვერ ურტყამენ. იგივე ხდებოდა, როცა მაისურებს გამოუცვლიდნენ. მუდამ ვიყავით ცრურწმენის მსხვერპლნი. მივხვდი, რომ ეს ფაქტორი რამით უნდა დამეძლია, აუცილებელი იყო ჩვენი ფეხბურთელების ფსიქოლოგიური გამოწრთობა.

ჯერ კიდევ ოცდაათიანი წლებიდან დავიწყე მოთამაშეებზე დაკვირვებები. ვცდილობდი, რაღაც კანონზომიერება მომენახა. ვსაუბრობდი მათთან. ისეთ კითხვებს ვუსვამდი, რომლებიც მათთვის უჩვეულო იყო.

ვარჯიშებზე ვცდილობდი ისეთი ვითარების შექმნას, როგორიც მათ არ მოსწონდათ, აღიზიანებდათ. ვაძლევდი სველ, მძიმე ბურთებს და სავარჯიშოდ ცუდ, ქარიან, წვიმიან ამინდში გამყავდა. შვედებთან ფინალური მატჩის წინ, რომელიც წვიმაში იწყებოდა, მივხვდი, როგორ გამოგვადგებოდა ეს ყველაფერი“.

– რა როლი ჰქონდა ცნობილ ექიმ-ფსიქიატრ კარვალიესს, რომელზეც დიდი ინტერესით წერდა პრესა? — ჰკითხა იგორ ფესუნენკომ, — ამბობენ, რომ ის სკეპტიკურად უყურებდა გარინჩას.

„ვერ ვიტყვი, რომ მის შეფასებებს მთლიანად ვენდობოდი. ბევრჯერ უთქვამს ჩემთვის, რომ ესა თუ ის ფეხბურთელი მზად არ იყო, რომ ცუდად ეძინა ან ნერვიულობდა. მე კი ამ ბიჭს მინდორზე ვუშვებდი და შესანიშნავად ატარებდა მატჩს... დიახ, კარგად მახსოვს, როცა კარვალიესმა საკუთარი ტესტების საფუძველზე გარინჩა დაიწუნა. დიდიმ მითხრა: არ ვიცი, გარინჩა პროფესორ კარვალიესს რას უხატავს, მაგრამ მინდორზე ისეთ რაღაცებს ხატავს, ვერც ერთი მცველი ვერ უძლებსო. ასეც იყო!“ – ჩაიცინა ფეოლამ.

„დაცვას მიხედე, ხვედელიძე, დაცვას!“

დასასრულ, მოხუცმა ფეოლამ ალბათ ყველაზე დიდი „საიდუმლო“ გაამხილა, როცა თქვა, რომ მთელი საფეხბურთო ცხოვრების განმავლობაში ჰქონდა ერთი პრინციპი, განსაკუთრებით კი 1958 წელს შვედეთში: „არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაგვეშვა გოლი!“

რუსი ჟურნალისტი იგონებს: „მართლა გავოცდი. სხვების მსგავსად, მეც მიმაჩნდა, რომ პელეს, დიდისა და გარინჩას გუნდს არავითარი პრობლემა არ ჰქონდა, მოწინააღმდეგეზე თუნდაც ერთით მეტი გოლი გაეტანა“.

ფეოლა კი დაბეჯითებით იმეორებდა: „ჩვენს დროში სხვანაირად თამაში შეუძლებელია. დღეს საშუალო დონის გუნდებიც კი მიმართავენ სხვადასხვა ტაქტიკურ ხერხს და თუ მათ გოლი გაატანინე, ადვილად შესაძლებელია, წაგოთ, ვინაიდან ვეღარ შეძლებთ იმ ყრუ დაცვის გადალახვას, რომელსაც საჯარიმოს წინ ააგებენ“.

ბრაზილიისა და ალბათ მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელის, სათანადოდ დაუფასებელი რეფორმატორის, ვისენტე იტალო ფეოლას რჩევებს დროის მდინარება მხოლოდ ადასტურებს.

ლევან ჯუბაბრია

ვინ მოკლა იაროსლავ გალანი?!

დეტექტივი რეალურ ამბავზე დაყრდნობით

ნაწილი I

იაროსლავ გალანის შშობლიური ქალაქი დინოვი დღეს

მოსკოვი. კრემლი. 1949 წლის 25 ოქტომბერი.

ხრუშჩოვი ოთახის შუაგულში შეჩერდა. სტალინმა თავი ასწია, კალამი გვერდით გადადო.

— რაშია საქმე, ნიკიტა?

— გალანი მოკლეს!

— რაო?!

— დღეს ლვოვში საკუთარ ბინაში უკრაინელი მწერალი იაროსლავ გალანი მოკლეს. მას მხეცურად გაუსწორდნენ, თავში ნაჯახი თერთმეტჯერ ჩაარტყეს.

— დამნაშავენი სასწრაფოდ დააკავეთ! რაც შეეხება თავად გალანს, ის საკადრისად უნდა დავკრძალოთ, — სტალინი წამით გაჩუმდა, — მიხედე ამ საქმეს, ნიკიტა!

გალანი ისტორიაში დარჩა, როგორც სტალინისტი და თავგამოდებული მებრძოლი ე.წ. უკრაინული ბურჟუაზიული ნაციონალიზმის წინააღმდეგ.

— მტკიცე სტალინისტი, კაცი, რომელმაც კომუნისტური იდეალები იწამა და ამისთვის უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იბრძოდა, — ასეთ პორტრეტს ქმნიდნენ გალანისგან საბჭოთა პროპაგანდისტები.

— ბევრი გალანს უემურ პიროვნებად და ფანატიკოსად მიიჩნევს. ეს შეცდომაა. სინამდვილეში ის ევროპული ყაიდის ინტელიგენტი იყო, უაღრესად ფაქიზი, მგრძნობიარე სულის, ნამდვილი ხელოვანი, რომელსაც შეეძლო მაღალი დონის ნაწარმოების შექმნა, — წერს ცნობილი საბჭოთა უკრაინელი მწერალი იური სმოლიჩი.

დღეს უკვე დადგენილია, რომ გალანი შესანიშნავად ერკვეოდა ლიტერატურაში, დრამატურგიაში, ფერწერაში, მუსიკაში. უკრავდა ვიოლინოზე. თუმცა ყველაზე მეტად პოეზია უყვარდა. მისი საყვარელი პოეტი უოლტ უიტმენი იყო. ლექსებს თავადაც წერდა.

იაროსლავ გალანი (1902-1949) ქალაქ დინოვში დაიბადა. ახლა ეს ქალაქი პოლონეთ-

იაროსლავ გალანის გამოსახულება მედალზე



ცენტრში — სტალინი, მისგან ხელმარჯვნივ — ნიკიტა ხრუშჩოვი

შია, მაშინ კი ავსტრია-უნგრეთს ეკუთვნოდა. მისი მამა — ალექსანდრ გალანი პროვინციული მოხელე იყო. თავს მოსკოვოფილს უწოდებდა, ანუ მიაჩნდა, რომ არა უკრაინელი, არამედ რუსია. თავად ალექსანდრ გალანი არავითარ პოლიტიკურ მოძრაობაში არ მონაწილეობდა, მაგრამ მის ოჯახში არ კითხულობდნენ შევჩენკოს, ივან ფრანკოს თუ ლესია უკრაინკას. სამაგიეროდ, აფასებდნენ დოსტოევსკის, ტურგენევს, ტოლსტოის, სალტიკოვ-შჩედრინს; პოეტებიდან პუშკინს, დერჟავინს, ტიუტჩევს და სხვ.

— უკრაინული გლეხების ენაა! უკრაინულ ლიტერატურას ნეხვის სუნი ასდის! — აგდებულად ამბობდა ალექსანდრ გალანი.

პირველი მსოფლიო ომის დროს ასეთი პოზიცია ძვირი დაუჯდა. ავსტრიელებმა, როგორც მოსკოვოფილი და ანტისახელმწიფო ელემენტი, დააპატიმრეს. ალექსანდრ გალანმა ტალერგოფის საკონცენტრაციო ბანაკში ამოჰყო თავი.

1915 წელს გალიჩინაში რუსული საოკუპაციო არმია შეიჭრა, მაგრამ იქ დიდხანს ვერ გაჩერდა. რუსებმა მალე დატოვეს გალიჩინა და გალანების ოჯახიც მათ გაჰყვა. ისინი დონის როსტოვში დასახლდნენ. იაროსლავმაც სწავლა იქაურ გიმნაზიაში განაგრძო.

1917 წელს რუსეთში რევოლუცია მოხდა. მეფე ჩამოაგდეს. შეიქმნა დროებითი მთავრობა. მალე ბოლშევიკებმა მოაწყვეს გადატრიალება. რუსეთში სამოქალაქო ომი დაიწყო.

აზვირთებული ქარბორბალა ახალგაზრდა იაროსლავ გალანს აშინებდა. დედა უკვე მოხუცდა. მისი და სტეფა და ძმა ივანი ჯერ კიდევ პატარები იყვნენ. გალანსაც ერთი სული ჰქონდა, შინ, დასავლეთ უკრაინაში, დაბრუნებულიყო. 1918 წელს მისი ეს სურვილი შესრულდა. დაიდო ბრესტის ზავი. გალანებს, როგორც დასავლეთ უკრაინის მცხოვრებთ, შინ დაბრუნების უფლება მისცეს. 1918 წელს იაროსლავი დედასა და და-ძმასთან ერთად ლვოვში დაბრუნდა. მამა ჯერ კიდევ ტალერგოფის ბანაკში იყო, საიდანაც მხოლოდ პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გამოვიდა.

ომი დამთავრდა. ავსტრია-უნგრეთის მონარქია დაინგრა. უკრაინაში მასობრივი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა. 1918 წელს უკრაინულმა არმიამ სიმონ პეტლიურას (1877-1926) მეთაურობით დაიკავა კიევი. 1918 წელს ოფიციალურად გამოცხადდა დასავლეთ და აღმოსავლეთ უკრაინის გაერთიანება დამოუკიდებელ უკრაინულ სახელმწიფოდ.

მოსკოვოფილურ ოჯახში აღზრდილ გალანისთვის უცხო იყო ის პატრიოტული აღტკინება, რომელიც მაშინდელ უკრაინაში სუფევდა. იაროსლავს ერთადერთი სურვილი ჰქონდა: ესწავლა. გიმნაზია უკვე დაამთავრა, ახლა უმაღლესი განათლება ჰქონდა მისაღები. გალანის მამამ უკანასკნელი დანაზოგი გაიმეტა, რათა შვილს უმაღლესი განათლება მიეღო. მალე იაროსლავი ვენაში გაემგზავრა და იქაური უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა.

კომუნისტური არჩევანი

სტუდენტობა საოცარი ხანაა. ამ დროს ადამიანი არა მხოლოდ განათლებას იღებს. სწორედ სტუდენტობისას ეწევა ხოლმე კაცს ნამდვილი სიყვარული. სტუდენტი ინტერესდება სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულებითაც. ვენის უნივერსიტეტში, სადაც გალანი სლავურ ფილოლოგიას ეუფლებოდა, ტრა-

დიციულად, თავისუფალი აზრი ბატონობდა. ცხარე დისკუსიები ხშირად გვიან ღამემდე გრძელდებოდა. სტუდენტები ყველაფერზე თავისუფლად მსჯელობდნენ.

20-იანი წლების დასაწყისში ევროპაში გამეფებული იყო აზრი, რომ კაპიტალიზმმა და დემოკრატიამ (ე.წ. ბურჟუაზიული დემოკრატია) საკუთარი თავი ამოწურა. არსებობდა ორი გზა: ლენინის, ანუ ბოლშევიზმის და ფაშიზმის, ანუ მუსოლინის. უკრაინელი პატრიოტები მესამე გზისკენ — ნაციონალიზმისკენ იხრებოდნენ (უკრაინა უპირველეს ყოვლისა!). გალანისთვის ეს უცხო იყო. მისთვის არც ფაშიზმი გახლდათ მისაღები. მოსკოვოფილურმა იდეებმა, რაც მამამისს სწამდა, თავისი დრო მოჭამა. ამავე დროს აქტიურ, ამბიციურ გალანს არ შეეძლო მიმდინარე ბობოქარი პროცესებიდან განზე გადგომა. მანაც არჩევანი გააკეთა.

— 1923 წელს დასავლეთ უკრაინის კომუნისტური პარტიის (კპზუ) წევრი გავხდი, — წერდა შემდგომში გალანი.

ბოლშევიზმში მას სოციალური სამართლიანობის იდეა ხიბლავდა. ის, რომ შეიქმნება ხალხთა ძმური კავშირი, სადაც არც ექსპლუატაცია იქნება, არც ეროვნული ჩაგვრა. მართალია, რუსეთში იყო სამოქალაქო ომი, საშინელი სასაკლაო, მაგრამ ეს ავადმყოფური მოვლენა ახალი სამყაროს აშენებას უძღოდა წინ. რუსებმა პირველმა დაიწყეს გრანდიოზული საქმე, სამართლიანი სახელმწიფოს აშენება და რაკი ასეა, პატიოსანი ადამიანის ვალია, ამ წმინდა საქმეში ჩაებას.

ამგვარმა პოზიციამ განსაზღვრა გალანის ბედი.

სამწერლო ასპარეზზე

გალანი კრაკოვის უნივერსიტეტში გადავიდა, რომელიც წარმატებით დაამთავრა. შემდეგ დასავლეთ უკრაინაში დაბრუნდა და ლუცკის გიმნაზიის პედაგოგი გახდა. ამ პოსტზე დიდხანს არ გაუჩერებიათ. კომუნისტური მოღვაწეობისთვის სამსახურიდან მგლის ბილეთით გაუშვეს.

გალანმა ბედი დრამატურგიაში სცადა. მისმა პიესამ „დონ კიხოტი ეტენგეიმიდან“ კონკურსზე პირველი პრემია დაიმსახურა. ასე დაიწყო მისი გზა სამწერლო ასპარეზზე.

გალანის პიესები „ტვირთი“, „ვერონიკა“ და სხვები დაიდგა როგორც პოლონელების მიერ ოკუპირებულ დასავლეთ უკრაინაში, ასევე ხარკოვშიც. გალანზე, როგორც ნიჭიერ დრამატურგზე, საბჭოთა კავშირშიც ალაპარაკდნენ. პარალელურად, მწერალი აქტიურად მოღვაწეობდა კომუნისტურ ჟურნალში „ვიკნა“ (ფანჯარა), რომელიც ლვოვში გამოდიოდა და საბჭოთა ინტერესებს ემსახურებოდა.

გალანი პროპაგანდისტულ საქმიანობას მისდევდა, ეს მის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში ღიად ჩანს. თუმცა, მისი საუკეთესო მოთხრობა „მთები ბოლავენ“ პროპაგანდისგან მთლიანად თავისუფალია. ეს არის ლირიკული ნაწარმოები, გაჟღენთილი პატრიოტული სულითა და განუმეორებელი ეროვნული კოლორიტით.

გაუჩინარებული ცოლი

ნათქვამია, რომ ყველა ადამიანს თავისი ჯვარი აქვს. გალანს ბედმა მართლაც მძიმე ჯვარი არგუნა.

30-იანი წლების დასაწყისში გალანი ანა გენიკზე დაქორწინდა. ქალი მრავალშვილიანი, შეძლებული და პატრიოტულად განწყობილი გლეხის ოჯახში გაიზარდა, სოფელ ნიჟნი ბერეზოვში. მიუხედავად ამისა, ქმრის გავლენით კომუნისტურ მოძრაობაში ჩაება. ანა მხარში ედგა გალანს, მაგრამ პარტიის წევრი არ გამხდარა. ცალკეული მკვლევრები ამტკიცებენ, თითქოს ანა კპზუ-ში გაწევრდა. ეს სიმართლეს არ შეესაბამება.

სიმონ პეტლიურა

ბრონისლავ პერაცკის დაკრძალვა ვარშავაში

1930-1934 წლები უკრაინელებისთვის ავადმოსაგონარი ხანაა. საბჭოთა უკრაინაში დაიწყო კოლექტივიზაცია, რასაც მასობრივი ტერორი და გოლოდომორი მოჰყვა, რამაც 4 მილიონამდე ადამიანი შეიწირა. დასავლეთ უკრაინაში პოლონელებმა მასობრივი პოლონიზაცია დაიწყეს, უკრაინელთა წინააღმდეგობას კი სადამსჯელო აქციებით უპასუხეს (პაციფიკაცია). შედეგად დასავლეთ უკრაინაში გაძლიერდა ნაციონალიზმი. 1934 წელს უკრაინელმა ნაციონალისტებმა ვარშავაში მოკლეს პოლონეთის შინაგან საქმეთა მინისტრი ბრონისლავ პერაცკი. პოლონელებმა ამას მასობრივი რეპრესიებით უპასუხეს.

გალანს სულ უფრო ეძალებოდა საბჭოთა კავშირში გადასახლების სურვილი. მას გულუბრყვილოდ სწამდა, რომ საბჭოეთში მუშურ-გლეხური სახელმწიფო აშენდა, მოისპო ექსპლუატაცია, არ იყო ცენზურა, საპოლიციო ტერორი. შესაბამისად, მისი პიესებიც ყოველგვარი პრობლემის გარეშე დაიდგმება. მან ცოლიც დაიყოლია სსრ კავშირში გამგზავრებაზე. ანა სამედიცინო ინსტიტუტში ისწავლიდა, იაროსლავი კი თავის დრამატურგიას მიხედავდა. ბოლოს ანა დასთანხმდა.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ნათქვამია. საბჭოთა საელჩომ იაროსლავს საბჭოთა კავშირში გამგზავრების ნება არ მისცა.

— თქვენს ცოლს შეუძლია ხარკოვში გაემგზავროს. თქვენ ცოტა მოითმინეთ.

1934 წელს ანა გენიკი საბჭოთა კავშირში გაემგზავრა.

* * *

ხარკოვიდან ანა წერილებს სისტემატურად აგზავნიდა, ყვებოდა, როგორ სწავლობდა, რამდენი ახალი მეგობარი გაიჩინა და ა.შ. გალანი ცდილობდა საბჭოთა კავშირში გამგზავრების ნებართვის მიღებას. საბჭოთა საკონსულოს წერილს წერილზე უგზავნიდა, წერდა, რომ მისი მეუღლე ანა გენიკი ხარკოვში ცხოვრობს და სწავლობს და მასთან გამგზავრების უფლებას ითხოვდა.

— კეთილი, მაგრამ ცოტა მოითმინეთ, — იყო პასუხი.

ეს „ცოტა მოითმინეთ“ რამდენიმე წელიწადს გაგრძელდა.

1936 წელს ანა გენიკის წერილები მოულოდნელად შეწყდა.

სასოწარკვეთილი გალანი კვლავ საბჭოთა საკონსულოსკენ გაემართა.

— ჩემი ცოლი ხარკოვში სასწავლებლად გაემგზავრა. სისტემატურად მწერდა. მოულოდნელად მისი წერილები შეწყდა. მსურს ვიცოდე, რა დაემართა?

გალანს პასუხი არ აღირსეს.

სსრ კავშირიდან ცუდი ხმები მოდიოდა. 1937 წელს კომინტერნმა კპზუ დაშლილად გამოაცხადა.

„დასავლეთ უკრაინის კომპარტიას ფაშიზმის უამრავი აგენტი და შენიღბული ნაციონალისტი აღმოაჩნდა“, — ნათქვამია კომინტერნის განცხადებაში.

— ანა! რა დაემართა ანას?

გალანმა კვლავ საბჭოთა საკონსულოს მიაშურა. მწერალს პასუხი არც ახლა აღირსეს. ანა გენიკი კი გაქრა. არავინ უწყოდა, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ.

სპექტაკლი უშიშროებისგან

1939 წელს დასავლეთ უკრაინა საბჭოთა კავშირის მიერ იქნა ოკუპირებული. ია-

როსლავ გალანი დარწმუნებული იყო, რომ გაუჩინარებულ ცოლზე ახლა მაინც რამეს შეიტყობდა. იმედი არ გამართლდა. მწერალს არც ამჯერად აღირსეს პასუხი, სამაგიეროდ, მწერალს ყირიმის საგზური მისცეს, აქაოდა, ამდენ ხანს იატაკქვეშეთში მუშაობდი, ნერვები დაძაბული გაქვს, წადი, დაისვენე, ცხოვრების ტალღას მიჰყევიო.

— შესაძლოა კურორტზე რომელიმე ლამაზმანს შეხვდე და დაქორწინდე! ვინ იცის!

1940 წლის ივნისში გალანი ყირიმში გაემგზავრა კურორტზე, თუმცა ყირიმის ნაცვლად ხარკოვში ჩავიდა. მას მტკიცედ გადაწყვიტა ყოველივეს ადგილზე გარკვევა. იური სმოლიჩი იგონებს:

— იაროსლავ გალანი 1939 წელს გავიცანი, როცა დასავლეთ უკრაინის შემოერთებასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებაზე ჩავედი. მეგობრები არასოდეს ვყოფილვართ, ამიტომ გამიკვირდა კიდეც, როცა ზაფხულის ერთ დღეს შინ მომადგა.

გალანს სახე ასწითლებოდა, შუბლიდან ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. სმოლიჩმა სტუმარი მაგიდასთან მიიწვია, სუფრა გაუშალა.

— დაბრძანდით, იაროსლავ, მოხდა რაიმე? ადამიანის ფერი არ გადევთ!

— 1934 წელს ჩემი ცოლი სასწავლებლად ხარკოვში გაემგზავრა! — გალანი წამით გაჩუმდა, — ერთხანს მისგან წერილები მოდიოდა. მოულოდნელად წერილები შეწყდა. ქალი გაქრა. ვის არ მივმართე, მაგრამ პასუხს ვერ ვეღირსე! გევედრებით, დამეხმარეთ!

— კეთილი, — ჩუმად მიუგო სმოლიჩმა, — დაგეხმარები.

მათ გვიან ღამემდე ისაუბრეს. სმოლიჩის ცოლმა ელენამ სტუმარს ლოგინი დივანზე გაუშალა. გალანს უმალ ჩაეძინა.

სმოლიჩი სტუმარს დასცქეროდა. დარწმუნდა, რომ ძინავდა, წამოდგა, ჩუმად ჩაიცვა და კარისკენ გაემართა.

— საით? — ჩურჩულით შეეკითხა ცოლი.

— სასწრაფო საქმე მაქვს, — იური წამით გაჩუმდა, — სტუმარს თვალი არ მოაშორო. თუ გაიღვიძა და მიკითხა, უთხარი, სამსახურში წავიდა-თქო. სახლიდან არსად გაუშვა, გესმის?

იური კორნეევიჩ სმოლიჩი (1900-1976) ცნობილი უკრაინელი მწერალი იყო. 1922 წლიდან ის საბჭოთა უშიშროების აგენტი გახდა. იაროსლავ გალანის მოულოდნელი

პოლონური არმიის აღლუმი ლვოვში

ვიზიტის შესახებაც უშიშროებაში თავის კურატორს აცნობა. შუაღამეს სწორედ მასთან გაემართა.

სმოლიჩმა დაწვრილებითი ინსტრუქციები მიიღო. შინ გამთენიისას დაბრუნდა. ცოლი შეეკითხა, სად იყავიო. იურის არაფერი უპასუხია, სკამზე დაეშვა.

— ჩვენი სტუმარი სად არის?

— სძინავს.

— არ გაუღვიძია?

— არა.

სმოლიჩმა ცხვირსახოცი ამოიღო და გაოფლიანებული შუბლი მოიწმინდა.

* * *

დილით გალანმა და სმოლიჩმა ერთად ისაუზმეს. სმოლიჩმა ჩაი მოსვა:

— იცით, რა, იაროსლავ? მოდი, ასე მოვიქცეთ! სამედიცინო ინსტიტუტში წავიდეთ, იქნებ იქ რაიმე გავარკვიოთ!

სტეპან ბანდერა

მემორიალური დაფა ლვოვში (ბაზრობის მოედ., №10), რომელიც 1941 წლის 30 ივნისს უკრაინის დამოუკიდებლობის გამოცხადებას ეძღვნება

— ახლა ხომ არდადეგებია!

— არა უშავს, ვინმე აუცილებლად იქნება. მე წამოგყვებით.

— დიდი მადლობა! დიდი მადლობა!

გალანი გულწრფელად გადაეხვია. ის ჯერ კიდევ ვერაფერს ხვდებოდა.

სამედიცინო ინსტიტუტში არავინ იყო. გალანი უკვე უკან დაბრუნებას აპირებდა, რომ სმოლიჩმა შეაჩერა. აგერ, შვეიცარი მოდის, ამას ვკითხოთ, იქნებ რაიმე იცოდესო. გალანს სურდა ეთქვა, აბა, ამან რა უნდა იცოდესო. სმოლიჩი წრაფი ნაბიჯით შვეიცარს მიუახლოვდა:

— გამარჯობა, შეიძლება ერთი რამ გკითხოთ?

— ბრძანეთ, — მოხუცმა გაიღიმა.

— აქ ერთი სტუდენტი სწავლობდა, გალიჩინიდან ჩამოვიდა. სახელად ანა ჰქვია. იქნებ იცოდე სად არის?

შვეიცარმა არაფერი უპასუხა, შეტრიალდა, თავის ჯიხურში შევიდა. გაოცებული გალანი უძრავად იდგა. რამდენიმე წუთში შვეიცარი დაბრუნდა. ხელში დიდი შავი ჩემოდანი ეჭირა. გალანმა ხმამაღლა დაიკვნესა. სმოლიჩი მიხვდა, რომ ეს ანას ჩემოდანი იყო.

— წაიყვანეს, — შვეიცარი წამით გაჩუმდა, — ღამით მოვიდნენ და წაიყვანეს. ჩემოდანი კი დარჩა. მეც წავიღე, იქნებ ამხანაგი სტუდენტი დაბრუნდეს და მივცემ-მეთქი.

გალანმა სახეზე ხელები აიფარა. წამიც და ტირილი წასკდა.

მწერალი სუკ-ის აგენტი ხდება

ის ღამე გალანმა სასტუმროში გაატარა. ლოგინზე გაუხდელად იწვა, თვალი არ მოუხუჭავს. ჩეკისტებმა გამთენიისას მოაკითხეს.

— მოქალაქე გალანი ბრძანდებით? ჩვენთან უნდა წამოხვიდეთ მცირე ხნით.

შინსახკომში გალანი სამხედროფორმიანმა ჩოფურა ჩეკისტმა დაკითხა. მას ფრიად საგულისხმო გვარი ჰქონდა: სატანოვსკი.

— მოქალაქე გალან, თქვენთან შეხვედრას კარგა ხანია ველოდი.

სატანოვსკიმ წინ დაუდო ანა გენიკის ჩვენება. გალანის ცოლი ამბობდა, რომ კომპარტიაში ნაციონალისტებმა შეაგზავნეს, ხოლო მისი ქმარი იაროსლავ გალანი ოუნ-ის წევრი და აბვერის აგენტია.

— ეს ხომ მტკნარი სისულელეა! — წამოიძახა გალანმა, — მოვითხოვ, ანას შემახვედროთ!

— სამწუხაროდ, ეს შეუძლებელია. ის ძალიან შორსაა!

— მაინც სად? ვიცი, საბჭოეთი დიდია, მაგრამ ხომ შეიძლება დეპეშა გავაგზავნოთ, ხმა მივაწვდინოთ?!

— იქ ვერც დეპეშას გავგზავნით, ვერც ხმას მივაწვდენთ!.. — სატანოვსკიმ გაიცინა.

თავზარდაცემული გალანი უძრავად იჯდა. ახლაღა მიხვდა, რომ ანა ცოცხალი აღარ იყო.

მის წინაშე ალტერნატივა დადგა: ან ბანაკი, ან სუკ-თან მუშაობა. ანა გენიკის ჩვენება საკმარისი იყო, რომ ბანაკში გაეგზავნათ ან სულაც დაეხვრიტათ.

— აბა, იაროსლავ ალექსანდროვიჩ, რა გადაწყვიტეთ?

— მითხარით, მწერალი იური სმოლიჩი, რომელმაც ხარკოვში მიმასპინძლა და სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში გამომყვა, შინსახკომის აგენტია?

— რასაკვირველია.

— შვეიცარი, რომელმაც ანას ჩემოდანი გადმომცა?

— ისიც.

— ანა სად არის?

— ცოცხალი აღარაა!

გალანი სუკის აგენტობას დათანხმდა და სათანადო ხელწერილიც დადო. ამიერიდან ის საკუთარ თავს აღარ ეკუთვნოდა. მორჩილად ასრულებდა ყველაფერს, რასაც ჩეკისტები უბრძანებდნენ.

საკუთარი ერის წინააღმდეგ

1941 წლის 22 ივნისს ნაცისტური გერმანია საბჭოთა კავშირს დაესხა თავს. 30 ივნისს გერმანელებმა ქალაქი ლვოვი დაიკავეს. იმავე დღეს საზეიმო ვითარებაში გამოცხადდა უკრაინის დამოუკიდებლობის აღდგენა. შეიქმნა დროებითი მთავრობა. მას სათავეში სტეპან ბანდერას უახლოესი მეგობარი და თანამოაზრე იაროსლავ სტეცკო ჩაუდგა.

ახალმა მთავრობამ სულ 48 საათს იარსება. ბერლინიდან ჩამოსულმა აინზაცკომანდამ დააპატიმრა სტეპან ბანდერა, იაროსლავ სტეცკო და მთავრობის თითქმის ყველა წევრი. გერმანელები კატეგორიულად მოითხოვდნენ დამოუკიდებლობის აქტის გაუქმებას. ბანდერელთა პასუხი არანაკლებ კატეგორიული იყო: აქტი არ გაუქმდება!

— პასუხად ბანდერა, სტეცკო და სხვა ლიდერები ნაცისტებმა ზაქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში მოათავსეს, — წერს უკრაინელი ისტორიკოსი პეტრო მირჩუკი.

ბანდერას ორგანიზაცია იატაკქვეშეთში გადავიდა და ემზადებოდა XX საუკუნის მთავარ ბოროტებასთან, ჰიტლერულ რაიხსა და საბჭოთა კავშირთან საბრძოლველად. 1942 წელს იქმნება უკრაინის ეროვნული თავდაცვა (უნს). 1943 წელს შეიქმნა უპა (უკრაინის აჯანყებულთა არმია), რომელმაც მოქმედება მთელი ვოლინის, პოლესიესა და დნეპრის მარჯვენა ნაპირზე განავრცო. 1943 წელს უპა-ს კონტროლქვეშ უკრაინის ტერიტორიის ერთი მესამედი მოექცა.

იაროლავ გალანი ამ დროს მოსკოვში იმყოფებოდა. ომის დაწყებისთანავე ის ევაკუაციაში გაემგზავრა. ერთ ხანს სარატოვში ცხოვრობდა და იქაურ რადიოსადგურზე მუშაობდა. 1942 წელს გალანი მოსკოვში გადაიყვანეს, რადიოსადგურ „ტარას შევჩენკოს“ დიქტორად, რომელიც გადაცემებს გერმანელების ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასცემდა. 1943 წელს გალანი უკვე ფრონტისპირა რადიოსადგურ „დნეპრში“ მუშაობდა, ომის დამთავრების შემდეგ კი, როგორც „რადიანსკა უკრაინის“ კორესპონდენტი, ნიურნბერგის პროცესზე გაემგზავრა.

მშობლიურ ლვოვში გალანი 1946 წლის ბოლოს დაბრუნდა. მას თან ახლდა ახალი მეუღლე მარია კროტკოვა. გალანმა ის მოსკოვში გაიცნო. კროტკოვა მხატვარი იყო და ლვოვის თეატრში დაიწყო მუშაობა.

უკრაინაში ამ დროს გენოციდის ახალი ტალღა დაიწყო. სტალინმა უკრაინული ნაციონალიზმის განადგურება გადაწყვიტა. უკრაინის აღმოსავლეთი რეგიონებიდან ასახლებდნენ მათ, ვინც ომის დროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა ან მტრული კლასების წარმომადგენელი იყო. ნაციონალისტებად მონათლეს უკრაინელი საბჭოთა მწერლები მაქსიმ რილსკი, იური იანოვსკი, ივან სენჩენკო, ვლადიმირ სოსიურა.

— დასავლეთ უკრაინაში კი მასობრივი რეპრესიები მიმდინარეობდა. ლიკვიდაციას ექვემდებარებოდნენ როგორც უკრაინული ავტოკეფალიური, ისე ბერძნულ- კათოლიკური ეკლესია, ასევე მშრომელი გლეხები (სტალინური ტერმინოლოგიით კულაკები), ე.წ. მტრული კლასების წარმომადგენლები, — წერს საბჭოთა და უკრაინელი მწერალი რომან ოვანიჩუკი.

იაროსლავ გალანსაც ამ პროცესებში უნდა მიეღო მონაწილეობა, ანუ ის საკუთარი ერის წინააღმდეგ უნდა წასულიყო.

(გაგრძელება იქნება)

ნიკა თევზაძე

ისტორიის დოქტორი



იური სმოლიჩი

Auto Bild
საქართველო
ჟურნალი
AUTO BILD
საქართველო
წარმოგიდგენთ
მანქანა, რომელიც
შეიცვლის აღარ
ამდიდრებს!
იხილეთ სტატია
სრულად ჟურნალ
„AUTO BILD
საქართველოს“
იანვარ-თებერვლის
ნომერში

ტესლას პირველი გერმანულ მეტოქე მზადაა. ჩვენ Audi e-tron აბუ დაბიში გავტესტეთ, სადაც ნავთობი მიწიდან იფრქვევა და სადაც ელექტრომობილი, შეიძლება, განსხვრომის დასასრულს ნიშნავდეს

! მყიდველებმა პირველი ეგზემპლარები დეკემბერში მიიღეს. საწყისი ფასი: 79 000 ევრო

იქნებ, ეს სულაც არ იყოს ცუდი გაცვლა? აბუ დაბისთან ახლოს, უდაბნოში, ცოტა ხნით შევჩერდით და ადგილობრივი ამ აუდის სანაცვლოდ 100 აქლემს გვთავაზობს. ვეუბნებით, რომ ამ მანქანას საერთოდ არ სჭირდება ბენზინი (დიდი მერსედესის ავზის გავსება აქ ხომ სულ რაღაც 15 ევრო ჯდება), მაგრამ მხრებს იჩეჩავს - მერე რა, მომავალი ხომ ისედაც ელექტრომობილებისაა.

შესაძლოა, მომავალი მართლაც ელექტრომობილებისაა, მაგრამ აქ რატომ უნდა უნდოდეთ? ეს აუდი ხომ შეიხს აღარ ამდიდრებს! ამიტომაცაა, რომ შეიხები აქტიურად დებენ ინვესტიციებს მზის ენერგიაში და სულ მალე, აქ დენიც ისევე იაფი ელირება, როგორც ბენზინი. უბრალოდ, უფრო ეკოლოგიური იქნება, რადგან მთლიანად მზისგან მიიღებენ. თუ ენერგიის მიღების ასეთი რადიკალური ცვლილება ევროპაშიც მოხდა, მაშინ უკვე თამამად ვიტყვით, რომ მომავალი ელექტრომობილებისაა. იმიტომ, რომ გერმანულმა ავტომწარმოებლებმა ბოლო წლებში თითქმის ყველა სხვა პრობლემა მოაგვარეს.

ლაშთხვერის თარიგზელის საკვირველი ფრესკები

ლაშთხვერის ეკლესია

ლაშთხვერის მთავარანგელოზთა ეკლესიის ფასადებიც მოხატულია

ზემო სვანეთი დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთის გამორჩეული მხარეა როგორც ბუნების სილამაზით, ისე მშვენიერების აღქმის თავისებურებით, რომელიც ქართული ხელოვნების ორგანულ ნაწილად იქცა. ის სრულიად განსხვავებულ შთაბეჭდილებებს აღძრავს და მისტიკურობით ხასიათდება.

სცენა „ამირანდარეჯანიანის“ საგმირო ეპოსიდან დასავლეთ ფასადზე. აქ გამოსახულია ამირანის შებრძოლება ვეშაპსა და ბაყბაყდევთან, აქვე ვხვდებით ამირანის თანმხლებ პირებს — მის თანამებრძოლებს: ბადრის, სეფედავლასა და უსუპს.
ავტორის ფოტოები

კამარის ზოგადი ხედი: სიუჟეტები კამარაზე გამოსახული ქრისტეს დიდების კომპოზიციის ირგვლივ ვითარდება. მოცემულია ხარება, შობა, მირქმა, ნათლისღება

სვანეთში, საუკუნეების განმავლობაში განვითარებულ ხელოვნების სხვა დარგებთან ერთად, ქართული ხელოვნების ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია აქაურ კედლის მხატვრობას. ის საკუთარ, ე.წ. სვანურ ფერწერულ სკოლად სახელდება და სხვადასხვა პერიოდის (IX-XVII საუკუნეები) მაღალმხატვრულ ფერწერულ ნიმუშებს აერთიანებს. ძირითადად მცირე ზომის, დარბაზულ, გარეგნულად სადა ეკლესიებში დაცულია სრულიად განსაკუთრებული კედლის მხატვრობის ნიმუშები, რომლებიც, მიუხედავად სიძველისა თუ დაცულობის მდგომარეობისა, მნახველს ცხოველმყოფელობით აღსავსედ წარუდგება.

ლაშთხვერის მთავარანგელოზთა ეკლესია მდებარეობს ლენჯერის თემში, რომელიც

საკურთხევლის აფსიდი, ვედრების კომპოზიცია — მაცხოვარი ვარსკვლავებიანი ცის ფონზეა წარმოდგენილი

დღეს, ფაქტობრივად, მესტიას ებმის და მისგან მხოლოდ სამიოდე კილომეტრით არის დაშორებული. სოფელ ლაშთხვერის მთავარანგელოზთა სახელობის ეკლესია ანუ „ლაშთხვერის თარინგზელი“ დარბაზული ტიპის, მომცრო ზომის ნაგებობაა, რომელიც თლილი ქვითაა აშენებული და მაღალ, სამსაფეხურიან ცოკოლზე დგას.

(მარცხნივ) ხარება. (მარჯვნივ) ლაზარეს აღდგინება

ტაძრის კედლის მოხატულობაში სპეციალისტები ორ ფენას განარჩევენ. თავდაპირველად, როგორც ჩანს, XIV საუკუნის შუახანებში ეკლესიის საკურთხეველი და კანკელი შეამკეს, ხოლო დარბაზისა და ფასადთა შემკულობა XIV-XV საუკუნეების მიჯნას უნდა განეკუთვნებოდეს.

ტაძართან მიახლოებისას თავდაპირველად ყურადღებას იპყრობს ექსტერიერის ფერწერით შემკულობა. ფასადების ზედა ნაწილები მობათქაშებულია და მათზე ფერადოვანი კომპოზიციებია გამოსახული. სამხრეთ ფასადზე წმინდა მხედრების ფიგურებია, ხოლო აღმოსავლეთ ფასადის მოხატულობა წმინდა ევსტათეს ირმებზე ნადირობის სცენას გადმოგვცემს. დასავლეთ ფასადზე ძლიერ დაზიანებული ვედრების კომპოზიციის ნაშთებია შემორჩენილი.

საფასადე კომპოზიციებს შორის გამორჩეულია ჩრდილოეთ ფასადზე მოცემული ბატალური სცენა „ამირანდარეჯანიანის“ საგმირო ეპოსიდან. იგი საფალავნო-სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებია, რომლითაც დაიწყო საერო ნაკადი ქართულ მწერლობაში და საფუძველი ჩაეყარა ქართულ საგმირო-სარაინდო რომანის განვითარებას. ლექსიკურ-მორფოლოგიური ანალიზით, ნაწარმოები IX-X საუკუნეებით თარიღდება. ფასადზე გამოსახულია ამირანის შებრძოლება ვეშაპსა და ბაყბაყდევთან. აქვე ვხვდებით ამირანის თანმხლებ პირებს — მის თანამებრძოლებს: ბადრის, სეფედავლასა და უსუპს. თითოეული ფიგურა სრული საბრძოლო აღჭურვილობით, ცხენზე ამხედრებულია გამოსახული, აცვიათ ჯაჭვის პერანგი და

(ზემოთ) დასავლეთ ფასადზე ძლიერ დაზიანებული ვედრების კომპოზიციის ნაშთებია შემორჩენილი. ჩანს მხოლოდ ღვთისმშობლის ფიგურა, (ქვემოთ) წმინდა მხედრის ცხენოსანი ფიგურა სამხრეთ ფასადზე

წმინდანის გამოსახულება კედლების სიბრტყის დამანაწევრებელ პილასტრზე და წმინდა მხედარი (თევდორე)

(ზემოთ) იერუსალიმად შესვლა, დასავლეთი კედელი. (მარჯვნივ) ჯვარცმა, ჩრდილოეთი კედელი

ხელში ტრადიციული სტილის ფარი და ხმლები უპყრიათ. მათი გამომეტყველება მკაცრია, თუმცა მშვიდი. წერის მანერაში აღმოსავლური მხატვრული მოტივების გავლენა იკითხება. როგორც ხელოვნებათმცოდნეები აღნიშნავენ, რელიგიურ სიუჟეტთან ერთად საერო სიუჟეტის გამოსახვა მოხატულობის პროგრამას უნიკალურობას ანიჭებს. ის აესებს ქართული მხატვრობის საერთო სურათს, რადგან საერო ხასიათის სიუჟეტები, სვანეთის გარდა, თითქმის არსად არ არის შემორჩენილი.

აღსანიშნავია სვანური ტაძრებისთვის დამახასიათებელი ერთი თავისებურება: სხვა კუთხეების ტაძრის კანკელებისგან განსხვავებით, სვანეთში ეკლესიის კანკელები ძირითადად მოხატულია, დანარჩენ კუთხეებში კი უმთავრესად ჩუქურთმითა და რელიეფებით შემკული ქვაზე კვეთილობის ნიმუშები გვხვდება. ლაშთხვერის მთავარანგელოზის ტაძრის კანკელზე გამოსახულია მედალიონებში ჩასმული ტოლფერდა ჯვრები, გეომეტრიული და მცენარეული ორნამენტები, ასევე ვარსკვლავები. ეს ყველაფერი კანკელს თვისებრივად არ გამოარჩევს ტაძრის მოხატულობის პროგრამიდან და ერთიანი მხატვრული სისტემის ნაწილად წარმოჩენას ემსახურება.

ლაშთხვერის ეკლესიის მოხატულობაში, ერთი მხრივ, ჩანს ძველი მხატვრული ტრადიციის გაგრძელება: კონქის ვედრების სცენაში დომინანტია ქრისტეს დიდი ზომის ფიგურა — ვარსკვლავებიანი ცის ფონზე ტახტზე დაბრძანებული მაცხოვრის უზარმაზარი გამოსახულება, მაკურთხებელი მარჯვენით, მთლიანად აესებს კონქის სივრცეს და თითქმის ორჯერ აღემატება ვედრების განვრცობილ კომპოზიციაში გამოსახულ ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლისა და მთავარანგელოზთა ფიგურებს. იმავდროულად აშკარაა XIV-XV საუკუნეების მხატვრული ნიშნები, სუსტდება მონუმენტურობის მასშტაბი, იზრდება სცენათა რაოდენობა და სიუჟეტები უფრო თხრობითი და დეტალიზებული ხდება. ადრეული სვანური ფერწერისთვის დამახასიათებელი პირობითი წერის მანერა ჩანაცვლებულია ამ პერიოდის ქართულ რეალობაში XIII საუკუნიდან ნელ-ნელა ფეხმოკიდებული პალეოლოგოსური ეპოქის მხატვრული ნიშნებით (პალეოლოგოსების დინასტია ბიზანტიას 1261-დან 1453

IC XC

(ზემოთ) ფერისცვალება, დასავლეთი კედელი. (ქვემოთ) ნათლისღება, კამარა

წლამდე მართავდა. ამ დროს ბიზანტიურ ხელოვნებაში დაწყებული ცვლილებები საქრისტიანოს სხვა ქვეყნებშიც ვრცელდება და შემდგომ პერიოდში პალეოლოგოსურად მოიხსენიება), რაც ფიგურათა მეტი დინამიკურობით, დეტალური დამუშავებითა და პლასტიკურობით არის გამოხატული.

მოხატულობაში სხვადასხვა ოსტატის ხელწერა იგრძნობა. განსხვავებულია კამარასა და კედლებზე გამოსახული სახარებისეული სცენები, საკურთხევლის ფიგურებთან შედარებით, მათში მეტია ადგილობრივი მხატვრული სკოლის სახასიათო ნიშნები. სიუჟეტები ვითარდება კამარაზე გამოსახული ქრისტეს დიდების კომპოზიციის ირგვლივ. შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი ხარების, შობის, მირქმის, ნათლისღების სცენები. შემდეგი სიუჟეტი — იერუსალიმად შესვლა — დასავლეთ კედელზეა გამოსახული, საიდანაც თხრობა კვლავ ჩრდილოეთ კედელზე ინაცვლებს. აქ გვხვდება ჯვარცმის, აღდგომისა და ჯოჯოხეთად წარტყვევნის სცენები, რომლებიც წმინდა მხედრის ფიგურით მთავრდება. წმინდა მხედართა დანარჩენი ორი ფიგურა სამხრეთ კედელზე, სასწაულების სცენებთან ერთად არის მოცემული.

მთავარანგელოზთა ტაძრის როგორც ინტერიერის, ისე ექსტერიერის მოხატულობაში წმინდა მხედრების: გიორგის, თევდორესა და დემეტრეს გამოსახულებების არსებობა მოწმობს, რომ ისინი გვიან პერიოდშიც ინარჩუნებენ მნიშვნელობას და მათი კულტი სვანურ ტრადიციაში კვლავ განსაკუთრებით პოპულარულია.

ტაძარი ნათდება მცირე ზომის სამი ჩვეულებრივი და ერთი წრიული სარკმლით, რომლებიც არ უშვებენ საკმარის სინათლეს. ეს, ერთი მხრივ, ხელს უშლის მნახველს, ხელოვნური განათების გარეშე სრულად აღიქვას ფერწერა, მეორე მხრივ კი ფრესკებს გარემოს ზემოქმედებისგან იცავს.

ლაშთხვერის მთავარანგელოზთა ტაძარი შუა საუკუნეების ქართული ქრისტიანული ხელოვნების გამორჩეული, თუმცა ნაკლებად ცნობილი ძეგლია. მის უნიკალურობას ქმნის საერო და სასულიერო სიუჟეტების თანაარსებობა მოხატულობის პროგრამაში, აგრეთვე, როგორც ორი საუკუნის გასაყარზე შექმნილ ძეგლში, ძველი და ახალი ესთეტიკური მოტივების შერწყმა.

მარიტა სახლთხუციშვილი

ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი

აღდგომა, ჩრდილოეთი კედელი

(ზემოთ) დასავლეთი, შესასვლელი, კარის თავი, ლუნეტი — მაცხოვრის გამოსახულება და ორნამენტები გვერდებზე. (ქვემოთ) საკურთხევლის მოხატული კანკელი



ᲐᲛᲝᲜᲐᲩᲘᲓᲔᲑᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲕᲣᲩᲜᲐᲢ-ᲑᲐᲖᲔᲗᲗᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲐ

ძალიან ჩამოცხა თბილისში. მაშინ შესაძლო იყო გასულიყო ადამიანი საგარაკოდ, ბუნების კალთაზედ გაეტარებინა არდადეგები. შეეამზადე ოჯახი მანგლისში წასასვლელად. ძლიერ მომესურვა ვაჟას ნახვა. დაავადებული წმ. ნინოს საავადმყოფოში იწვა, სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში. შევედი. გამგებელ ქალსა ვსთხოვე, ნება დაერთო, მენახა. შეყოყმანდა, მძიმედ არისო ავად; მაინც შემიშო.

ფართო ოთახში იყო მოთავსებული. დიდი სიფაქიზე სუფევდა სადგომში. საურ-ზეწარს, მთელს ლოგინს სისუფთავის შუქი დაჰკრთოდა, მიჩემებული მომვლელი ქალი მზად იდგა მიჰშველებოდა. დაღონებული სახე ჰქონდა ამ მის მცველ ანგელოზს.

უამა ვაჟას ჩემი დანახვა, პირს სიხარული გადაეფინა.

— ვასო, შენ?

— მე ვარ!

წამოჯდა. მივუჯექ გვერდზედ.

— როგორა ხარ, ჩემო კარგო?

— ეხლა არა მიჭირს რა: ექიმები, წამლები. მშვენიერი მოვლა, სისუფთავე. ერთი შეხედე! სთქვა და თვალი მოავლო ოთახს.

— უსათუოდ მალე გამორჩები: შენი ძლიერი აგებულება დაეხმარება მოვლა-წამლობას და...

— ჩემი დიდი სურვილიც! ძლიერ მინდა, მალე ავსდგე. ცხელა აქ. ეხლა მთაში ყოფნას არაფერი შეედრება. ახ, ერთი იქაურ წყაროს დამაწაფა! მალე მოვიშორებ ავადმყოფობას. წავალ და... რომ იცოდე, კიდევ რამდენი რამა მაქვს დასაწერი.

— მოესწრობი, დასწერ, ვუთხარ მე სრულის რწმენით:

მისმა იმედიანმა სიტყვამ, მისმა მძლავრ ბუნების ნაშთმა სასოება ჩამისახეს გულში, რომ ეს დიდებული ნიჭი თავისებური, კლდის უზარმაზარ ნაჩეხს რომ ჰგავს ჩამოხლეჩილს, კიდევ ბევრს ხანს შეგვრჩებოდა ქართველებს.

— მომვლელი ქალი მანიშნებდა, გამეთავებინა საუბარი მეგონა, მეტის სიფრთხილით მოსდიოდა მას. არც თითონ ვაჟამ, არც მე არ ვიცოდით, რომ სიკვდილს უკვე დაევანა მის არსებაში. დავემშვიდობე, ვაკოცე. უკანასკნელი ამბორი ყოფილიყო.

ვასილ ბარნოვი.

„ბახტრიონი“, 1922 წ. №6

ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲐᲮᲔᲚᲝ

(არა-ყბად-ასაღები და არა-წყალ-წასაღები)

— განათლებული ხალხი ვართ, განათლებულიო, დაგიჟინიათ! არა, რასშია თქვენი განათლება? ქართული ენა თქვენ თურმე არ იცით, ისტორიას ხომ რაღა თქმა უნდა, ჩვენს ცხოვრებას სულ არ აკვირდებით და სადაა მაშ თქვენი უპირატესობა და განათლება? თან ხუმრობით და თან წყრომით ეუბნებოდა ერთი ძველებური კახელი თავადიშვილი ერთს ჩვენში ჩამოსულს განათლებულს ნემეცს. თუ იმას იკვეხით, ჩემო ძამია, რომ ზარბაზნები გვაქვს და ბისმარკი გვყავსო, — ძალიან ცუდად გინებებიათ. ზარბაზნები ჩვენც გვიწყვია არსენალში... რომ აგიღერიათ თავი და ბაქიობთ, ვითომ და რაო? — ერთი დრო ვის

არა ჰქონია, შენ ისა სთქვი, რომა... და სხვანი.

ერთის სიტყვით კახელის გულის წყრომას სამზღვარი არა ჰქონდა და სულ იმის გამო, რომ როგორ თუ ქართულ ენას არ ასწავლიან გერმანიაში, როცა ჩვენი ყმაწვილები ზოგიერთს სასწავლებლებში თავს ატეხენ ნემეცურსაო.

— ჰე! ისიც ვერაფერი წითელი კოჭი ყოფილა, ი თქვენი ბისმარკია თუ ვიღაცა! დააბოლოვა მან დასასრულ ხელის ქნევით და მოშორდა გაოცებულს ნემეცს.

„ფერია“, 1886 წ. №114

გასართობი

ერთ ჩვენებურ სოფელში ჩვენებური კნეინა სცხოვრობდა. ბევრ კნეინურ ხასიათებთან ერთი სხვა ხასიათიც სჭირდა ამ პატარა დესპოტს: — გაიგებდა თუ არა, რომ სადმე ახლო ექიმი მოიყვანეს, უთუოდ ავად გახდებოდა, სამ-ოთხ საბანს დაიხურავდა და მისი კვნესა-ვიში დიდ მანძილზე ისმოდა. ერთხელ მეზობლისას ექიმი მოიყვანეს, კნეინა, რასაკვირველია, ავად გახდა და ექიმთან კაცი აფრინეს. ექიმიც მალე მოვიდა და მძიმე ავადმყოფს სხვათა შორის წლოვანება ჰკითხა:

— ასე 35-37-ისა უნდა ვიყვეო. მაგრამ კარგად აღარ მახსოვს, მიხაკო (კნეინას ძმა), შენ უკეთ გეცოდინება და მოახსენე ექიმს.

— რას ამბობ, ქალო! 43-ისა მე ვარ და შენ 8 წლით ხარ ჩემზე უფროსი, მაშ 51-ისა მაინც იქნებიო.

ამ სიტყვების გაგონება და კნეინის ზეზე წამოჭრა ერთი იყო.

ექიმიც მიხვდა ავადმყოფობას და მიხაკოს უთხრა:

— ექიმიც შენ ყოფილხარ და წამალიც კარგი გცოდნია, მე რაღას მაწუხებდითო, და წავიდა სახლში.

„ცნობის ფურცელი“,
სურათებიანი დამატება, 1902 წ. №25

ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

არაჩვეულებრივი ქორწინებანი. ერთ გერმანულ ჟურნალს შეუკრებია არაჩვეულებრივ ქორწინებათა ამბები მთელ დედამიწის ზურგზე. საინტერესო ყოფილა ნიუ-იორკის ზოოლოგიურ ბაღის დირექტორის ბეიმან დიტმარსის ჯვარისწერა. მას გაგიჟებით ჰყვარებია გველები, ამიტომ თავის საცოლედ ამნაირივე გემოვნების ქალი ამოურჩევია. მათი ჯვარის-წერის დროს ეკლესია მორთული ყოფილა გველების ტყავებით და ცოცხალ გველებით და ქვე-მძრომელებით. თვითონ წესი ჯვრის წერისა მომხდარა ბალდახინის ქვეშ, რომელიც აგრეთვე გველებით ყოფილა მორთული. პატარძლის კისერს კი ერთ საჟენიანი გველი ამშვენებდა. ყოფილან ისეთი ქალებიც, რომელთაც თავიანთი საყვარელი ძაღლები ჯვრის წერის დროსაც კი არ მოუშორებიათ და ქორწილში სტუმრებთან ერთად ძაღლებიც სუფრაზე დაუსხამთ. კუნძულ იავაზე ერთ ქალს ჯვარი დაუწერია... თავის საქმროს ქუდზე. თვითონ საქმროს სხვა-და-სხვა მიზეზით არ შეეძლო თურმე დასწრებოდა ქორწინებას. მაგრამ, რადგან ადგილობრივ ჩვეულებათა მიხედვით ქუდი კაცის მოადგილეთ ითვლება, ამით უსარგებლნია ჯვრის-წერის დროს. ამერიკაში ყოფილა ისეთი შემთხვევები, რომ ახალგაზრდებს ქუჩაში დაუწერიათ ჯვარი. ამასთან ეკლესიის მაგიერობას ურემი სწევდა თურმე. ამერიკელმა არტისტ ქალმა ვიოლეტა ვასკოტიმ საოპერო თეატრის დარბაზში დაიწერა ჯვარი.

„დროება“, სურათებიანი დამატება,
1909 წ. №3

მოამზადა თეა ცაგურიშვილმა

ნიუ-იორკი, ზოოპარკი ბრონქსში (1906 წ.)



სკანვორდი ჟურნალ „კარუსელისგან“

უფრო მეტი სკანვორდი, ჯრისკორდი, თავსატეხი და სალინგერისა ამბები იხილეთ შემდეგ ბმულებით - გასართობ ჟურნალში



წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:
1. სპიჩი; 2. პარიტეტი; 3. ჩიჩილაკი; 4. კვირია; 5. ჩირი; 6. ბილიარდი; 7. სულაკაური; 8. სიო; 9. ჯემალ; 10. სირტაკი; 11. სული; 12. გიო; 13. მიკრო; 14. მადლი; 15. ჯორჯ; 16. ირიბი; 17. ქამარი; 18. დუბა; 19. მუსიკა; 20. ბორი; 21. ბასტილია; 22. ჯოისი; 23. უილ; 24. ურდული; 25. უნია; 26. ლეიბი. **სწორ ათეულ:** სტივ ჯობსი.

ქართველი მეფეები

პატრონნი და მსახურნი ქვეყნისانی

დემეტრე I

24 ტომად
მაგარი ყდით

სპეციალური
ფასი 5.50₾
გაზეთთან
ერთად 7₾

გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად
ისტორია, რომელიც ძვირფასია!

გამოდის
თვეში ერთხელ

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში ან დარეკეთ ნომრებზე:
0(32) 238 26 73; 0(32) 238 26 74 და www.elva.ge ადგილზე მოგართმევთ.

Palitra.L.Publishing www.palitra.ge

კლასიკოსები ბავშვებისთვის

ის, რასაც არ ელოდით!

უდიდესი მწერლების შედევრები ბავშვებისთვის

12 ავტორი - 12 წიგნი

სპეციალური ფასი 13.50 ₾
გაზეთთან ერთად 15 ₾

ლევ ტოლსტოი, ვირჯინია ვულფი,
ჯეკ ლონდონი, უილიამ ფოლკნერი,
ოსკარ უაილდი, ტოლკინი...

თვეში ერთხელ გაზეთ „კვირის პალიტრასთან“ ერთად

იკითხეთ წიგნის მაღაზიებსა და პრესის გავრცელების წერტილებში
ან დარეკეთ ნომრებზე: 0(32)2382673; 0(32)2382674
და www.elva.ge თქვენთვის სასურველ ადგილზე მოგართმევთ

პალიტრა L